




# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru  
E-mail: r.jalagania@mail.ru



№387 (448) 15-22 ნოემბერი 2016 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო ფასი 50 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ენა – ააქაი შენიცა



## მარგალი კორი ალექსანდრე პოტიოშკინი

88.3

### სერგი საჯანია: მეუ, მეუა, ესე ვიხით ჯაყომა, ენუ ნათელ-მირონი ჯივაშვილურად!..

88.4-6

(სათქმელის მიმისამართება ბატონ ლერი ხაბულოვთან – საქართველოს პარლამენტის წევრთან; საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარესთან)

### ანზორ აბრალავა: დემოკრატიის პარადოქსები – არჩევნების გაკვეთილები და პოლიტიკური სტრუქტურა

88.6

### ჰაბიბო ჭიკაშვილი: საქართველოს სჭირდება საუნივერსიტეტო ქალაქი?

88.2-6

### ვასტანო ხარჩილავა: აფხაზები ნარმოშობით მებრელები არიან

88.7



### ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი

88.8



### გასაიდუმლოებული სამარხები, სადაც სააკაშვილის რეჟიმისთვის მიუღებელ პირებს მარხავდნენ – მსჯავრდებულის სკანდალური ინფორმაცია

88.5



### მსოფლიოს 9 ყველაზე დიდი ბამოწვევა 2050 წლისთვის მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობა 9 მილიარდს მიაღწევს.

88.11



### ბურამ ფირცხალავას ბარდაცვალებიდან 2 წელიწადი ბასულა

88.9



### ანგელოზები არ უნდა გველუპებოდნენ

88.12

# საქართველოს სჭირდება საუნივერსიტეტო ქალაქი?

## ჰამლეტ ჰიკაშვილი

ქართული საზოგადოებისა და მედიის ყურადღება მიიპყრო ბიძინა ივანიშვილის პროექტის – საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობის დაწყებამ.

**„საქართველოს შუაგულში, კავკასიის რეგიონში უდიდესი, თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და უახლესი ლაბორატორიებით აღჭურვილი საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობა იწყება“**, – წერდა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ – სათაურით „ქუთაისში დიდი განათლების მზე ამოდის“.

პროექტის მიხედვით, 60.000 სტუდენტზე გათვლილი საუნივერსიტეტო ქალაქი, 140 ჰექტარზე გაშენდება. შენობების საერთო ფართობი 1 მილიონი კვადრატული მეტრი იქნება. მშენებლობა 1 მილიარდი ევრო დაჯდება.

გრანდიოზული პროექტია და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის ბიძინა ივანიშვილისთვის. გაივლის წლები და უძველესი ქალაქი ახალი, სისხლსავსე ცხოვრებით ავსდებოდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის 60.000 სტუდენტის, პედაგოგების, მეცნიერების, ტექნიკური პერსონალის ერთობლივი საქმიანობის დაწყება? საქმიანობის, რომელსაც ქვეყნის მომავალი ჰქვია. მომავალი კი განათლების გარეშე წარმოუდგენელია.

ქუთაისი განაგრძობს იმ სისხლსავსე ცხოვრებას, რაც მას საქართველოს პარლამენტის თბილისიდან გადატანამ არგუნა. იმდენი რა გითხრა, შემიძლება ქუთაისელი. პარლამენტის გადატანას, პარლამენტის მომსახურე ტექნიკური პერსონალის თბილისიდან გადაყვანაც მოჰყვა. ასე რომ ადგილობრივთა დასაქმება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. საპარლამენტო მუშაობისთვის შეუფერებელია შენობამ, უპაირო სივრცემ და უამრავმა ტექნიკურმა პრობლემამ, უმად მოპყრო საზოგადოების ყურადღება, მაგრამ მერე რა? არც არაფერი. პარლამენტმა ვერ მოახერხა ქუთაისის კლანჭებიდან თავის დაღწევა და სრული 4 წელი თბილის-ქუთაისის გზაზე მიმოსვლას მიანდომა.

ნეტავი მოგცლია. თუ პარლამენტარებს, აპარატს და ტექნიკურ პერსონალს აწეობს აქეთ-იქით ხეტიალი, იხეტიალონ, შენ რა განაღვლებსო – მეტყვის მაგანი. მარტო ხეტიალი რომ იყოს და ამ „საშურ“ საქმეში სახელმწიფო ბიუჯეტის მსუფთე თანხები არ იხარჯებოდეს, ხმასაც არ დაეძრავდი.

სამწუხაროდ, პარლამენტის ქუთაისში გადატანამ სახელმწიფო ბიუჯეტს გამოუსწორებელი ზარალი მიყენა, ისევე, როგორც პარლამენტის ოპერატიულ მუშაობას. 4 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ განიავებული ასეულ-ათასები სხვა პრაქტიკულ საქმეს რომ მოხმარებოდა, ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყვდა. 4 წლის განმავლობაში ვერც ქუთაისი იქცა საპარლამენტო ქალაქად და ვერც საზოგადოების აზრი ჩამოყალიბდა ამ მიმართულებით დადებითად. გარდა იმ ქუთაისლებისა, ვინც პარლამენტარებსა და აპარატის მუშაკებზე აქირავებს ბინებს.

სრული ჭეშმარიტებით შეიძლება ითქვას, პროექტი – ქუთაისი, საპარლამენტო ქალაქი – ჩაიშალა. და ჩაიშალა იმიტომ, რომ არავითარ მეცნიერულ გათვლას არ ექვემდებარებოდა. ეს იდგა სააკაშვილისეული იყო, ისე, როგორც ბევრი სხვა (ძველ ქალაქში გადახდილი ორი ლიონის მილი, გაუგებარი ფუნქციის ხიდი, ბათუმის ტექნიკური უნივერსიტეტის მადლიერი შენობა...). იდეები კი მას უხვი ჰქონდა – შადრევნებით დაწყებული, ველისპედის ძეგლით დამთავრებული.

იდეები, როგორც ჩანს დამის სიზმარს მოჰყვებოდა და უმად, თვალის გახედვისთანავე ისხამდა ფრთებს. ამ სისწრაფეში ვიდას ახსოვდა მეცნიერული გათვლა, ტერიტორიისა და სივრცის შესწავლა – მშენებლობისთვის საჭირო ატრიბუტი. სააკაშვილის დროინდელი არტიტექტურული „შედევრები“ დღესაც გვახსენებენ თავს. შეხედეთ და გული „გაგინათდება“. როგორც ჩანს ეს „უნიკალური“ ძეგლები მომავალშიც მიიპყრობენ ჩვენს ყურადღებას,

განსაკუთრებით ძველ ქალაქში ჩადგმული 2 „ტრუბა“ და ხიდი, ვინაიდან „საოცნებო“ ხელისუფლებას სულაც არ ანაღვლებს მათი დამანგრეველი არსებობა.

ქალაქის ერთ-ერთმა ვიცე-მერმა სულ ახლახანს უპასუხა პარლამენტარობის მსურველ რურუას მოწოდებას (ან დაანგრეთ, ან დაამთავრეთ), რომ მის დამთავრებას არაერთი მილიონი დოლარი სჭირდება და დანგრევაზე არანაკლები.

ქალაქის მერიას არასდროს ექნება ამ საშინელი ნაგებობების სხვაგან გადატანის ფული, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ და ქალაქში ჩამოსული სტუმარი „სამარადისოდ განწირული“ ვართ „დაგტკბეთ“ ამ საშინელების ხილვით. მეც რა! თბილისის მერისა და აპარატისგან ისეთს მოვიტხოვ, შეუძლებელი რომ არის. განა შეიძლება რამე მოსთხოვო მერს, რომელიც ყოველდღე, სამსახურში ყოფნისას ნახევრად დანგრეული შენობის ჩონჩხს უყურებს – სირიის ქალაქ ალეპოს ომს რომ გვაგონებს.

ყოველი დიდი პროექტის დაწყებამდე საჭიროა ღრმა შესწავლა, მეცნიერული აზრის მოსმენა, შესაბამისი დასკვნების გამოტანა, რასაც საქართველოში არ აქვს ადგილი. რასაც აქვს ადგილი მარტივი ემოციები და უცოდინრობა. ერთ-ერთი მაგალითი ამისა არის ივანიშვილის შეკვეთილის ვილის სიახლოვეს 10.000-იანი საკონცერტო დარბაზის წამოჭიმვა. პრესის მიხედვით, დარბაზის მშენებლობა ივანიშვილმა 200 მილიონ ლარით დაუჯდა, რაც სოლიდური თანხაა არა მარტო გაღებული საქართველოსთვის, არამედ შეძლებული ქვეყნისთვის.

მაშინაც ქართულმა ადვოკატურამ დაგვიამ გვამცნო, რომ ეს შესანიშნავი საკონცერტო დარბაზი – თანამედროვე ელემენტული ტექნიკით აღჭურვილი, ივანიშვილმა საქართველოს მთავრობას საჩუქრად გადასცა, თან ისიც მიაყოლა, რომ იქ სისტემატურად გაიმართება მსოფლიოს სახელგანთქმული მომღერლების კონცერტები.

ერთი შესვლით უდავოდ დიდი საქმეა. ხუმრობა ხომ არაა 200-მილიონიანი საკონცერტო დარბაზის აშენება და შემდეგ ქვეყნისთვის ჩუქება?! მაგრამ ეს ერთის შესხედვით.

შევდივარ საქართველოს მთავრობის გამოუყად მდგომარეობაში – ივანიშვილმა რომ ჩააყენა. ერთია შენობის აგება და მეორეა დანიშნულება, შემოსავალი, ექსპლუატაცია, მოსახლეობის შემოსავლის გათვალისწინება, ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის განვითარება და მთავარ ობიექტთან მათი შერწყმა, სხვა მრავალი, რომელიც ნებისმიერი მშენებლობის დაწყების წინ დეტალურად უნდა იხილებოდეს. იქ, სადაც ფულის ყადრი იცინა – ეს ჩვეულებრივი ამბავია. მრჩება შობაბუკლილება, რომ ასეთს ადგილი არ ჰქონია.

ივანიშვილს დაეხმობა ისე, როგორც სააკაშვილს, გაიღვიძა და უმად უბრძანა მის კონტროლქვეშ არსებულ სამშენებლო კომპანიებს სიზმრის ახდენა. ივანიშვილის მიზანი მხოლოდ ერთი იყო – საკონცერტო დარბაზი საკუთარ ბაღში, საკუთარი ბაგეშების გასართობად, სხვა შემთხვევაში მსგავსი მასშტაბის საკონცერტო დარბაზის იქ აშენება სწორედაც რომ დაეხმებოდა აზროვნების ნაყოფია.

ხუმოთ აღვნიშნე და გავიმეორებ – ერთია აშენება, მაგრამ მეორეა მისი შენახვა-ექსპლუატაცია. 10.000-იანი დარბაზის და მისი აპარატურის მოვლას უამრავი ტექნიკური მომსახურე პერსონალი ესაჭიროება – ელექტრიკოსები, დამლაგებლები, კომპიუტერული სისტემების ოპერატორები, გამხმარებლები, გამანათლებლები, სხვები და სხვები, რომლებიც იმ რეგიონში არ მოიპოვებიან. უნდა მოხდეს მათი თბილისიდან გადაყვანა, რაც ფულთან არის დაკავშირებული.

გასათვალისწინებელია, თანაც უპირველესად, ვინ შეავსებს დარბაზს. დარბაზის შესახებად საჭიროა მსოფლიო ვარსკვლავის ჩამოყვანა, რომელსაც ასეულ-ათასობით თანხის გადახდა ესაჭიროება. საიდან უნდა შემოვიდეს თანხა? უპირველესად კონცერტიდან. კონცერტიდან შემოსული თანხა მოწვეული ვარსკვლავის

გზის ხარჯებსაც ვერ აანაზღაურებს, თუნდაც მთელი დარბაზი უცხოელებით რომ გაივსოს.

პატივცემული მკითხველო, დარწმუნებული ხართ იმაში, რომ იქ გამართულ კონცერტს უცხოელები (მრავლობითში) დაესწრებიან? საქართველოს მოსახლეობას ნამდვილად არ აქვს კონცერტზე დასასწრები ფული. ასეთები ცოტანი არიან და დარბაზის ხარჯებს ნამდვილად ვერ აანაზღაურებენ. არც უცხოელთა დიდი რაოდენობით დასწრების იმედი უნდა გვექონდეს.

ახე და ამრიგად, ივანიშვილის მიერ ნაჩუქარი საკონცერტო დარბაზი საქართველოს ხელისუფალთა თავსატეხი გახდება. მისი შენახვის თანხები ისევ საქართველოს მწირ ბიუჯეტს დააწვება. საბოლოო ჯამში კი მოსახლეობის ისედაც გაფხუკილ ჯიბეებს – პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით.

ივანიშვილმა ბევრი იფიქრა თუ ცოტა, დაინახა რომ დარბაზის შენახვას, პერსონალის ხელფასებსა და სხვა წვრილმან-მსხვილმან საკითხებს დიდი თანხების გაწევა დასჭირდებოდა და „ფართო ვიზიტი“ სახელმწიფოს აჩუქა. სახელმწიფოს, რომელსაც პარლამენტის შენობის შენახვაც უჭირს. გაივლის ერთი წელი და თუ ვინმეს გაახსენდება შეკვეთილის „კონცერტ-ჰოლი“, თვალნათლივ დაინახავს, უპატრონობისგან რა ბედი ეწია მას.

მაგანი შემიძლება – კაცმა ააშენა და სახელმწიფოს აჩუქა, რა არის ამაში ცუდი? ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ კარგსაც ვერ ვხედავ, თავსატეხი კი – მთავრობისთვის თვალნათელია. 200 მილიონი დიდი ფულია, თანაც ისეთი მწირი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა. მოდი ვიფანტავთ, რამდენი საწარმოს აშენება შეიძლებოდა ამ ფულით. თუნდაც ლიფტების მშენებელი ქარხნის, პამპერების დამამზადებელი ფაბრიკის ან ნავთობსადამრეწველი ისეთი ქარხნის, ელექტროენერჯის რომ გამოიმუშავებს. ამ დარბაზზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ლიფტი, პამპერის და ნავთობ მუდამ აქტუალური იქნება.

ივანიშვილის კომპანიები სხვა საქმით არიან დაკავებული, ისეთით, რომელიც მხოლოდ მათ ჯიბეებს გაახსიქლებს. ივანიშვილი რისით აცხადებს – „მე, საქართველოში ბიზნესი არ მაქვსო“. კეთილი, მაგრამ „ქართუ ბანკი“ ქველმოქმედებაა თუ ბიზნესი? „პანორამა თბილისი“ იქნებ ლტოლვილებისთვის შენდება და არა დიდი შემოსავლისთვის? პიპერმარკეტი „კარფურიც“ ქველმოქმედებაა? აღარაფერს ვამბობ ათას სამშენებლო კომპანიაზე, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარებიან.

ახე, რომ ამ ბედკრული ქვეყნიდან ივანიშვილის შემოსავალი ერთი თეთრი ნამდვილად არ არის. მისი ნათქვამი – საქართველოში ბიზნესი არ მაქვსო – ტყუილია. და ეს რომ მართლა ასეც იყოს – დანაშაულია და რატომ? 7 მილიარდის პატრონი სხვას მოუწოდებს ინვესტიციის ჩადებას, თვითონ კი უარს აცხადებს, რაც გუკვს ბაღებს ნებისმიერ პოტენციურ უცხოელ ინვესტორში.

როდესაც ივანიშვილი საჯაროდ ამბობს, რომ საქართველოში მას ბიზნესი არ აქვს, უნებლიედ იბადება კითხვა – რატომ? იქნებ, საინვესტიციო კლიმატი არ არის შესაფერისი? იქნებ პლიტიკური არასტაბილურობა განაპირობებს სამშობლოში ინვესტიციების განუხორციელებლობას?

ბევრი „იქნებ“ შეიძლება დაებადოს მომავალ ინვესტორს და ყველა კითხვა საქართველოს სასარგებლო ნამდვილად არ იქნება. ივანიშვილმა ერთობ ბრძივული პასუხით თავიც მოიჭრა და ქვეყანასაც მოჭრა.

ახლა რაც შეეხება ე.წ. ქველმოქმედებას – ეს ააშენა, თეატრებს რემონტები ჩაუტარა, ინტელიგენციას ფულს აძლევს და ა.შ. ივანიშვილი მილიარდერია – 7 მილიარდის პატრონი. ის მილიარდერთა კლუბის წევრია. მილიარდერობა კი როდი ნიშნავს დოლარებზე კრუხით დაჯდომას. მილიარდერთა დაუწერელი კანონია ქველმოქმედების გაწევა, თანაც არა

ათასებში, არამედ მილიონებში. თუ ჩემი არ გჯერათ, ჰკითხეთ რადიო „მაგისტროს“, რომელმაც ერთი თვის წინ მსოფლიოს მილიარდერთა მიერ გაწეულ ქველმოქმედებაზე გააკეთა გადაცემა. იმ წამონათელის მიხედვით, ივანიშვილის მიერ ქველმოქმედებაზე დახარჯული თანხა, ერთობ მოკრძალებულია.

დავუბრუნდეთ თემას, რომლითაც დავიწყე ამ სტატიის წერა – ქუთაისში საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობას. დაესვათ მარტივი კითხვა – სჭირდება თუ არა საქართველოს 60.000-იანი უნივერსიტეტი? ქვეყანას, სადაც უამრავი სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტია? რა ვუყოთ თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტს – უნიკალური, მაგრამ შეზღაღული ინტელიგენტ-ექსტერიერით? იქნებ ახლის აშენების ნაცვლად არსებული გაგვერემონტებინა, ახალი ტექნიკით აღვავსოთ, შესაბამისი გათბობა-გაციების სისტემა მოგვეწყო, სტუდენტების შენობაც აგვეშენებინა და ასე შემდეგ. ეს გაცილებით ნაკლები დაჯდება, ვიდრე ქუთაისის მომავალი საუნივერსიტეტო ქალაქი.

თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი ავად თუ კარგად ფუნქციონირებს და რაღა საჭიროა ახლის მშენებლობა? 60.000 სტუდენტისთვის გათვლილი უნივერსიტეტი საქართველოსთვის ძალიან დიდად მენევენა, ყველა არსებულთან ერთად ფანტასტიკურად – ქვეყანაში, რომლის მოსახლეობა სულ რაღაც 3.5 მილიონს შეადგენს და რომელშიც დემოგრაფიული აწმყო და მომავალი საგანგაშოა. ქუთაისის მოსახლეობა ისეა შექცირებული, რომ მეორე ქალაქობა რახანია ბათუმს დაუთმო.

დემოგრაფ ანზორ თოთაძის მიხედვით, მიმე მდგომარეობა არა მარტო ქუთაისში, არამედ იმერეთში. იქაური მოსახლეობის დიდი ნაწილი ან სახდვარგარეთაა წასული ლუკმა-პურის საძებნად ან თბილისშია ჩამოსული. ვინ შეავსებს უნივერსიტეტს? ვინ გაუწევს მას ტექნიკურ მომსახურებას, ვინ დააღვებს, ვინ მოუვლის სასწავლო და სტუდენტთა საცხოვრებელ კორპუსებს, საცურაო აუზს, სპორტულ დარბაზებს და ა.შ.?

ვინ აწავლის ახალგაზრდებს? საქართველოს განათლების დღევანდელი „სისტემიდან“ გამოძინარე, ერთდაიგივე პროფესურა დაოთხილი დარბის ერთი უნივერსიტეტიდან, მეორეში. იგრძნობა პროფესორ-მასწავლებელთა კადრების სიმწირე. მაგანი მეტყვის – ამასაც მოვევებაო, უცხოეთიდან ჩამოვლენ სტუდენტები და პედაგოგებიცო.

„ბავში ჯერ არ დაბადებულა და აბრამს არქმედნენო“ – ისეა ბიძინას საქმე. ქუთაისში რომ უცხოეთიდან სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები ჩავლენ, აღარც ბიძინა იქნება და აღარც ჩვენ. შენობას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ უნივერსიტეტში მთავარი სწავლების ხარისხია, რასაც მიღწევა უნდა. რამდენი წელი დასჭირდება ქუთაისის მომავალ უნივერსიტეტს კარგი სახელის მოსაპოვებლად? ამის გათვლა ისეთივე ძნელია, როგორც საქართველოს დემოგრაფიული ვითარების ერთი ბრძანებით გამოსწორება.

ვინმე გათვალა, რა დაუჯდება ქვეყანას ერთი პედაგოგის მოწვევა? ერთ მაგალითს მოგიყვანთ. აჭარის მეთაურს ასლან აბაშიძეს დიდი სურვილი ჰქონდა ბათუმის ერთ-ერთი სკოლის ერთ-ერთ კლასში მოსწავლეებს ქართულთან ერთად ჩინური ენაც შეესწავლათ. ამ თემაზე თქვენს მონამორჩილ ინტენსიური თელაპარაკებებში ჰქონდა თბილისში არსებულ ჩინეთის საელჩოსთან. მათაც ბევრი შრომა გასწიეს, თუმცა არაფერი გამოვიდა. ჩინელი პროფესორ-მასწავლებლები უარზე იყვნენ. ვინც შეიძლება დათანხმებულიყო – ახალდამთავრებულები შეიძლება ყოფილიყვნენ. მათ, იმ დროისთვის საკმაოდ დიდი თანხა მოითხოვეს – თვეში 2000 აშშ-ს დოლარი. დღეს ეს თანხა უმნიშვნელოა. თუ ჩინელი პედაგოგები ამდენს ითხოვდნენ, რას მოითხოვენ ამერიკელი ან ევროპელი პედაგოგები?

(გაგრძელება მე-6 გვერდზე)



გარეგანი კორი ალექსანდრა პოპიოკინი

რამდენიმე კვირის წინ ზუგდიდიდან დამირეკეს და მითხრეს: რუსულენოვანი გერმანულ-მეგრული კაცი უნდა გაგაცნოთ, ისეთ ტიპილხმოვან მეგრულს ლაპარაკობს, ჩვენაც რომ შეგეშურდებოდეს. ასე გაიცანია ალექსანდრე პოტიომკინი სკაიპის საშუალებით. იგი აღმოჩნდა სოხუმში გაზრდილი კაცი, რომელსაც დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სერიოზული ბიზნესსაქმიანობა აქვს გაშლილი, თუმცა მისი ფიქრები, ოცნებები და მოლოვნებები არ სცილდება სამეგრელოს. ალექსანდრე პოტიომკინი, კაცი, რომელიც არ გახლავთ გენეტიკურად ქართველი, მეგრული „ჩელას“ ნოსტალგიით ცხოვრობს, სოხუმს საქართველოს ნაწილად მიიჩნევს და დედა-სამშობლოდ აქაურობა აქვს მიჩნეული. გათავაზობთ ინტერვიუს ესპანეთში მცხოვრებ ბიზნესმენ ალექსანდრე პოტიომკინთან, რომელიც არა მარტო ბიზნესზე არამედ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ისეთ დეტალებზე გვესაუბრება, რაც, ალბათ, ბევრმა ჩვენგანმა არ იცოდა და ახლა ამ ინტერვიოდან შეიტყობს.

**მანსტანბ ხარჩილაშა**

- ბატონო ალექსანდრე, გააცანით თქვენი თავი საზოგადოებას.

- წარმოშობით გერმანელი ვახლავართ. დავიბადე სოხუმში და შეუძლებელია სამეგრელოსა და მეგრელების მიმართ განსაკუთრებული სიმპათიები არ მქონდეს, ძალიან მიყვარს სამეგრელო, ამიტომაც ვაჩუქე საქართველოს კვი, ანუ გივი.

- გივი?

- 1988 წელს საქართველოში გამოვავზავნე 300 000 კვიის ნურგი. მაშინ გერმანული ტრანსპორტი რუსეთის გავლით ხვდებოდა საქართველოში, რადგან იმ პერიოდისთვის ჯერ კიდევ არ იყო თურქეთი გერმანიისთვის სასურველი ქვეყანა. მე დამიკავშირდა პრემიერ-მინისტრი ჩერქაშია, ჩვენი საუბრის შემდეგ შევთანხმდით იმაზე, რომ გამოვავზავნიდი საქართველოში კვიის ნურგებს-მეთქი. მე ვუთხარი: სამეგრელოში გავიზარდე, ვაჩუქებ მეგრელებს კვიის ნურგებს. ბრესტის გავლით გამოვიზავნა გვირთი. თბილისიდან გამოუშვეს მანქანა, რომ ჩამოეტანათ თბილისში და მერე გავეზავნათ დასავლეთ საქართველოში. საბაჟოსთან მძღოლი თურმე ეძებდა არა კვიის, არამედ გივის. მოკლედ, გივი არ არის. მძღოლი კი ფეხს არ იცვლის და ამბობს: ჩვენ გამოვავიშვეს, რომ უნდა ჩამოსულიყო გივი. ასე რომ, კვი, გივი, ეს იყო დიდი გაუგებრობა. ასე გაჩნდა საქართველოში კვი. დღესდღეობით, როგორც ვიცო, ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში კვი. სოფლის მეურნეობის ბოლო მინისტრი ოთარ დანელია ძალიან აქტიური და ენერგიული ახალგაზრდა ვახლდათ. აღარ არის ხომ უკვე მინისტრი?

- ის უკვე ახალი პარლამენტის დეპუტატია.

- დიახ, ის ყოველთვის სვამდა მნიშვნელოვან კითხვებს ჩემთან საუბრისას: როგორ ფიქრობთ, რა ჯობს, რისი გაკეთება იქნება უკეთესი საქართველოსთვისო. ბევრი ვისაუბრე და ამის შემდეგ გადავწყვიტე საქართველოში კაკლის ახალი ჯიშის შემომეტანა, რომლის სახელია მაკადამია. ამ მცენარემ სახელი მიიღო მეგრული წარმოშობის გვარისგან - ადამია. ვინმე ადამიას, რომელიც კარგა ხნის წინ გადასახლდა თურმე ავსტრალიაში. ამ ადამიას რჩეულია მაკადამია, ავსტრალიაში ეწოდებოდა მაქსი, ანუ მაქს ადამია, კაკალსაც ასე დაერქვა მაკადამია, შემდეგ მაკადამია. მაკადამიას შემადგენლობაში ძალიან ბევრი ისეთი ელემენტი, რაც, როგორც მერე გაირკვა, ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა. ახლა სიტყვა-სიტყვით წავგიკითხავთ მეცნიერთა დასკვნას მისი სარგებლობის შესახებ: მაკადამია სხვებისგან განსხვავდება იმით, რომ ის სასარგებლოა ორგანიზმისთვის, არის მაღალკალორიული, ცხენა ვიტამინების კომპლექსით, შეიცავს ცხიმებს და ეთერზეთებს. გამოიყენება ართრიტების, ანგიის, სიმსივნური დაავადებების განვითარების რისკის საწინააღმდეგოდ, შეიცავს ე. წ. პალმიტის მჟავას, რომელიც თითქმის არც ერთ სხვა მცენარეში არ გვხვდება, არსებობს მხოლოდ ადამიანის კანის შემადგენლობაში. მაკადამიას გაჩნდა ანტიოქსიდანტური შემადგენლობაც. მისი უნიკალური თვისებების გამო მაკადამია კოსმეტოლოგიაშიც

ფართოდ გამოიყენება და იხმარება საუკეთესო საშუალებად მშრალი კანის მოვლისთვის. მას თმის საღებავების შემადგენლობაშიც იყენებენ. ხომ ხედავთ, რა უნიკალური თვისებები აქვს ამ მცენარეს? სულ მალე დავიწყოებთ მის გავრცელებას საქართველოში. რამდენიმე პექტარი მიწა მაქვს საქართველოში, სადაც დავრგავ, ალბათ, მაკადამიას ნერგებს.

- საერთოდ, სად მოღვაწეობთ, ბატონო ალექსანდრე?

- ვცხოვრობ ესპანეთში, და ძირითადად, ვმოღვაწეობ ჩინეთში, მაქვს კომპანია, რომელიც ჩაის აწარმოებს. ოთარ დანელიამ შემომთავაზა ჩაის ზეთის წარმოებაში თანამშრომლობა. მოგესხებოდა, ჩაის ზეთს გამოირჩეული თვისებების გამო ფარმაკოლოგიაშიც იყენებენ. ჩაის ზეთს საქართველოში არასდროს იყენებდნენ, თუმცა მას ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი მოგების მოტანა შეუძლია. ჩაის ზეთი სპეციალურად მზადდება ჩაის კაკლისგან. ჩაის ფოთლების და კაკლის გარდა, ბაზრისთვის საინტერესოა ჩაის ვარდიც. არ ვიცი, გინახავთ თუ არა, ჩაის ყლორტებზე იზრდება ეს ყვავილი. დაახლოებით, 50, 70 სმ-ზე ჩაის ნორჩი ღეროდან. ვეროპის ბაზარზე დიდი ინტერესის შემცველია ჩაის ვარდი. ასეთი ვეგეტები მაქვს საქართველოსთან დაკავშირებით. ჩემი კონსულტანტები ვახლავან ოთარ დანელია, ლევან შონია, რომელიც გუბერნატორი ვახლავთ სამეგრელოს რეგიონისა და ზუგდიდის მერი ირაკლი გოგოხია. მათთან შეხვედრების შემდეგ მე აქტიურად ვართულები ამ საქმეებში. ვაპირებ ჩაის დიდი ფაბრიკა ავაშენოთ, სადაც ჩინური ჩაის შეფუთვას განვახორციელებთ. სპეციალური ქარხანა ფოთთან ახლოსაც აშენდება. ჩინელებთან ერთად ვაწარმოებთ ყველაფერს, ისინი არიან ჩემი პარტნიორები მსოფლიო ბაზარზე.

- თქვენ ლაპარაკობთ მეგრულად, ირანულად?

- ცოტას.

- იცით, როგორ არის მეგრულად მზარეული?

- არა.

- მაშინ მე გეტყვით. მეგრულად მზარეულს პქვია მაზადალი. (იცინის). როდესაც სოხუმში ბავშვთა სახლში მიმიყვანეს აღსაზრდელად, როგორც იცით, ბავშვთა სახლებში პატარები უფრო ჩქარა იზრდებიან, და მე შემეყვარდა ერთი მეგრული გოგონა. ის ჩემზე დიდი იყო 2-3 წლით. მაშინ 11 წლის ვიყავი, ის, ალბათ, 13 წლის იყო. მე ვუთხარი ჩემს მეგობრებს: რა ვუთხრა, როგორ დავეღაპარა ამ გოგონას. მათ მიხსრეს, მიდი და უთხარი: ძაბბი, ქქმილებენო მიდგაზარენი? (გოგო, შეიძლება გაგაცდით?). მან გაკვირვებულმა შემომხედა, ასეთი რამ რომ ვუთხარი. მოკლედ, სასოწარკვეთილმა (იცინის). დავიწყე მეგრულის შესწავლა. ახალი წლისთვის, როგორც იცით, მეგრელები ერთმანეთს ულოცავენ, ჩუქნიან საჩუქრებს, ვაშლს და ყუბნებიან: ახალ წანას მიგახვამანქ, (ახალ წელს გილოცავ - მეგრ.) და დადიან ალილოზე. მეც დავდოდი სოხუმში ალილოზე.

ისევე ოთარ დანელიასთან დაგვემდგმე პროექტებს მინდა მივეზრუნდე. ჩვენ საინტერესო გეგმები დავსახეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით. მიმანია, რომ ქართული ღაზა ძალიან უსუსტია. ის 15-18 წელიწადში იძვრება ნაყოფს. იცით, ალბათ, ღაზა ყურძნის ჯიშია, რომლის სახელწოდებაც ღაზის ტომიდან მომდინარეობს, ეს კი ნიშნავს, რომ ღვინის წარმოება ისტორიაში, ანუ პირველი ღვინის მწარმოებლები მსოფლიოში მეგრელები, ანუ ქართველები იყვნენ. მინდა ყურადღება გავამახვილო კიდევ ერთ საიდუმლო თემაზე და თუ რატომ გამოვიყენე სიტყვა საიდუმლო, ახლავე აგიხსნით: იცით, რატომ აქვს შავ ზღვას მარილის შემცველობა ნაკლები, ვიდრე ხმელთაშუა ზღვას? ხმელთაშუა ზღვის მარილიანობა 4,9%-ია, შავი ზღვის - 0,05% და იცით, რატომ არის ასე?

- არა.

- ამერიკელი მეცნიერები ამაზე უკვე წლებია მუშაობენ. მოკლედ, უძველეს დროში, თორას შემქმნის პერიოდში, შავი ზღვის ადგილას ტბა იყო, პალეოსტრემის ტბა იმ ტბის ნაწილი ვახლავთ. ძლიერი მიწისძვრის შემდეგ, დედამიწის რელიეფის ცვალებადობის მერე, ეს წყლები შეერია

ხმელთაშუა ზღვის წყლებს. ამიტომაც ზემდემტი სიმლაშე არ აქვს შავი ზღვის წყალს. ეს ისტორია ერთგვარი ლიტერატურული მეტაფორა ვახლდა, როგორც მსოფლიო წარღვის ნაწილი. ადამიანებმა მაშინ დატოვეს თავიანთი მკვიდრი ადგილები, მოხვეს გადასახლება და ა. შ. მაგრამ რატომ არ აღიარებენ და არ იციან ამის შესახებ სომხებმა? იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, ისინი ცოტას კითხულობენ. მე მივახსენებ მათ გზას ამერიკაში მეცნიერებთან, რომლებიც ამ საქმეზე მუშაობენ. დიახ, ეს „დაღმწერლობა“ მეგრელებს ეკუთვნით. მოკლედ რომ ვთქვა, შავი ზღვის ტერიტორიაზე ამერიკელებმა აღმოაჩინეს ეს ნიშნები, როგორც წარწერები, ანუ მეგრული წარწერები (იცინის). ვენციციაში წმინდა მარკოსის მოედანზე რომის იმპერიის მუზეუმი. მუზეუმის პირველ სართულზე პანოს ნახავთ, რომელიც წარღვნას გამოხატავს. პანოზე ჩვენ ადრე IV საუკუნის მოვლენები გამოხატული, როგორც რუკაზე. საინტერესო ამაში ის არის, რომ, როდესაც შავი ზღვის ტერიტორიას შეხვდებით, ანაპის სიახლოვეზე ნდებდა ყვითელი ზოლი, რომელიც ტრანსპონიდან სამხრეთამდე გრძელდება და იქ მთავრდება. საკმაოდ ფართოა ეს ზოლი და სამ ადგილას ამ რუკაზე, წარღვნის გამოსახულების პანოზე აწერია - მენ-გრელია... შეიძლება არ იცოდეთ, რომ თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი მეგრულია წარმოშობით. მისი წინაპრები ბათუმში დაიბადნენ, ქობულეთთან ახლოს. ეს ტერიტორია, რომ იცოდეთ, სამეგრელოს ნაწილი იყო.

- იმდენს აქვთ სამეგრელოს, მეგრელების ელჩი გამოდიხართ მსოფლიოში, ბატონო ალექსანდრე.

- ასეა. (იცინის). მაგრამ, მოდით, კიდევ ერთ საინტერესო ამბავს მოგთხრობთ ლავრენტი ბერიაზე. როგორც გითხარით ვმუშაობ ჩინეთში და იქაური ხალხი კომიტეტის პირველი მდივანი მეკითხება: ალექსანდრე, ძალიან გთხოვ, დაგვეხმარეთ, გვსურს ჩინეთში, მანჯურიაში გავხსნათ ისეთი ბავშვთა სახლი, როგორც რუსეთში იყო და თქვენ იყავით ამ ბავშვთა სახლის მზრუნველთა საბჭოს წევრი. მე ჩავედი ჩინეთში. იქაურები, თითქმის ყველა, მშვენიერად ლაპარაკობენ რუსულად. შევხვდი მათ ძე ღვინის ქალიშვილს ტანის, დენ სიაო პინს, ჩინეთის საამაყო წარმომადგენლობის მთელ პუბლიკას. ჩვენ დავემკობოდით და ა. შ. მოდის ჩემთან ერთი დამა, ჯერ არ ვიცი, რომ ის მათ ძე ღვინის ქალიშვილია და მეუბნება: ჩემი პირველი თხოვნაა, დაგვეხმარეთ, გვჭირდება ლავრენტი ბერიას ყველაზე საუკეთესო პორტრეტი. ძალიან გამიკვირა. როგორც ჩანს, ისეთი გაკვირება გამოიწვია სახეზე, რომ ქალბატონმა მაშინვე მითხრა: თქვენ არ იცით საკუთარი ქვეყნის ისტორია: ლავრენტი ბერია იყო ჩვენი დიდი მამა.

- ??

- ნუ გიკვირთ. რა აღმოჩნდა, იცით? - სტალინის მოსკოვიდან 180 კმ-ის დაშორებით 1929 წელს აუშენებია ბავშვთა სახლი. ამ ბავშვთა სახლში იყვნენ ბოლშევიკების შვილები, რომლებიც არალეგალურ მემარბობაში იმყოფებოდნენ და ციხეებში იხსდნენ მცდარი პოლიტიკური შეხედულებების გამო. იყვნენ დახურული მშობლების ობლად დარჩენილი შვილები და სხვები. ტატიანა მათ ძე ღვინის ქალიშვილი, 1949 წელს სტალინის ბერია დაუნიშავს ამ ბავშვთა სახლის მეურვედ. მას შემდეგ, რაც ლავრენტი პავლევი და დანიშნულა ამ ბავშვთა სახლის მეურვედ, მაშინ განიხილა ბავშვებისთვის ბანანი, ვაშლი, ხორცი, ტკბილეული. ხშირად დადიოდა თურმე იქ. ეხვეოდა, ყვარებოდა ბავშვებს, თამაშობდა მათთან ერთად და ა. შ. წლების შემდეგ ჩინელებმა ააშენეს ამ ბავშვთა სახლის რუსული ახლი 35 000 კვ. მის ფართობზე. იქვეა მათ ძე ღვინისა და სტალინის უზარმაზარი პორტრეტები. ახლა, როცა შეხვალთ იმ დიდი ბავშვთა სახლის

ფოიეში ლავრენტი ბერიას უშველაველი ფოტო დაგხვდებათ. ეს ფოტო მე ავარჩიე და ვაჩუქე მათ. იმ ხანებში დავურეკე ჩემს რუსულ კომპანიას და ვუთხარი: კვბ-ს აქვს თავისი მუზეუმი, მიმართეთ მათ, ექნებათ ლავრენტი პავლეს ძის კარგი პორტრეტი და სოხოვი გადმოგცეთ ჩინეთში, მანჯურიის პროვინციაში, ბავშვთა სახლისთვის. მუზეუმის ადმინისტრაციისგან მოვიდა პასუხი: ჩვენ შეგვიძლია გავყოფოთ ერთი შესანიშნავი პორტრეტი. მაგრამ პირობა იყო ასეთი - მიმართეთ ჩინეთში რუსეთის საელჩოს თხოვნით. შევადინეს თხოვნის ტექსტი ბავშვთა სახლის ყოფილმა და ახლა გამოჩენილმა მოწაფეებმა. ფოტოს ღირებულება აღმოჩნდა 1700 რუბლი, რაც 110 დოლარამდე იქნებოდა, დაახლოებით. სურათი არის 100/110, ზეთი შესრულებული ტილო, ფოსტისთვის გადავიხადე 300 დოლარი. აი, ასეთი ისტორიაა, მაგრამ საინტერესო ის არის, როგორ კოცინდნენ ჩინელები ბერიას სურათს. რეგები იღვა, რომ ეკოცნათ სურათისთვის.

- თქვენს ოჯახზეც მოგვიყვით.

- ჩემი მეუღლე ჯანიაშვილი ვახლავთ, ჯანიაშვილი-ხოფერი. მეყავს 6 შვილი. ჩვენი ნაბოლარა 9 წლისაა, უფროსი 36-ის. მიყვარს ბავშვები. ჩემს მეუღლეს ვუთხარი: მანანა, მეშვიდე შვილიც უნდა გავაჩინოთ. თუ არა, სხვასთან გავაჩინებთ.

- ჯანმრთელობა და სიკეთე მოგეცეთ.

- გმადლობთ და მინდა გთხოვოთ, როცა გამოაქვეყნებთ ამ საუბრის ჩანაწერს, აუცილებლად აღნიშნეთ, რომ მაქს ადამია არის ადამიანი, რომელმაც შექმნა კაკლის საოცარი ჯიში - მაკადამია, რომელიც ამდენი წელი დაშორებული იყო და მალე იქნება თავის სამშობლოში, მაღახის, იგივე მაქს ადამიას სამშობლოში. ირანდა, აქამდე არც თქვენ იცოდით და ეს არაა სამართლიანი, უნდა იცოდეთ, რომ გვაკეთ ნათლიამა, ქართველი, უფრო სწორად, მეგრული პოტიომკინი. ვფიქრობ, რომ მეგრელები გამოჩნდებიან ხალხი, ნიჭიერი ხალხი. ვიმეორებ, ეს ჩემი შეხედულება და საკუთარი დამოკიდებულებაა მეგრელებისადმი. მე ხშირად ვარ თურქეთში, მაქვს ბიზნესები თურქეთში, ტრანსპონში, ვლაპარაკობ მეგრულად და მათ მშვენიერად ესმით ჩემი. იციან მეგრული ენა. არდაგანში, რიხსთან ახლოს, ბათუმიდან 65 კმ-ში სკოლებში თურქეთის სახელმწიფომ 1-4 კლასებში მეგრული, ანუ ლაზური ენის შესწავლის ნება დართო მოსახლეობას. თურქეთის მთავრობამ შესანიშნავად იცის, რომ თითქმის ნახევარი თურქეთი ქართულია, ლაზური, ანუ მეგრული. სამწუხაროა, რომ საქართველოში არ ეძლევათ ამის ნება, სურვილიც კი არ არის, უბრალოდ არა და, მეგრული ენა ძალიან მდიდარია და ეს ხელს შეუწყობდა ქართული ენის გადრმაგებას, ახალი სივრცის მიცემას, ახლა, ენებისთვის ამ რთულ პერიოდში.

- ჩვენი რედაქტორი, ბატონი ვახტანგ ხარჩილაშა წაღწევიდან ვახლავთ. ისიც იზიარებს, ნაწილობრივ, თქვენს შეხედულებას.

- სწორია. ლოგიკურია. იცით, მე მიწის ნაკვეთები მაქვს წალენჯიხაში, ჩხოროწყუშიც. ჩხოროწყუ უნიკალური ადგილია. 9 წყაროს ნიშნავს ჩხოროწყუ, იცით, ალბათ, ხომ?! ჩხოროწყუ - ცხრა წყარო. დიდებული ადგილია. როდესაც ჩინელები ჩავიყვანე წალენჯიხაში, გაცივდნენ, მათ თქვენს, რომ ეს ადგილი ჩაის კულტურისთვის უნიკალურია, ხოლო წალენჯიხაში არის არაჩვეულებრივი ტურისტული პოტენციალი, ტურისტული მექაა, პირდაპირ, წალენჯიხა. იქ არის მთები, იქვე გაშენდება ჩაის პლანტაციები, მანდარინი, ლიმონი. და ბოლოს, მინდა მიველოცო ჩემს ხალხს, ჩემს ქართველებს, მეგრელებს, რომ მეცნიერებმა დაამტკიცეს: არსებობს ოთხი რასა. ყველაზე ახალგაზრდა არის თეთრი, ანუ კავკასიური რასა და რაც საინტერესოა, თეთრი რასის არსებობის უძველესი ნაშთები აღმოჩენილია სამეგრელოს ტერიტორიაზე, კოლხიდაში. მოკლედ, სიყვარულით ვესალმები მშობლიურ სამეგრელოს ესპანეთიდან. კეთილად ბრძანდებოდეთ. საუკეთესო სურვილებით „ნათლი-მამა“ პოტიომკინისგან.

- მადლობა საუბრისთვის.

- კარგად ბრძანდებოდეთ.

ირანდა კალანდარი

მამ, მამა, ასე ვიხსი ჯაყომა, ანუ ნათელ-მირონი ჯივავილუკა...

სარბი სჯაია

(სათქმელის მიმისამართება ბატონ ლერი საბელიოვთან – საქართველოს პარლამენტის წევრთან; საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარესთან)
„რომელმან – იგი განმეურნა მე, მან მრქუა:
ადიდე ცხედარი შენი და ვიდოდე...“
იოანე – 5, 11;
„რაცა ვითხრა, მომისმინე, ბრძენი გეტყვი, არა ხელი:
ასი გმართებს გავიგნება, არ, გვეოფის, არ, ერთხელი“...
შოთა რუსთაველი;
„ჩვენი უბედურება ამჟამადაც ევა:
ჩვენში მოლაღატენი
სჭარბობენ ერთგულებს, განა თუ სხვისი,
საკუთარი თავის,
თავისი ხალხის მოლაღატენი...“
დიდოსტატი კონსტანტინე

ხნაურა. მას ეს სახელი იმ დროის „უმცირესობებზე“ წინაუხედავად მზრუნველმა მშობლებმა დაარქვეს, რათა კარიერაში გამოდგომოდა. გამოადგა კიდევ: თავდაც ვერა-კითხვის ძლივს მცოდნე, სხვას „ასწავლიდა“ ღვთივ წვდომად „დედა ენას“...
სანამ საუბარს განვაგრძობდნენ, სათქმელს წინ წაივადებ და მკითხველს შეეახებოდა თუ რა შინაარსში ისაგებებოდა დღეს სიტყვა მეგობრებოთა ცხინვალის მიმდებარე ქართულ სოფლებში. როგორც წესი, ე. წ. „ჯუნგლის კანონით“ მოხელმძღვანელე მომხდურებისთვის აქაური ქართველობა სულიერი და ფიზიკური ძალადობის (რეპრესიების) სახემოქმედო საგანი გახდა. უმწყო, დაუცველი, შეგინებული, საკუთარი ჭერქვეშეთიდან გამოძევებული, მოკლედ, მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „ჯაყოს ხიზნების“ მიზანსცენებით გაყოველდღიურებულ ადამიანთა სიმრავლეს სულში უბოდიშოდ ჩასაფურთხებულ ჭურჭლად მოიაზრებენ გუშინდელი ხიზნები.

აღუდგა და ისევ ცხრაკლიტულში მიაბრუნეს).
ბატონო ლერი, ასეთი წარსულის ამგვარად გამოგამზირება იმისთვის კი არ დამჭირდა, შურისგება და მრისხანება რომ მივაგებო ოსთა მიერ დაღვრილი ქართველთა სისხლით ავსებულ მოთმინების ფილაბს, სხვა რამისთვის გავისარჯე: თქვენ საქართველოს ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირი ბრძანდებით, აქედან გამომდინარე, ფლობთ სათანადო უფლებამოსილებასა და პოლიტიკურ საშუალებებს, რათა ოსთა მეგობრებს რამენაირი ზღუდე მიაგებოთ. კინაღამ დამავიწყდა, ასევე თქვენდამი დაქვემდებარებულია (თავმჯდომარე ბრძანდებით) საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი. მეტი რა უნდა მოექცეს თქვენს ხელში, რათა არა მხოლოდ ხმა მიაწვდინოთ და სისწორე აუწყო დეხინფორმაციის ტყვეობაში მყოფ მსოფლიოს საზოგადოებრიობას (მათ შორის თქვენს სანათესაოს – ოსებს) იმაზე, რომ ქართველთა მარადიულოვანს, მათი მამულის უბოდიშოდ ხელყოფის გამო, საფრთხე შეექმნა. დაიხ, ეს, ანუ საკუთარ მამულში ქართველთა მიღევადი მდგომარეობიდან გამოყვანა, რა თქმა უნდა, სახელმწიფო პოლიტიკად უნდა აქციოთ იმ მოსახლდურებაში, სანამდეც ხელი მიეწვდებათ. პირველ რიგში, რუს და ოს აგრესორთა მიერ ოკუპირებული ცხინვალ-ახალგორში თქვენს თანამომქმებს, ოს გუთნისდღა, მთისახლოებას უნდა აუხილოთ თავალი, მათი თანამომქმების მიერ თუ როგორი თანამიმდევრულობით ნადგურდება ის ქვეყანა, რომელმაც ისინი შემოისახლიკავა.

ბატონო ლერი, ჯარისკაცი, რომელმაც აწამა იესო ქრისტე (ბარძაყი გაუხრებიტა, სახეში მიაფურთხა, ღოუაზე სილა გააწნა), ღვთისაგან დაიხაჯა: ღოვინად ჩავარდნილი ოცდაათურამეტი წელი იტანჯებოდა. ბოლოს შეუნდო უფალმა, აპატია, განკურნა და აღმოიბა კიდევ: „აბა, ცოცხალ იქმენ, ნუღარა სცოდნე, რათა არა უძვირესი რაიმე გვეყოს შენ“ (იოანე – 5, 11).

აღუდგა და ისევ ცხრაკლიტულში მიაბრუნეს).
ბატონო ლერი, ასეთი წარსულის ამგვარად გამოგამზირება იმისთვის კი არ დამჭირდა, შურისგება და მრისხანება რომ მივაგებო ოსთა მიერ დაღვრილი ქართველთა სისხლით ავსებულ მოთმინების ფილაბს, სხვა რამისთვის გავისარჯე: თქვენ საქართველოს ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირი ბრძანდებით, აქედან გამომდინარე, ფლობთ სათანადო უფლებამოსილებასა და პოლიტიკურ საშუალებებს, რათა ოსთა მეგობრებს რამენაირი ზღუდე მიაგებოთ. კინაღამ დამავიწყდა, ასევე თქვენდამი დაქვემდებარებულია (თავმჯდომარე ბრძანდებით) საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი. მეტი რა უნდა მოექცეს თქვენს ხელში, რათა არა მხოლოდ ხმა მიაწვდინოთ და სისწორე აუწყო დეხინფორმაციის ტყვეობაში მყოფ მსოფლიოს საზოგადოებრიობას (მათ შორის თქვენს სანათესაოს – ოსებს) იმაზე, რომ ქართველთა მარადიულოვანს, მათი მამულის უბოდიშოდ ხელყოფის გამო, საფრთხე შეექმნა. დაიხ, ეს, ანუ საკუთარ მამულში ქართველთა მიღევადი მდგომარეობიდან გამოყვანა, რა თქმა უნდა, სახელმწიფო პოლიტიკად უნდა აქციოთ იმ მოსახლდურებაში, სანამდეც ხელი მიეწვდებათ. პირველ რიგში, რუს და ოს აგრესორთა მიერ ოკუპირებული ცხინვალ-ახალგორში თქვენს თანამომქმებს, ოს გუთნისდღა, მთისახლოებას უნდა აუხილოთ თავალი, მათი თანამომქმების მიერ თუ როგორი თანამიმდევრულობით ნადგურდება ის ქვეყანა, რომელმაც ისინი შემოისახლიკავა.

ქართველი, როგორც გიორგიანელი, ქრისტესმხედარი და ღვთისმშობლის წილხვედრი მიწის ბინადარი, რა თქმა უნდა, ჩასაფრებულ ავმოსურნეთა სამიხე იყო მუდამ, მაგრამ მონა ნულის მიმართ მიმტკეპული გახლდათ. ასეთად დარჩა დღემდე!

თქვენ, ყოველმხეზგარეშე მოგეთხოვებით, დააჯიფო ოსი კაცი ყველგან, რსფრ-შიც და საქართველოშიც, რომ რუსთა მოიმედებით მათ მიერ დათესილი სიაცე საქართველოში, რომელიც ჯერჯერობით გახლით, არ გაგრძელდება უსხარეოდ, რამეთუ სახარება გვასწავლის: „და შენ კაპერნაუმ, თვით ზეცამდე ამაღლებული, ჯოჯოხეთამდე დაემხოი შენ“ (მათე – 11, 23).

ოსი ხალხი, რომელიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზითა და სხვადასხვა მიზნით შემოგვეხიზნა, მიუხედავად იმისა, რომ მასში არაგულთიდად შემოცულდებულნი ჭარბობდა, ქართველმა ხალხმა გაისახლიკავა და შემოიტყვეშა ეს ხალხი დაუყვედრებლად. ასეთი ჭიშკარაწარზაბისთვის არმენი „ტუტუც ვრაც“-ს გვეძახის.
თუ როგორ გამოხატეს საპასუხო მადლიერება მათ, ამის სახეზოგადი გასაგებება ხნაურ აღდაროვის (1889-1919 წ.წ.) ძირგამომხრებლობა, რომლისთვისაც „ისე, რა“ მიდებული ორკლასიანი განათლება საკმარისი აღმოჩნდა, რათა 1918 წელს გორის მაზრაში დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ ხიზან ოსთა აჯანყების ერთ-ერთი მეთაური ყოფილიყო, თან პირდაპირ მკერდშიც და უკან, ზურგშიც ერთდროულად ჩაეცა მახვილი მისი და მისი ხალხის შემოსახლიკაცებული ქართველებისთვის: მან ქართველთა სისხლში ყველამდე შეტოვა, როდესაც გორის მახლობლად, ხცისის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ ილიგორბახსნიდა, მაგრამ სახელე მაინც იმით „გაიმარადისა“, რომ ამავე მაზრაში ნახირივით წინ გაირეკა უმწყო ქალების, ბავშვების, მოხუცების მწყობრი, შერეკა საქონლის სადგომში, კარები გარედაჩა ჩაურაზა, და შემდეგ ციხელში ამოხუგა უდანაშაულო ადამიანები, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველები იყვნენ და მათ გამოთავისუფლებულ კარ-მიდამოებში მისნაირი „თანამომქმები“ ჩაესახლებინა.

სახეზოგადი მითითებით, რომ ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის პირველსავე წლებში, ოსებმა ქართველების წინააღმდეგ გაწეული ძირგამომხრებელი საქმიანობის განამრჯელოდ მოითხოვეს, ქართულ მიწებზე (ზემო რაჭაში, ზემო იმერეთში, შიდა ქართლში, ხევში (სტეფანწმინდის რაიონი), დუშეთის რაიონსა და სხვა მიმდებარე მიწებზე) მათთვის შეექმნათ სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, დედაქალაქით – სანხერეში. ამის შესახებ ოსურმა დეპუტაციამ სათანადო განცხადებებით მიმართა კიდევ სერგო ორჯონიკიძეს, რომელმაც ეს საბუთები ვლიპე მასხარაძეს გადაუშისამართა.

დაიხ, ბატონო ლერი, ოსების ე. ი. თქვენი წინაპრების საქართველოში ფეხბოკიდების ერთ-ერთი ხერხი, როგორც უამბობენ დადადებს, ასეთიც იყო. ამის მიუხედავად...
მოიცაო, მადროვეო (ე. წ. არასამთავრობოებისა და ოკუპანტ უმცირესობათა „უფლებადმცველებს“ მიემართა), რათა განუგმარტოთ, რომ ე. წ. ოსოფობიას ან შეუწყნარებლობას რომ არ ვქადაგებ, ამავე დროს, ქართველთა თვისება რომ არაა ეს, ამაშიც მინდა დავაჯიფო დადარაჯებული „უფლებადმცველები“ (ვისი უფლებები?). ჭკუასთან დაუთათობრივობა, ეტეობა, საბედისწერო თვისებაა ჩვენი, – შიდა ქართლში, ისტორიულ ოქონას ქართული სახელი გადაარქვეს და ხნაურის რაიონი უწოდეს; საქართველოს ქალაქებში, მათ შორის, ჩვენს დედაქალაქში, გაჩნდა ხნაურის სახელობის ქუჩები. ის კი არადა, სოხუმის რ-ნის პულავოკები დამემოწმებინ, რომ მათ რიგებში, აქედან ქართველთა ეთნიკური წმენდის საშუალებით გამოძევებამდე, დაწეებითი კლასის მოსწავლეებს ასწავლიდა ქალბატონი

სახეზოგადი მითითებით, რომ ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის პირველსავე წლებში, ოსებმა ქართველების წინააღმდეგ გაწეული ძირგამომხრებელი საქმიანობის განამრჯელოდ მოითხოვეს, ქართულ მიწებზე (ზემო რაჭაში, ზემო იმერეთში, შიდა ქართლში, ხევში (სტეფანწმინდის რაიონი), დუშეთის რაიონსა და სხვა მიმდებარე მიწებზე) მათთვის შეექმნათ სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, დედაქალაქით – სანხერეში. ამის შესახებ ოსურმა დეპუტაციამ სათანადო განცხადებებით მიმართა კიდევ სერგო ორჯონიკიძეს, რომელმაც ეს საბუთები ვლიპე მასხარაძეს გადაუშისამართა.
თავის მხრივ წმინდა ილია მართლის ეკველეობის ერთ-ერთმა მოთავემ, წინამდებარე განცხადება იმხანად საქართველოს სსრ შს მინისტრს ბესარიონ კვიციანიას დააწერა. პოდა, სასწაულიც აქ მოხდა: ბესარიონ კვიციანიას, საკითხის შესახებ გადასული და სათანადოდ მოსამზადებლად, დაეთათობრა მის მიერ სასწრაფოდ შექმნილ კომისიას, რომელსაც პაველ ინგოროვეა მესაჭეობდა.

ეს ხდება ყოველდღიურად-მეთქი, სხვადასხვა ნაირსახეობით, სხვადასხვანაირი სიმძიმით, მაგრამ თანამიმდევრული ჯერმონაცვლებით!...
ბატონო ლერი, გავიხსენებთ, რომ საქართველოს დედა ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულმა ცოტნე დადიანმა, მას შემდეგ, რაც მონღოლმა დამპყრობლებმა მისი მეგობრები დააპატიმრეს, ანისში, სადაც ისინი საწამებლად ჩაიყვანეს, ჩააკითხა და მათი ხვედრი გაიზიარა.
ეს მას თანამდებობრივად და სამსახურებრივი გაპიროვნებით არ ევალებოდა, ხნებამ მოსთხოვა, ასე მოქცეულიყო.
თქვენ, ცოტნე დადიანისაგან

განსხვავებით, სწორედ სამსახურებრივი მიწერილობით და არა მარტო ქველმოქმედებრივი ნებაყოფლობით გვევალებით, ანუ მოგეთხოვებით საღ-კლდე დადგეთ იქ, სადაც თქვენს ხალხს არბევენ, აუპატიურებენ, აგინებენ, მონად იხდიან. ამისთვის ქართული სახელმწიფოს სალაროდან ხელფასს იღებთ, არაფერს ვამბობ, ხალხის მიერ წინაუხედავად, მაგრამ მაინც გადებულ ნდობაზე თქვენს მიმართ, რითაც საქართველოს პარლამენტის წევრის (და არა მარტო ამის) რწმუნება გეძობათ.

სამწყოწაროდ, არ მახსენდება, ამ „დიდი ოსურ“ წოკობის შესახებ სადმე რაიმე, თქვენი ბეჭების შესაფერისი ამრისხანება ავწმეწროდათ სადავიდან. არადა, ამას სამსახურებრივი მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულება ჰქვია მშვიდობიან დროს, ხოლო ასეთ საქციელს, საველე-სასანგრო მდგომარეობის გასწვრივ, როგორშიც თქვენი ამომრჩეველები იმყოფებიან, სამშობლოს, ხალხის დაღატს თუ არა, სულ ცოტა, დეხურტიობას მაინც ეძახიან, რასაც სასამართლო საგანგებო წესით უნდა განიხილავდეს.

ასეთი ვითარების დროს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს საწყენი თუ ქართველი ერი, რომელიც თქვენ ხელფასს გიხდით ამისათვის, დაინტერესდება, რა არის ის საპირწონე, რომლითაც ასე წამლევად მოხდევებულ ოსიანობას (შეადარეთ ლეკიანობას) თქვენს საარჩევნო ოლქში, ძვრატქმელობად უნდა ეჯიბრებოდეთ. ეს ერთადერთი საშუალებაა ამჟამად, რადგან ე. წ. ქართველ არასამთავრობოებსა და უფლებადამცველებს, მეტი საქმე არა აქვთ, დრო ფლანგონ და „ტეტი ქართველებს“ გამოსარჩლება გაიპიროვნონ, მათ გამოშარებული „უმცირესობების“ დიდამყობლური უბოდიშობა აქვთ დასაცავი საოკუპაციო ქუსლებქვეშ მოქცეული ქართველებისაგან: აბა, რომელიმე საჯდომ გაბურღულს გაერტოს ქუსლში ეკალი, მერე უყურეთ მათ აკრიხებისა ერთ „სადამცველო“ ხმაში!...

თქვენზე უკეთ ვის უნდა მოესხენებოდეს, რომ არა თუ საბჭოთა კავშირში თავის დროზე, დღევანდელი მსოფლიო წაღვეკა დეხინფორმაციებმა იმაზე თუ „რა სისასტიკით უწყობენ ოსებს „ოსურ მიწაზე“ ქართველები გენციოდესა და ეთნიკურ წმენდას“. დაიხ, დაიხ, საუბარია ცხინვალსა და ცხინვალის შემოგარენზე, დიდი ვანო მანაბლისა და მისი გვარ-ტომის სამკვიდრისზე, ოსთა იმ „დედაქალაქზე“, სადაც, როცა ეს ეთნოდიფერისული ოლქი მიხნობრივად შეექმნა, ორად-ორი ოსი ცხოვრობდა, ხოლო „ლენინური ხალხთა მძობის“ წყალობით, დღეს წამლად რომ გინდოდეს, ქართველს ვერ გადაეყრები ვერსად, თუ ის დატყვევებული ან წინ გამორეკილი არაა.

ოღესმე გავიცხადებიათ რომელიმე ტრიბუნდან, რომ საქართველოს ჭერქვეშ ოსები კომპაქტურად ცხოვრობენ ბორჯომის ხეობაშიც, კახეთშიც, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რა თქმა უნდა თბილისშიც, ამ „სახლიკაცებს“ (სინამდვილეში უმადურებსა და აგრესორებს) უბატონოდ ხმას არ სცემენ არსად და ისინი სახლიკაცის უფლებით სარგებლობენ, რისი მაგალითი თქვენც ბრძანდებით. თუქცა, არც ერთხელ არ მოსვლიათ აზრად, ოსი მოსახლეობის მხრიდან ქართველების დარბევის თაობაზე როდესმე ხმა ამოვლოთ და გაეციცხოთ აგრესორი თანამომქმები ასე ზღვარსგამცდარი ნადირლობისა და უმადურების გამო. არადა, „გვიგარცუდ“ დადგენილი ქართველობა, იმ დროს, როცა ქართველი არაა დაცული თავის მიწაზე, მსოფლიოს თვალში, შინ და გარეთ ჩასაფრებულ ავმოსურნეთა საინფორმაციო წყაროების ეთნოდიფერისიათა და ადგილობრივი მოლაღატეების, მათ შორის ქართველი კოლაბორაციონისტების გამცემლობის წყალობით, მიჩნეულია ოსთა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მომწეობად და არაფერს სვამს საკონტროლო კითხვას, – კი მაგრამ „ქართველების მიერ გენოციდისა და ეთნიკურ წმენდაში შეგებიანებული ოსთა“ არხეინადაა და დაუსჯელად არბევენ აქვთ ქართველობა, „ოსური სახელმწიფოს“ გამოღმა აწიოკებს მას, ხოლო თვითონ „ოსურ სახელმწიფოში“ ქართველთა ძვალოშესალაგზე არხეინად აყუმბარდა.

თქვენ, ცოტნე დადიანისაგან (გაგრძელება მე-6 გვერდზე)



# გასაიდუმლოებული სამარხები, სადასააკაშვილის რეჟიმისთვის მიუღებელ პირებს მარხავდნენ - მსჯავრდებულის სკანდალური ინფორმაცია

ბიზნესმენ ავთანდილ ადუაშვილის შეკვეთილი მკვლელობის ერთ-ერთი ორგანიზატორი მსჯავრდებული გელა უბილავა, „პრაიმტიმის“ მიერ მოპოვებული ექსკლუზიური ინფორმაციით, მზად არის სასჯელის შემსუბუქების სანაცვლოდ, პროკურატურას სამეგრელოში აქამდე უცნობი და სრულიად გასაიდუმლოებული სასაფლაოების ადგილმდებარეობა აცნობოს და იქ დამარხულ პირთა იდენტიფიცირებაში დაეხმაროს.

გელა უბილავას ინფორმაციით, აღნიშნულ გასაიდუმლოებულ საფლაოებში 2008 წლის 16 აგვისტოს გაუჩინარებული რეინჯერის დავით ცინდელიანის ცხედარიც არის დამარხული. სამუდამო პატიმრობამისჯილი უბილავა სოსო პავლიაშვილის ბავშვობის მეგობრის ავთანდილ ადუაშვილის შეკვეთილი მკვლელობის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტია. გასმაურებულ სასამართლო პროცესებზე მიცემულ სკანდალურ ჩვენებაში უბილავამ განაცხადა, რომ ის „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში აქტიურად თანამშრომლობდა მაშინდელ სამხედრო პოლიციასთან და ამ თანამშრომლობის შედეგად მეგობარ ქარდავა და კოსტა კოდუა მათთვის არასასურველ ადამიანებს მისი ხელით იშორებდნენ. „პრაიმტიმის“ ინფორმაციით, მსჯავრდებულმა გელა უბილავამ გასაიდუმლოებული საფლაოების საქმეზე ძალოვან უწყებას ინფორმაცია გარკვეული ფორმით მიაწოდა, თუმცა საპროცესო გარიგება ამ სკანდალური ინფორმაციის სანაცვლოდ ამ დრომდე არ შემდგარა. ერთ-ერთი ინფორმაციით, უბილავა საფლაოების საქმის გახსნის სანაცვლოდ თავისუფლებას ითხოვს. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე კი პროკურატურა, სავარაუდოდ, უარს აცხადებს.

ეს საქმე პროკურატურამ უკვე სასამართლოს გადასცა. საქმის განხილვა დაწყებულია - იმ შემთხვევაში, თუ გელა უბილავას მიერ დასახელებულ გასაიდუმლოებულ საფლაოებში ცინდელიანის ცხედარი აღმოჩნდა, მაშინ გამოძიება თავიდან დაიწყება. შეგახსენებთ, აქამდე ცნობილი იყო, რომ აფხაზეთის კუდის უფროსმა რომან შამათავამ 2008 წლის 16 აგვისტოს ცეცხლსასროლი იარაღიდან თავის არეში ერთი გასროლით მოკლა სატყეო რეინჯერი დათო ცინდელიანი. ამის შემდეგ რომან შამათავამ დათო ცინდელიანის გვამს სხეულზე თოკით შეაბა ნავეზე არსებული ბეტონნარევი რკინის ღეზა და ცხედარი შავ ზღვაში გადააგდო. „პრაიმტიმთან“ საუბარში კი გელა უბილავას თანამესაუბრე გია ოშიაძე ცინდელიანის გვამის თავიდან მოშორების სხვა ვერსიაზე საუბრობს, რომელიც მას ციხეში უბილავამ გაუმხილა, იმ მიზნით, რომ ოშიაძეს ეს ინფორმაცია ძალოვანი უწყების მაღალი თანამდებობის პირებისთვის მიეწოდებინა და ის მზად იყო, გარკვეული

პირობების სანაცვლოდ, ის ადგილი მიეთითებინა, სადაც დავით ცინდელიანია გასაიდუმლოებული ვითარებაში დამარხული.

აი, რას ჰყვება გია ოშიაძე „პრაიმტიმთან“ საუბარში:

- გელა უბილავასთან ციხეში რამდენიმე თვე გავატარე. მე ფინანსური დანაშაულისთვის ვიხდიდი ერთ წლამდე სასჯელს. საკანში დავახლოვდი. მე მას გულწრფელად ვუყვებოდი ისტორიებს ჩემს შესახებ. მოუყვი ჩემი კონტაქტების შესახებ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე მქონდა ძალოვანი უწყებების მაღალი თანამდებობის პირებთან. ის მეკითხებოდა გარკვეულ დეტალებს და მეც ვპასუხობდი და ვუყვებოდი სხვადასხვა საქმეების შესახებ, რომელთა გახსნაშიც მეც ვმონაწილეობდი. დაახლოებით ერთ თვეზე ნაკლები მრჩებოდა ციხის დატოვებამდე, როცა გელა უბილავამ მომიყვა საზარელი დანაშაულის შესახებ, რომელშიც თურმე ის კუდისა და სამხედრო პოლიციის მაღალჩინოსნებთან ერთად მონაწილეობდა. ერთ-ერთი ასეთი საქმე იყო სამეგრელოში გასაიდუმლოებული საფლაოების არსებობა. უბილავა მარწმუნებდა, რომ ამ საფლაოებში (იგულისხმება სააკაშვილის დრო) ძალოვანი უწყებების მხრიდან ჩატარებული გასაიდუმლოებული ოპერაციების დროს მოკლული ადამიანები არიან დაკრძალული. მისი მტკიცებით, ამ საიდუმლო სამარხებში არის დაკრძალული დავით ცინდელიანი. აი, ის საწყადა მარწმუნებდა, სატყეო დეპარტამენტში რომ მიწაში დააფლავებდნენ და რომ გაუჩინარდა.

- და რა გითხრათ უბილავამ ცინდელიანის შესახებ?

- გელა უბილავა მიყვებოდა, რომ ზუსტად არ იცოდა, რა ტერიტორიაზე მოკლეს ცინდელიანი, თუმცა მოგვიანებით მისი ცხედარი სამეგრელოში საიდუმლო სამარხის ტერიტორიაზე მიიტანეს და იქ დაკრძალეს. ცინდელიანის გარდა, ამ სამარხებში არაერთი ადამიანის ცხედარი განისვენებს, მათ შორის, როგორც მან მითხრა, აფხაზეთში გაუჩინარებული პირებიც. საუბარია აფხაზეთზე, რომლებიც იქაურმა სპეცსამსახურებმა მოიშორეს თავიდან და ქართული სპეცსამსახურების დახმარებით სამეგრელოს ტერიტორიაზე მისთვის ცნობილ საიდუმლო სამარხებში დამარხეს.

- რა მიზანი ამოძრავებს უბილავას, რატომ გაგიმხილათ ეს ამბავი?

- უბილავა აცხადებს, რომ ის ადუაშვილის მკვლელობაში არ მონაწილეობდა, თუმცა სხვა ამაზე მძიმე დანაშაულებში მიუღია მონაწილეობა. მას სურს, გამოძიებასთან ითანამშრომლოს და მიაწოდოს ინფორმაცია გასაიდუმლოებულ საფლაოებზე. სწორედ ამაზე ვუყვებოდი. მე მას დავპირდი, რომ მაღალი თანამდებობის პირებს მივაწვდიდი აღნიშნულ ინფორმაციას და მას-

თან გაფორმდებოდა საპროცესო გარიგება. ის ციხეს დატოვებდა და ამის სანაცვლოდ დაასახელებდა იმ ადგილებს, სადაც საიდუმლო საფლაოებებია.

- გელა უბილავა თავადაც მონაწილეობდა გვამების დამარხვაში?

- ის აცხადებდა, რომ მას არაერთი დანაშაულის ჩადენა მოუწია როგორც საქართველოს, ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზე და იცის ამ საფლაოების არსებობის შესახებაც. მე ეს ინფორმაციები შესაბამის უწყებებს მივაწოდე, თუმცა რატომღაც არ შედგა მოლაპარაკება უბილავასა და ძალოვნებს შორის. რატომ, ეს ჩემთვის უცნობია.

გელა უბილავა სამართალდამცველებმა 2012 წელს დააკავეს. ის, რამდენიმე პირთან ერთად, ბიზნესმენ ავთანდილ ადუაშვილის შეკვეთილი მკვლელობაში მონაწილეობდა და ერთ-ერთ ორგანიზატორად მოიაზრებოდა.

სწორედ ამ საქმის განხილვის დროს სასამართლო პროცესებზე გელა უბილავამ სკანდალური ჩვენება მისცა და განაცხადა, რომ მისი ხელით მეგობარ ქარდავა და კოსტა კოდუა მათთვის არასასურველ პირებს იშორებდნენ. „პრაიმტიმის“ ინფორმაციით, გელა უბილავას ინტერესებს დღემდე იცავს ადვოკატი დავით მოდებაძე. ჩვენ შევეცადეთ, ყველა ის ინფორმაცია გადაგვემოწმებინა, რომელიც უბილავას ყოფილმა თანამესაუბრემ მოგვამოწა.

**დავით მოდებაძე, გელა უბილავას ადვოკატი:**

- ბ-ნო დავით, გელა უბილავამ თავის ჩვენებაში ნამდვილად დაადასტურა კოსტა კოდუასთან და მეგობარ ქარდავასთან თანამშრომლობის ფაქტი?

- კი, სასამართლოზე მისცა ასეთი ჩვენება...

- და თქვა, რომ მას ავადებდნენ ადამიანების მოშორებას?

- დიახ, ასეთი რამ მართლაც თქვა...

- გელა უბილავას თქვენი მეშვეობით ხომ არ უცვლია პროკურატურასთან საპროცესო გარიგებაზე მოლაპარაკება?

- იცით, რა? თქვენ ისეთ რაღაცას მეკითხებით, რომ მე ამ თემაზე ვერ ვისაუბრებ. გასაგებია, რომ ჟურნალისტი ხართ, თქვენ ამას აცხადებთ, მაგრამ მე ხომ არ ვიცი ზუსტად? იქნებ, რომელიმე უწყების თანამშრომელი ხართ? ამიტომაც ჩემი პასუხი იქნება, რომ არ მიმიმართავს პროკურატურისთვის გარიგებასთან დაკავშირებით.

- ამას იმიტომ მეუბნებით, რომ ზუსტად არ იცით, ვარ თუ არა ჟურნალისტი?

- დიახ, მე მაქვს ჩემი განაწესი, კონფიდენციალურობის დაცვა და სხვადასხვა ვალდებულებები. აქედან გამომდინარე, მე შეიძლება ძალიან მინდოდეს ამ თემაზე საუბარი, მაგრამ ვერ ვსაუბრობ.

- კარგი, ბოლო კითხვას დავისვამთ და თუ შეიძლება, ან უარყავით ან დაგვიდასტურეთ. თქვენი დაცვის ქვეშ მყოფთან გელა უბილავასთან გქონიათ თუ არა საუბარი სამეგრელოში არსებულ გასაიდუმლოებულ საფლაოებთან დაკავშირებით?

- ირაკლი, ვერ გიპასუხებთ... ვერ გიპასუხებთ... ვერ გიპასუხებთ.

- კარგი, ყველაფერი გასაგებია.

გელა უბილავას ადვოკატი ცალსახად არც უარყოფს და არც ადასტურებს ინფორმაციას, რომ მისთვის ცნობილია სკანდალური საქმის დეტალები, რომელიც სამეგრელოში გასაიდუმლოებულ სამარხებს უკავშირდება. დავით მოდებაძე ჩვენთან საუბარში ეთიკის ნორმებსა და სტანდარტებს იშველიებდა იმის ასახსნელად, რომ ვერ ისაუბრებდა აღნიშნულ თემაზე. საინტერესოა ამ სკანდალური ინფორმაციის გასმაურების შემდეგ გაუჩინდებოდა თუ არა უბილავასა და მის ადვოკატს დეტალებზე საუბრის სურვილი, მას შემდეგ, რაც დარწმუნდებიან, რომ ამ თემით „პრაიმტიმთან“ დაინტერესებული და არა რომელიმე სპეცსამსახური.

ირაკლი მამალაძე

**პრეზიდენტის კუთხე**  
**სატირებულები თემაზე:**  
მერე რა რომ კვლავ გეანკალებოთ სიცილითა, ნაცი უნდა გავისტუმროთ სიცილითა!  
**ანონსი**  
აქა ამბავი მეორე ტურის და დამარცხება მელის და ტურის, ლეკვის, ბახალის და ავანტიურისტ ბოკვერიახი

**ბასაშობება ზაშრ ბოლქვაძესთან**  
წუხელ სიზმარში ისევ გნახე და ვინაერტე, ნეტა, წამოგახედა: თვალწინ იმდენი ძუ და ხვადია, გაიხარებდი, ცხადზე ცხადია და რაკი მათი ახლა წადილი, ბევრს შერაცხავდი ლომად ხვადილით, ბნელზე ნათელის გამარჯვებისთვის და არჩევნების გამარჯვებისთვის. მძობას ვფიცავარ, სულ არ გეძრახვის, თავად ლომი რომ ლომს სხევებს ეძახის!

**სალომე - არა სალომე!**  
ქვეყნის ტივილზე ყრუ როა, ვაცნობოთ ნიკა რურუას, მერე რა, თუკი გაწვიმდა, მას ხმა არ მისცა მთაწმინდამ, არ გაიმიტა სალომე, არც საბელედ და არც სალომედ!


**დამპყნარ ბვირბვინი**  
რადა დაგრჩა სატრბახო, სადიდგულო, წამებულის ვვირგვინი რომ მოირგვ: როგორც მისომ ხუთდღიანი ომი, რულოვს, არჩევნები ზუსტად ისე მოიგე!

**წიკეთელება დაბვიბარა!**  
შავი კენჭები რაკი გახშირდა, არა თეთრ კენჭთა ბარბარაო, ნარჩმეშვილო, შენგან წაშლილმა წერეთელმა რა დაგვიბარაო?

**არადი კლომატიური ბზავნილები**  
„რუსთაფორი“ დრიანკელობს და ფრთებიც რომ მიაკერო, ვერ გავცდუნებ, იან კელო! თუკი ყოველმხრივ მიბაძე „ივანს“, ყოფილ მბრბანებელ „მეორე მდივანს“, წასვლა მოგიწევს, ბატონო იან, თან არც თუ გვიან!

**მატროსოვის მონატრება**  
რკოთი გამძღარი ღორის არ იყოს, მუხის ფესვებს რომ დაუწყე დაღრღნა, ნუ გიკვირს, ბედმა კვლავ რომ გაგრიყოს და წარგიტანოს შავი ზღვის ტალღამ. უკვე ახლოა ჟამი, როდესაც ჭიყლაყს ამოგკრავს მთელი ოდესა. თავს რით დაიხსნი? რა იმედი? საქართველოსკენ სვლა რაიმეთი! ჰოდა, ამბობენ: უკვე ნატრობსო, სააკაშვილი მიშა - „მატროსოვს“! (ამ ლექსის დაწერიდან მეორე დღეს მიშას ოდესიდანაც ამოუჭირეს ჭიტლაყი - რედაქცია)

ალექსანდრე შენბელია



დემოკრატიის პარალელური – არჩევნების ბაკონტილები და პოლიტიკური სტრუქტურა

ვინც „ნაცებს“ ირჩევს, ის ირჩევს ერის განადგურებას, ტირანიის გავრცელებას

ფაქტები განსჯისათვის: საქართველოში „ნაცების“ 500 000 ამომრჩეველია, ანუ სახელმწიფო დამნაშავე, საქართველო ვერ აიტანს ამერიკულ პარტიას – ასე რომ „ნაცებს“ ვერსაშუალებავს არა აქვთ.

პოლიტიკა ახარტულ თამაშს დაემსგავსა, პოლიტიკოსთა შერჩევას ამომრჩეველთა ბრძოლა მიეძღვნა. ლამისაა ერთმანეთს დაერიონ ადამიანები, თავიანთ რჩეულს, თავიანთ პოზიციას იცავენ, არათუ პოლიტიკური, ხელნართული ბრძოლადაც – მათ რჩეული ჯობია, ქვეყანას უკეთ მოემსახურება! თუმცა, არა მგონია ეს იყოს მიზეზი, ესენი სახელმწიფოებრივად მოაზროვნეებს არ გვანან. ყველა პარტიას მმართველობაზე, მთელი გუნდით ხელისუფლებაში მოსვლაზე აქვს პრეტენზია, მაგრამ არჩევნებში სულ სხვა რეალობა აჩვენა – ორი სამი პარტიის გარდა ყველა გარკვეულ პოლიტიკური ასპარეზიდან, თუმცა იხტიბარს არ იტყვენ და თავიანთი 1%-იანი პარტიის მარცხს (აღბათ, მეათედ) გაყალბებას აბრალებენ, ზოგს ვუთხარებთ და პოლიტიკურ მოღვაწეობას თავი ვაანება. ზოგი ჯიუტად განაგრძობს და ქუჩის აქციებით იმუქრება.

ყველაზე უფრო დამაფიქრებელი ისაა, რომ ნაციონალისტების „რეანიმაცია“ გრძელდება და ამომრჩეველი ემატება. ისე, პარადოქსია – ერთი მხრივ სამართლიანობის აღდგენას და „ნაციონალისტებს“ დასჯას ითხოვენ, მეორეს მხრივ კი ნაციონალისტებს აძლევენ ნდობის მანდატს. ეს მოიტანა შორს გამიხნული კომპრომისი და მომავალში შეიძლება ხელისუფლებაშიც დაბრუნდნენ, თუ ასე გავრცელდება ღლიალობა და მიტევება.

ამბობენ, ამის შიშით ხალხის ნაწილი „ოცნებას“ უჭერს მხარს – ამ ფაქტორების გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ „ოცნებასაც“ უნდა გამოიღოს ხელი – ჩამოყალიბდეს პარტიად და აკეთოს ეროვნული საქმე.

ვინდა ევროპელობით და ვინდა ამერიკასთან პარტნიორობით, და თუ რამეს ვაღმობიანებთ მათგან კარგს და პოზიტიურს, ამას მივსვალა. ნაცებმა არჩევნების მეორე ტური სასტიკად წააგეს, თუმცა, არც ეს ბრძოლა იყო შთამბეჭდავი. არა და, ეს პარტია ისევე აფერხებს ქვეყნის განვითარებას, მის მომავალს, ასე, რომ პოლიტიკური მეხსიერების დეკლარაცია კარგს არაფერს მოიტანს. თუ საკონსტიტუციო უმრავლესობა პოზიტიურ ძალებს არ ექნა, „ნაცები“ ყველა საჭირო კანონის მიღებას შეაფერხებენ.

ამ არჩევნებზე პოლიტიკურმა სტრუქტურამ გააშუქვა საბოლოოდ ვითომ პარტიები, – ზოგისთვის პარტია საშუალება იყო თანამდებობის დათრევის, და აქი დაიტოვეს იგი ალასანიამ და მისწარიცხა. ვიღაც ფული აკეთებდა, ვიღაც მარადი ოპოზიციონრობით სარგებლობდა. ბოლოსდაბოლოს როგორც იქნა გაიქცინა ზოგად პოლიტიკური ველი, მაგრამ მაინც არ ისვენებენ – გავერთიანდეთო, ქუჩიდან შევუერთოთ.

საკაშვილი თავის ქვეყანაში დასაჭურია, სხვის ქვეყანაში პრეზიდენტობისათვის იბრძვის, სადაა აქ ლოგია? საერთაშორისო კანონმდებლობა სახელმწიფოთა შორის ურთიერთპატივისცემა, ესაა დემოკრატია?

საქართველო დიდხანს ვერ ჩამოივრება იმ სირცხვილს, რასაც სააკაშვილის მართველობა ერქვა – ქვეყანა ერთი კაცის ხუმტურზე, თავის კონსტიტუცია-მთავრობიანად, ახლა ლამის მთელი საქართველო იმაზე წუხდა „ოცნებას“ არ ექნეს კონსტიტუციური უმრავლესობა, მაშინ, რატომ არ წუხდნენ „ნაცებს“ ხელში რომ იყო და უბის წიგნაკად რომ აქციეს იგი – ქვეყნის მთავარი კანონი, ოღონდ ეს არ მოხდეს და ნაცებს მიეცით ხმაო – გააკვირდნენ ექსპერტები, დანაგდული პარტიების ლიდერები. მერაბი სადაა აქ დემოკრატია – ეყოფათ „ნაცებს“ რაც მიიღეს მანათ მხარდაჭერით.

„ოცნებამ“ ისიც უნდა გაითვალისწინოს, მაქორიტარებმა სულზე მოუსწრეს, ასე, რომ მთლად სახეიმოდ არაა საქმე და მომავალი 4 წელი დიდ საქმეს უნდა შეეჭიდონ, რათა ხალხს, რომელიც ერთხელ კიდევ გვერდით დაუდგა, არ გააწილონ და „ნაციონალისტებს“ სექტა თუ ბანდა არ გაახარონ, ადამიანები მხოლოდ საარჩევნო ატრიბუტები არ არიან, იგი ერთი, ქვეყანაა, სახელმწიფოა, სამშობლოს ნაწილია, „ნაცებს“ არა აქვთ სამშობლო და ნაცია – ქართველი ერი გაყიდეს ყველა პარამეტრით, მოსპვეს ზნეობა, ღირსების გრძობა, პროფესიონალიზმი; სასამართლო, პროკურატურა, პოლიცია, სამთავრობო-არასამთავრობო ხალხის მტრად აქციეს და უახრო დიქტატორის სამსახურში ჩააყენეს. მაღალი იდეალების ნაცვლად, ინსტინქტებამდე დაიყვანეს, მოსამსახურედ აქციეს ნახევარი საქართველო – სახვარგარეთ გადახვეწილი. „ოცნებას“ ბევრი რამის გამოსწორება მოუწევს, რამეთუ ქვეყანა ნაცების ხელისუფლების მიერ იყო დაპყრობილი, არანაკლები ოკუპანტები დემოკრატიის სახელით, 10 წელი ხალხის მტრობაში-ბოროტების სამსახურში გაატარეს, ნუთუ არ კმარა დაფიქრებისთვის. საქართველო ათასჯერ უფრო დიდია ვინემ ყველა პარტია ერთად აღებული, თავის პრეზიდენტობიანად და სამთავრობო-არასამთავრობოებით, იგი უკვდავი ფენომენია დიდი სულიერი მისით, რაც ვეროპას არც კი მოეგანება, მერე რა რომ პატარაა რიცხოვნობა – სიმრავლე ჭკუას არ ნიშნავს.

პარტიამ უნდა იცხოვროს ხალხის ცხოვრებით, ხალხს როცა შია და შენ თვეში ათიათასობით პრემიას იღებ, პირად ოჯახურ საქმეებს აგვარებ, ხალხი ზურგს შეგაქცევს, არ გააპტიებს ადრე თუ გვიან. პარტია, უპირველესად, იდეური ორგანიზაციაა და არა ხალხის გაპირვებით მანიპულირებით, თვალმომკობით, დააკვებული თვითკმარი ორგანიზაცია – რისი სოციალისტები რჩეულიშიღლე-

ბი, ნათელაშიღლები და მისთანანი, რისი ერზე მაფიქრალია ესენი? „ოცნებამ“ ვერ შეასრულა დანაპირები – ისმის აქეთ იქიდან – ამიტომ „ნაცები“ უნდა მოვიდნენ? თურმე სააკაშვილი ყოფილა სიკეთე და ივანიშვილი ბოროტება? მართლა ასე ბნელა? არავინ იფიქრებდა მმართველ პარტიას თუ ამდენი საბოტაჟი და ხელშეშლა ექნებოდა.

საკაშვილს არასოდეს გაუმარჯვინია ფოთში, რამეთუ მხოლოდ ავნო მას, გაყიდა პორტი და საქართველოს სახლავო კარიბჭე ტერმინალად აქცია, ივანიშვილმა კი ფოთს რაგბის სტადიონი აუშენა, კიდევ პირდაპირ ბევრ რამეს და საერთოდ, მან საქართველოს 3 მილიარდი დაახარჯა, ასეა, ერთს იქეთ მიაქვს, მეორეს აქეთ მოაქვს ნუთუ, ვერ არჩევთ შავსა და თეთრს, დაგვაიწყდა რომ „ნაცებმა“ წაართვეს ხალხს ბედნიერება, დაიკარგა ხალხის, მუსიკა, ურთიერთობა, მოკლეს ქართველი კაცი, ამაყი, გამორჩეული, მოკლეს ქალი ღირსებით სავსე, თუმცა, გაიმარჯვა „დემოკრატია“.

„ოცნებას“ ჩამოცილდნენ არარეიტინგული პარტიები, შინაური მტრები და ახლა, ერთ მაგრამ დიდ საშიშ მტერთან გვაქვს საქმე – „ნაცებთან“, იგი აგრძელებს საბოტაჟს, მაგრამ ახლა წაყრუების დრო არაა, „დასავლური ძალები არაა პოლიტიკაში“! ნიჟიან მავანნი, „ნაცები“ ხომ იყო დასავლური და ავშენდით! დასავლეთი სამშობლოს აკრძალვას? უსამშობლო კაცი ოკეანეში უკომპასოდ მოხეტიალე გემია, ფესვებს მოწყვეტილი ხეა, ქართველი კაცი როგორმე გაარჩევს ნაცების კონსტიტუცია შესაცვლელია თუ არა – აბურდულ-ჩაბურდული სააკაშვილის პრეზიდენტობა-პრემიერობის სურვილით, როგორმე გავარჩევთ ქვეყნისათვის უფრო საშიში „ნაცებია“ თუ „ოცნების“ კონსტიტუციური უმრავლესობა.

ზურაბ აბრალავა, გაზეთ „ნიკოლაის გზით“ რედაქტორი

მეხა, მეხა, ასე ვიხის ჯაყობა, ანუ ნათელ-მირონი ჯივანუილადა!

(გაგრძელება მე-4 გვერდიდან) ამავე დროს, სიცხადე ასეთია, – ცხინვალში ქართველებმა ჯივანუილა არაა-მეთუ და არავინ კითხულობს თუ როგორ მოხდა ეს?! ამავე დროს, ოსები რომ თანაუტკივებდა, მშვიდად ცხოვრობენ დახარჩუნ საქართველოში, ესეც სიმართლე რომაა, თავშივე გითხარებთ უკვე... ამის მილიარდობა იმ შიშისთვის (გაშინებონისა თუ კაავა-ბრძოლისთვის), რომელსაც ცრემლების არ სჯერა, არც თქვენ, არც ჩვენს ვლადიმერ გუცავეს, გონა ძახოხოვს, სხვებსა და სხვებს, ქართულ მიწაზე მუხლმომბარებულ და დაპურებულ ოსებს ნათელადაც საჭიროდ.

როგორ დავიჯერო, რომ საქართველოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრებ ოსებს, რომელთაც ქართველებთან ერთად აქვთ გასაყოფი ღვინი და ჭირიც, ასე ვუხვ დაკიდებთ შეუძლიათ, უფროს ამ სადადამიანო სახის დაკარგვას, რისი შემთხვევითაც მათი თვისებები შეკობრებენ უმწეო ქართულ სოფლებში. ნუთუ ასამდე გულმხურვალედ სამართლიანი ოსი ვერ მოიძებნა, ხმისახლენამდე რომ ამცნობდა ცოდედ დედამწეს ამას!.. არადა, თქვენ წარმოიდგინეთ, ოს აგრესორთა მიერ ქართველთა ყოველი დარბევის დროს თქვენი თავსაცობთ ოსმა სახლიკაცებმა თავი რომ მოიფარონ უბედური შემთხვევის ადგილზე, გვერდში დაუდგეთ დარბეულს, ხმა აიმაღლოთ და მსოფლიოს ხმა მიწაწვინოთ, რომ ოსი აგრესორები ოკუპანტების მიხენებს ახორციელებენ, რომ ქართველები არ არიან დიდმპყრობლები, ეს ხომ დემტრსაც გაუხარდება და ასე უბოდიშოდ არ გაყოველდღიურდება ოსური თარეშიც (რაც შეეხება ქართულ დიდმპყრობლობას, რამდენადაც ვიცო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ესაა 2000-იანი წლები) რომელიდაც საიდუმლო განყოფილების გამეფ ყოფილა ოსი აგრესორების ერთ-ერთი სულიერი ლიდერი ქალიშვილი(!)... აი, „ქართველ დიდმპყრობთა“ მთელი ინგახედელება!.. ...და მაინც: ამ ბოლო კვირის მახინჯე ცხინვალის მიმდებარედ, მაგრამ გამოღმა ქართული სოფლებიდან თხუთმეტამდე ქართველი უმწეო მწყემსი, რომ იტყვიან „ქიტვას კაცი“... – წაიპანდურეს ცხინვალის ილიგისაკენ!..

გერმანო რა ასეთ დროს თავს შეკანებულად, ვაპანდურულად და ვალახულად, მზადა ვარ საღირსებო ამბოხის გამოსახატავად „კარავი დაცვ“ ამ ადგილებში, თუმცა, ისიც ვიცო, თითქმის არავინ გაიგებს ამას!.. აი, თქვენ, სახელგანთქმულმა ღერი ხაბელოვმა, თქვენი მონაგარი თომარ-ჯიდიოთა და ჯილდოებით, თქვენი საკით ცხოვრების თანად, რომელთაც ქართულმა

მიწამ დაუყვედრებლად აკაა პური, ქართველთა ყოველი დარბევის დროს აქ რომ ხმა აიმაღლოთ, ამ მავთულხლართების გასწვრივ დაუცველი ქართველების სარანგად გაიან-გამთიაროთ და მიგა და მიგ მსმართლის ხმაც რომ მიაწვდინოთ მსოფლიოში მიმოფანტულ სპორტში ნაამაგარ ადამიანებს, როგორ ფიქრობთ, ეს იმაზე ნაკლები ძალისხმევა იქნება, ლიანეს ვაღმა მომუხლუხე ტანებს რომ გაანჩიოთ?! ბატონო ღერი,

თქვენ, როგორც პარლამენტის წევრს, არჩეულს ოსური აგრესიისა და საოკუპაციო სივრცის მიმდებარე სოფლების მოსახლეობისგან, უპირველეს ყოვლისა, გუვალდავით თქვენი ძალისხმევის მოხმარება იმისთვის, რათა გაიხარჯოთ ქართული სამართლებრივი სახელმწიფოს, ქართველი ერის გონითი განჯინების სივრცეში ეროვნული მინარისის აღორძინებისა და სამოქალაქო თუ ეროვნულ-სახალხო თანხმობის უზრუნველყოფად.

გასაგებია, რომ ქართული სახელმწიფოს წარმატებული მომავლისათვის საჭიროა ქვეყნის წარსულის, განსაკუთრებით ბოლო, ერთსაუკუნოვანი დივერსიული ეთნოფაბრიკაციების სამართლებრივი პოლიტიკური შეფასება და ამის შესაბამისი საორგანიზაციო დასჯენების განხორციელება. ეს აუცილებელია იმისთვის, რათა მომავალში არავის გაუხინდეს იმედს, რომ მის მიერ ქვეყნისათვის ზურგში ჩაცემული მახვილის სისხლიან კვალს, ისტორია ჩამობანს და პასუხს არავის მოსთხოვს. ამ ჭრილში უნდა იქნეს განხილული თქვენს მიერ და სახელმწიფოს ყველა სათანადო საშუალების მიერ ამ პროვოკაციების შესახებ მიწოდებული ცნობა მსოფლიოს საზოგადოებრიობისათვის, რომ რუსიზმის შეგზურმა და დასაყრდენმა კავკასიაში (უპირველეს ყოვლისა, საქართველოსა და ინგუშეთში) ოსმა აგრესორებმა. მას შემდეგ, რაც წარმატებით გაართვეს თავი ბოლშევიზმის მიერ მათზე გაპროპაგანდული დივერსიას, – ეწარმოებინათ ძირუამოძრნელი საქმიანობა დამოუკიდებლობა აღდგენილი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ და ხელი შეუწყეს საოკუპაციო ძალების შემოჭრას ქვეყანაში. ასეთი თანამოსახურებისთვის ჯილდო მიიღეს მათთვის ქართულ მიწაზე მიხნობრივად ფაბრიცირებული „სახელმწიფო წარმომადგენელი“.

ბუნებრივია, ქართველი ერის სახალხო ნებისადმი მიქსიანებულმა ოსმა აგრესორებმა, ბოლშევიკური რუსეთის ხელშეწყობით და ქართველი გამჭიდვლებების თანამონაწილეობით გაწეული საქმიანობის საფასურად, მოითხოვეს და გაინადგეს ჩრდილო ქართლში ე. წ. სამხრეთ ოსეთის ისეთი ავტონომიური ოლქის შექმნა, როცა

თვით ტერმინი სამხრეთ ოსეთი – უკვე ნიშნავდა შიდა ქართლის გასხვავებულებას. ვიმედოვნებ, როგორც მსოფლიო საზოგადოებრიობას, შესაბამის საერთაშორისო ინსტიტუტებს, ასევე და, პირველ რიგში, ოს მოსახლეობას, თქვენს მიერ, თქვენი სტატუსის საფუძველზე, უნდა განემარტოს, რომ დღეს ოსი აგრესორები განაგრძობენ იმავე საქმიანობას, რასაც ჩაიბრუნდნენ მათი წინაპრები და წინამორბედები. ესაა ადამიანური ნაწილის დაღვრე მიმართული დანაშაული, რაზედაც პირადად უნდა მიმართოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს, ევროკავშირის შესაბამის ინსტიტუტებსა და ა. შ.

დაბ, თქვენ, როგორც ოსური აგრესიის მიმდებარე მხარედაც არჩეულმა დემეტრმა, საქართველოს ოსტაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებთან ერთად, ჯერ ერთი, უნდა შეისწავლოთ და საყოველთაოდ გასაჯაროებოთ ოსი აგრესორების ძალადობითა თავისებურებები და მეორეც, ამის შესახებ სისტემატურად კვალიფიციური მოხსენებები უნდა წარადგინოთ სათანადო საერთაშორისო ინსტიტუტების წინაშე, რითაც ხელი უნდა შეეწყოს იმის სწორ განმარტებას, რომ ოსი აგრესორების ძალადობა, ისევე როგორც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) სეპარატისტული თხორკრალითა აგრესია, კვლავაც განაგრძობს ქართველთა გეოგრაფიისა და ეთნიკურ წმენდას.

თქვენ, ბატონო ღერი, რომც არ გქონდეთ შესაბამისი სასამსახურო დავალება ამაზე, არ იღებდეთ ამისთვის სათანადო ხელფასს, როგორც სპორტისა და ახალგაზრდობის კომიტეტის თავმჯდომარეს საქართველოს პარლამენტში და იმავდროულად საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის თავკაცს, რომც არ გააჩნდეთ შესაბამისი რწმუნება, ამის მიუხედავად, ზნეობა უნდა ეკარნახობდეთ იდეალთ იმისთვის, რათა გვერდში დაუდგეთ და დაცვათ როგორც საქართველოს მოსახლეობა (განსაკუთრებით, თქვენი ამომრჩევლები), ასევე, თქვენი თანამომეგობრები – ოსი ეროვნების მოსახლეობა. იგი უნდა იხსნათ უპატიებელი ცოდვისაგან და ახსნათ მათ ბოლშევიზმის მიერ შემოადვირებული მოვალეობა, რომელიც ავადებს მას ჭანდარმის მდღეურად დაუდგეს ღიერსიულ დავალებებს საქართველოს წინააღმდეგ, რასაც, ადრე თუ გვიან, ბოლო მოეღება და მაშინ ოსი მოსახლეობა, რომელსაც დიდი ცოდვა მიუძღვის კავკასიის ხალხთა თავისუფლებამოყვარებულის წინაშე, ვეღარ იპოვს თავშესაფარს ამ ციხევეთში.

ეს თქვენი მოვალეობაა, ბატონო ღერი, ჯამაგირი გემდევით ამისთვის. პატივისცემით, სმრბი სპაპია 2016 წლის 30 სექტემბერი

საქართველოს სჭირდება საუნივერსიტეტო ქალაქი?

(გაგრძელება მე-2 გვერდიდან) დავუშვათ ყველა ზემოთყვანილი „წერილობანი“ მოგვარდა, რა ბედი ეწევა უნივერსიტეტდამთავრებულებს? როგორი იქნება მათი დასაქმების საკითხი? სად იმუშავენ იხინი – არარსებულ საწარმოებში თუ ფაბრიკა-ქარხნებში? დღეს ექიმი, დევლოპერად საქმიანობს, მშენებელი – ოფიციატად ან ტაქსის მძღოლად და ა. შ.

სასწავლებლის დაარსებას, როგორც ივანიშვილი გვამაც, წინასწარ შესწავლა-განაღმა ეხატებოდა, რაც მეცნიერებმა (თუკი ასეთი დარჩნენ ქვეყანაში) ან უცხოელმა ექსპერტებმა უნდა გაინაგარიშონ. ერთი კაცი, თუნდაც ისეთი „გენიოსი“, როგორც ბიბინა, ამას ვერ შეძლებს. რასაც ის შეძლებს – ფულის გადაყრას, ისე, როგორც საკონცერტო დარბაზის მშენებლობაში.

მაგანი აქცე შემედევება – თავის ფული ყრის და სახელმწიფოს უშენებს. ამ სახელმწიფოს უამრავი კერძო თუ სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვს, მაგრამ არ აქვს ფაბრიკა-ქარხნები, საწარმოები, სადაც ხალხი დასაქმდება. და კიდევ ერთი რამ – ივანიშვილი ამ ქალაქს წევნგან ამოქანიული ფულით ააშენებს და არა საკუთარი მშობლების მიერ დატოვებული. ის, არც ისეთი სულელია, თავისი ფული დახარჯოს. ისე, კაცმა რომ თქვას ქუთაისს რაც სჭირდება – გამართული საკანალიზაციო სისტემა და სახმელი წყლით მომარაგებაა. და როდესაც ეს უპირველესი აუცილებლობა არ გაქვს მოგვარებული – „ზღაპრულ“ სტუდენტთა ქალაქზე ხმა არ უნდა ამოიღო.



აფხაზები ნაკრებობით ახგრალები პარიზ

ზუგდიდის წაღწევაში რომ მივიდეთ, ხელმძღვანელებს, იქ, სადაც მკვეთრი მოსახლეობა, თითქოს ვიღაცად თეთრი გედი დააფრთხო, ისე მოულოდნელად ამოფრინდება სივრცეიდან თეთრი კვლეხია. ეს კორცხელის კვლეხია...

ნემი ცხოვრების გზაზე დავს ეს კვლეხია - ნახევარი საუკუნეა, ის მხედება სახელში დაბრუნებულს და ის მიმაცილებს სახლიდან თბილისისკენ მიმავალს.

კორცხელის ამბები რომ ვნახე, რატომღაც სწორედ ეს კვლეხია გამახსენდა უცებ და პირველი კითხვა, რამაც გონებაში გამიფლავა, ეს იყო:

- როგორ შეიძლება მომხდარიყო ის, რაც სამეგრელოს ამ უმშვენიერეს სოფელში მოხდა?

მხოლოდ ცემა-ტყევის ამხარხარ ფაქტებს არ ვგულისხმობ, პირველ ყოვლისა, ის მარცხებს და მაკვირებს, როგორ შეიძლება იმ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც ყველაზე დიდი შეუარაცხოვრა და ყველაზე დიდი ტყვეობა შეაყენა ამ კუთხეს, სამეგრელოს თუნდაც ერთ სოფელში გაემარჯვა?

სანამ ამ კითხვას პასუხს ვაკვირებ და სანამ იმ პრობლემაზე ვისაუბრებ, რომელიც დღეს არსებობს სამეგრელოში და რომლებიც შეიძლება იყოს მიზეზი „ნაც-მორაობის“ იმ უცნაური და ალოგიკური გამარჯვების სამეგრელოში, მინდა ერთი ნემი აღვინდოვო წერილი შემოვთავაზო, რომელსაც, ნემი ახრით, აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს.

ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, იქნებ, ცოტათი მაინც გაგვიადვილდეს ზუსტი შეფასებებით მივცეთ სამეგრელოს რეგიონში მიმდინარე პროცესებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ქართული სახელმწიფოებრიობის უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს საკითხებთან.

მეგრულში არსებობს ასეთი სიტყვა - უხისხირე, რაც პირდაპირი თარგმანით უხისხლოს ნიშნავს, გადატანითი მნიშვნელობით კი - უგულოს, უჯიშოს, უნდის, ნათესავის, ახლობლის არმოყვარეს.

არ მინდა უხისხირე საქართველოში ცხოვრება!

უხისხირე საქართველოს ცქერით დავიცინავ, იმ საქართველოს ცქერით, რომელსაც შეუძლია ამდენი ხნის განმავლობაში მშვიდად უყუროს, როგორ შეუარაცხოვრებენ მის სისხლსა და ხორცს, როგორც დათა თუთაშვილი იტყობა, წუპაკი მაშადღებო.

შეგრძობას იმისა, რომ მე და ისინი ერთნი ვართ, შეგრძნებას იმისა, რომ მათ გარეშე არ ვარსებობ მე და ნემს გარეშე არ არსებობენ ისინი, ერთადერთ, უაღრესტერნადი დასკვნამდე მივყავართ - სადაც არ უნდა ვიყოთ, ვინც არ უნდა ვიყოთ, ჩვენ ერთმანეთის წინაშე საერთო პასუხისმგებლობა გვაკისრია და როდესაც უარს ვამბობთ ამ საერთო პასუხისმგებლობაზე, ამით უარს ვამბობთ საკუთარ თავზე.

მე მგონი, სამშობლოს დაღატი სხვა არც არაფერია, თუ არა უარის თქმა საერთო პასუხისმგებლობაზე.

რამდენ ქართველს აუცრემლდა თვალები იმ დღეს ამ შემარტყუნებელი კადრების ნახვისას, რამდენ ქართული მუშტი შეიკრა ნიშრისა და ბლდისგან?

არ ვიცი, ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი ვიცი, რომ საქართველო კარგა ხანია, ორად არის გაყოფილი - ერთ მხარეს ბედნიერი, მაღალი, კმაყოფილი, მხიარული, უზრუნველი საქართველო, მეორე მხარეს - უბედური, მშვიერი, დევნილი, დამცირებული და შეურაცხყოფილი...

- მეგრულ სკოლებს გავიხსენით, მაღალ ხელფასებს დაგინიშნათ, ისწავლეთ და განათლდითო! - შემოგვაპარეს აფხაზმა ძმებმა.

- არა, ჩვენ მშობლიურ ენაზე გვინდა სწავლაო, - იუარა ტელეკამერის წინ ერთმა მეგრულმა, იუარა არცთუ ისე ხეირიანი ქართულით, რბილი ლ-თი და მეგრული ინტონაციით.

განა ამ მეგრულმა არ იცის, რომ მეგრული ენაც მისი მშობლიური ენაა, მაგრამ მას მაინცდამაინც ქართულ ენაზე სურს განათლება მიადელოს თავის შვილებს, რადგან მან იცის, რომ ქართული ენა სახელმწიფო ენაა, ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლოა და ამ ენისთვის უარის თქმა ქართული სახელმწიფოს უარყოფას, ამ სახელმწიფოს სივრცეიდან გასვლას ნიშნავს.

დაიხ, ამ მეგრულმა გულგატკეპან ხეირიანად არ იცის ქართული, სამაგიეროდ, მან იცის, რას ნიშნავს საქართველო, რაც არ იხივს ზოგმა ქართველმა აკადემიკოსმა, პოლიტიკოსმა, მეცნიერმა, მწერალმა, ჟურნალისტმა!!!

ამ მეგრულმა, საუკუნეების წინათ, ნებაყოფლობით შესწირა მსხვერპლად თავისი უმშვენიერესი, უძლიერესი მეგრული ენა საერთო ქართული სახელმწიფოში შექმნის იდეას, რომ ამ სახელმწიფოში ქართულთან ერთად მეგრულიც გადაერჩინა, როგორც

ქართული ძირი და ფესვი, მისი განუყოფელი ნაწილი, გადაერჩინა თავისი თავი, თავისი თვითმოყოფლობა და განუმეორებლობა.

მაგრამ - არაო! - უთხრეს ამ გულუბრყვილო მეგრულს და მეგრულად ნათქვამი სიტყვა ქართულად არ ჩაუთვალეს, ენა დაუწუნეს, საკუთარ სახელში უცხოად აკრძობინეს თავი, ერთმანეთში მეგრულად საუბარი ღამის სეპარატიზმად მოუნათლეს, დააკომპლექსეს, დათრგუნეს.

ქართველსა და ქართული სახელმწიფოს არსის არასწორმა გაგებამ, საქართველოს ერთიანობის ყალბად გაგებულმა კონცეფციამ შვა გაუცხოებისა და უნდობლობის ატმოსფერო, რომელიც ხან რას მოგვალანდებს და ხან - რას...

როგორ ხდება ეს - გაღში, გნებათ, სამახაბლოში თმია, დანარჩენი საქართველოში კი მშვიდობაა და იმავე ქართულ ტელეეკრანებზე ისეთი დიმიტიურ და პარიპარადეა განადებული, თუ ძალიან ფხიზლად არ იქნები, შეიძლება დაგაფრთხოს, რომ შენს სამშობლოში თმია! აკი ბევრს დაავიწყდა კიდევ და ამ სისხლით და ცრემლით გააბოხლდნენ ეკრანზე ახლა თავის უბადრუკ ბედნიერებას, თავის უბადრუკ სიმდიდრეს ჰგონს და სულაც არ ადარდებს, რას იტყვის მამაზე ის გაღული დედა, რომელსაც გაღიდან წაღწევისაში მიჰყავს შვილი, რომ იქ როგორმე ქართულ სკოლაში ასწავლოს და ქართველად აღუზარდოს საქართველოს.

უკიდურესად უჭირს ამ დედას - შვილისთვის ხეირიანი ტანსაცმელი ვერ უყვია, ნორმალურად ვერ გამოუკვებავს, მაგრამ ამ გზას, საქართველოსკენ მიმავალ გზას, მაინც ვაიწყებ არ თმობს!!

- აღოსავლეთ საქართველოს მოგვარეთ, ამ მეგრულმა რა გააჭირვებთ საქმე? - ასეთი რამ უთხრა, თურმე, ერთმა გენერალმა ერთ ქართველ მწერალს და მეცნიერს (გენერლის ეროვნებას შეგნებულად არ ვახსენებ).

მართლაც, რა „გააჭირვებ“ საქმე ამ მეგრულმა თავისი საქართველოთ?

- აფხაზეთის თმი, ეს იყო მეგრელების წინააღმდეგ დაგეგმილი გენოციდი, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტამდე გაცილებით ადრე დაიწყო, დაიწყო მაშინ, როდესაც შეიარაღებულმა ბანდიტებმა ხუთჯერ დაგადაურეს საქართველოს, - ასეთ შემადრწუნებელ შეფასებასაც გაიგონებთ ხოლმე მავანთაგან.

- ჯერ აქ გადაუარეს ხუთჯერს, მერე კი აფხაზეთში ჩასდიეს, - უფრო ამბაფრებენ ამ შეფასებას სხვები - იქიდან კი კოდორის ხეობით გადამოტრეკეს და მთელ საქართველოში დაფანტეს - როგორც ციხეში, ისე გამოკეტეს სასტუმროებში, საერთო საცხოვრებლებში, მიტოვებულ შენობებში, თერთმეტი ღარი მიუჯდეს და იქ სიკვდილს გადარჩენილი, აქ გასწირეს სასიკვდილოდ.

ასეა თუ ისე, მთელს ამ ცუდად აბურდულ-დაბურდულ ვარაუდებში ერთი რამ უდავოა - აფხაზეთში ქართველობის დიდი ნაწილი მეგრული წარმოშობისაა და საქართველოს დაწოქების შემდეგ აფხაზეთში გადასქრება მეგრეთა ხერხემალში, გადამსხვრევის მცდელობად რომ შეფასდებოდა მჭკვის მოხვედრა მეცადინეობით, ეს სულაც არ არის გასაკვირი.

ხანდახან ვფიქრობ, მართლაც ძალიან ჭკვიანურად და ვერაგულად ხომ არ იმუშავა ძალიან ჭკვიანმა და ვერაგმა მტერმა და სისხლკანი დრამა, რომელიც ქართველებმა გაითამაშეს ერთმანეთთან და რომელშიც მოგვიანებით აფხაზეთის თუმაც ჩაერთო, იმ ჭკვიანი და ვერაგო მტერის მიერ ხომ არ იყო დაწერილი?

ამ დრამაში მთავარ როლებს ჩვენ, ქართველები კი ვთამაშობდით, მაგრამ არ ვიცოდით, რას გტამაშობდით და როგორი იქნებოდა ამ თამაშის ფინალი.

სამეგრელომ აფხაზ სეპარატიზტა პირველი მცდელობა მომენტალურად ადკვეთა, როცა მთელი სამეგრელო, დიდიან-პატარიანად, დადივას მიაწყდა თავისიანების გამოსასარჩლებლად, რომლებსაც, ვიდაცებმა გაბედეს და შეურაცხყოფა მიაყენეს.

- ქართველთა შეურაცხყოფილები უნდა დაისაჯონ! - ასეთი იყო ამ მრავალრიცხოვანი სახალხო ლაშქრის საერთო გადაწყვეტილება და არ არსებობდა ძალა, რომელიც ამ გადაწყვეტილების აღსრულებას ხელს შეუშლიდა. სეპარატიზტები მიუყენდნენ, გაისუსხნენ და მხოლოდ მაშინ ამოიღეს ხმა, როდესაც ხელუხადი დასქრობის შედეგად უჯიშოთ სამეგრელო ბოლოსდაბოლოს „მოათვინიერა“ სამხედრო გადატრიალების შემდეგ მოსულმა ქართულმა ხელისუფლებამ, რითაც აფხაზ სეპარატიზტებს მთავარი საფრთხე მოუხსნა და გაუნეიტრადა.

ჯერ სამეგრელო უნდა დაემარცხებინათ სამეგრელოში, რომ მერე ადვილად დაემარცხებინათ საქართველო აფხაზეთში - აი, რა ამოცანა დაისახა ვიდაცამ და ეს ამოცანა წარმატებით შეასრულა კიდევ!

მოგვიანებით სამეგრელო აფხაზეთის ტერიტორიიდანაც გააძევეს, რითაც დასრულდა საქართველოსგან აფხაზეთის ჩამოშორების დიდი გეგმა.

დაიხ, აფხაზეთში ქართველთა გენოციდი განხორციელდა და რადგან ეს ქართველები იმავდროულად მეგრელები არიან, იმის თქმა, რომ ეს იყო მეგრეთა გენოციდი, მაინცდამაინც დიდ აზრობრივ ცდომილებას არ უნდა შეიცავდეს.

- აფხაზეთის საკითხი სამეგრელოში წყდება! - ამ მოსახრებას ძალიან ბევრი ქართველი პოლიტიკოსი იმეორებს სხვადასხვა ვარიანტით და შეფერილობით, მაგრამ არავინ ამბობს, რა რესურსები დარჩა გოლგოთის გზამკვლევი სამეგრელოს აფხაზეთის საკითხის გადასაწყვეტად.

არც სამეგრელოში დარჩა სამეგრელო - უკიდურეს გაჭირვებაში ჩაგარდნილმა მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი რეგიონი დატოვა და სხვადასხვა ქვეყნებს მიაშურა ლუკმაპურის საშოვნელად, ვინც შორს ვერ წავიდა, თბილისის ბაზრებს შეეხიზნა, „გაბიბილესელა“ და მშობლიურ კუთხეს მოსწვდა.

არც სამეგრელოში დარჩა სამეგრელო. არც აფხაზეთში დარჩა სამეგრელო და შედეგად, საქართველოს მონოლითური სხეული შეირყა, დაიბზარა, დაშლის პირას მივიდა.

სამეგრელო საქართველოს ხერხემალია, - ყველას გავხსოვს ეს ფრთიანი ფრაზა.

და თუ სამეგრელო საქართველოს ხერხემალია, მაშინ ზუსტია მტრის გათვლა - ამ ხერხემალს გამეტებით უნდა ირტყა, დაღვეო, დაფშვანა, რომ საქართველომ მყარად ფეხზე დგომა ვერ მოახერხოს.

არა მარტო აფხაზეთის ქართველობა, თვით იმ ადამიანების 60-70 პროცენტი, რომლებიც დღეს აფხაზეთში ცხოვრობენ და თავიანთ თავს აფხაზეთში უწოდებენ, წარმოშობით მეგრელები არიან!!

ძალიან გულწრფელად და ალაღად თუ ჩაუვლირებებით აფხაზურ საკითხს, ეს საკითხი აფხაზური კი არა, მეგრული საკითხი გამოდის, უფრო ზუსტად - მეგრულ-აფხაზური!

მეგრეთა ერთმა ნაწილმა, რომელსაც ქართულმა სახელმწიფომ ვერ მოუარა და ვერ უპატრონა, ფაქტობრივად, საძირკველი განუმტკიცა მცირერიცხოვანი აფხაზური ეთნოსის აფხაზ ხალხად ჩამოყალიბებისა და გარდასახვის პროცესს.

ის, რაც აფხაზეთში მოხდა, უპრეცედენტო, ცოტათი ტრაგიკომიკური შეფერილობის იტორიაა, რომელსაც ანალოგი ძნელად თუ მოუძებნა.

საქმე ის არის, რომ ეს მეგრული, რომელიც თვითონ იყო აფხაზი ანუ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი, დროთა განმავლობაში აფხაზურ ენაზე ამეტყველდა და აფხაზად გადაკეთდა, სახელი აფხაზი კი შეინარჩუნა.

ასე მივიღეთ აფხაზურ ენაზე მოლაპარაკე მეგრული აფხაზეთი ანუ აფხაზურ ენაზე მოლაპარაკე ქართველობა, რომელმაც აფხაზეთი მწირი რიგები შეავსეს, გააძლიერეს, გაამრავალრიცხოვნეს და აფხაზებად გადამოთარგმნელ აფხაზეთთან ერთად შექმნეს ადამიანთა ის გაეროთიანება, რომელსაც დღეს აფხაზ ვრს ვეძახით.

რომ მოხდეს საოცრება და კახეთში პანიკელმა ქისტებმა კახელები დაირტყან, კახელებს ერთი ნაწილი კი ქისტურად ამეტყველდეს და მერე ორივემ ერთად იმის მტკიცება დაიწყო, კახელები მხოლოდ ისინი არიან, რომლებიც ქისტურად ლაპარაკობენ, ხომ გაგიკვირდებათ?

გაგიკვირდებათ, აბა, რა! ჰოდა, დაახლოებით მსგავსი რამ მოხდა აფხაზეთში, მოხდა, ფაქტობრივად, ჩვენს თვალწინ.

ბოდიშს ვიხდი ჩემს ძვირფას კახელებთან, მათი სახელი რომ ვახსენებ ამ უხერხულ კონტექსტში, მაგრამ ეს მეტი სიცხადი და თვალდასწრებით გვაკავებდა - რაც კახეთში შეუქმლებელია, რომ მომხდარიყო, რატომღაც შესაძლებელი გახდა, მომხდარიყო აფხაზეთში?

რატომ? რატომ და, სწორედ იმიტომ, რომ კახეთსა ქართველობა არასოდეს არავის დაუყენებია ეჭვგამა, რასაც ვერ ვიტყვით ბედუკუდმართო მეგრელების მისამართით.

მეფის რუსეთიდან მოყოლებული, კომუნისტურ ეპოქაში „მეგრეთა საქმით“ დაგვირგვინებული, პოლიტიკა მეგრეთა წინააღმდეგ, სინამდვილეში ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული პროეკცია იყო, რომელსაც ხანდახან ქართული საზოგადოებაც აყოლებდა ხმას საქართველოს ერთიანობის სახელით.

მეგრული - მარადიული ეჭვიმტანით, ქართული სახელმწიფოს სადარაჯოზე „ფხიზლად“ მდგარი ქართველის ფხიზელი მზერით გაბოშილი-აწონილი, ამ სუსხიანი მზერის მარადიულ კონტროლქვეშ მყოფი, სულ იმის მტკიცებაშია, რომ ქართული

სახელმწიფოს ერთგულია.

ვინც ამ მარადიული ეჭვიმტანის სტატუსს ვერ გაუძლო, ვინც თავის მართლებით დაიღალა, ერთხელაც გაბრუნდა და: - დამანებეთ თავი, არა ვარ ქართველი, მეგრული ვარ და შემეშეთო, - თქვა.

ეს საბედისწერო დასკვნა, რომ მეგრული კი ხარ, მაგრამ ქართველი არა ხარ, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებს და უსახელმწიფოდ დარჩენილი ბოვანო აფხაზა უფრო ადვილად გახდები - ან გარუხდები, ან სულაც „აფხაზთა სახელმწიფოს“ შექმნი და ამით მოიკლავ სახელმწიფოებრიობის შინაგან მოთხოვნილებას, ათასწლეულებში გამოტარებულ გენეტიკურ ხსოვნას სახელმწიფოებრიობისა.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აფხაზი ხალხი ფრიად მცირერიცხოვანია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძალზე მცირე რაოდენობა იმ მეგრელებისა, ვინც აფხაზეთში მოაწერა ხელი, ხოლო ის სამახსია ათასი ადამიანი, რომელიც ჯერ მშვიდობიანობის, მერე კი ომის დროს თავგანწირული იბრძოდა ამ, ძირძველ ქართულ მიწაზე საქართველოს შესანარჩუნებლად, ამ სამახსია ათასი ადამიანიდან ყველა, უკლებლივ ყველა გმირია, თუმცა, დღეს მათ გმირები იქიდანაც და დევნილები ჰქვიათ - დევნილები იქიდანაც და დევნილები აქედანაც...

აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი გულია წარმოშობით მეგრული იყო და, როგორც ამბობენ, სიცოცხლის ბოლო წლებში რატომღაც ძალიან ნანობდა, რომ აფხაზებს მწერლობა შეუქმნა...

დიმიტრის ვაჟი, გიორგი გულია, მწერალი იყო, ოღონდ რუსულენოვანი ანუ რუსი მწერალი.

რადაც კანონზომიერება არის იმაში, რომ მეგრული გულიას აფხაზურ მწერლობაზე ქორწინებამ ქვეყანას რუსი მწერალი მოუვლინა და არა აფხაზი მწერალი!

გიორგი გულია მეგრელების ანუ ქართველებისთვისაც დაიკარგა და აფხაზეთისთვისაც... რაც გულიებს დამართათ, იგივე დამართათ ბევრ სხვა აფხაზეთულ ქართველს - თვითონ თუ არა, მათი შვილები და შვილიშვილები გარუხდნენ, ამ ფინალისთვის კი ნამდვილად არ ღირდა ამდენი წვალება და ჯახირო.

აფხაზური მწერლობის, კულტურისა და ხელოვნების შექმნასა და ცამოყალიბებაში ღმობს წილი უდევთ წარმოშობით ქართველ ინტელექტუალურ მამულეებს და იანხირებს, თუმცა ესენი მაინც უფრო შემსრულებლები იყვნენ, მთავარი დამკვეთი კი საგვტოთა კავშირის იდეოლოგიური სამსახური გახლდათ, რომელმაც სტალინისა და ბერიას შემდეგ, ფაქტობრივად, ამ ქართველების მიერ „დაწავრული“ აფხაზეთის მეურვეობა და აპეკუნობა იკისრა.

აფხაზეთს სტალინი იმდენად არა, მაგრამ მერხეულელი ლავრენტი ბერია კი განსაკუთრებული სიძულვილით სძულდათ და თავიანთ ყველა უბედურებას - დაწყებული ნესტორ ლაკობას უცვარი სიკვდილით, დამთავრებული აფხაზეთში ქართველთა მასობრივი ჩასახლებით - ბერიას სახელს უკავშირებდნენ.

ბევრს გაუკვირდება, მაგრამ, რადგან ბერიაზე ჩამოვარდა სიტყვა, ვისარგებლებ შემთხვევით და ბარემ აქვე ვიტყვი: ბერია, ალბათ, სტალინის წემი დასტურით და თანხმობით, ქართული მოსახლეობის გეგმაზომიერი გადანაწილებით და გადაჯგუფებით ხელახლა აითვისა და ქართული ინტერესებს დაუქვემდებარა ისტორიული ბედუკუმართობის გამო ქართული მოსახლეობისგან დაცლილი ქართული ტერიტორიები.

მეგრული ბერია იყო ის კაცი, რომელიც სამეგრელოს ავტონომიის შექმნის იდეას დაუპირისპირდა, როგორც ზოგადქართულ ფასეულობათა საზიანო მოვლენას, თუმცა, „მაღლიერი“ ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის აქტიურობით ბერიას მოგვიანებით მაინც „გაუნალიხეს“ მეგრეთა საქმე“, რომელიც თბილისელი ინფორმატორების „დანოსების“ და ცილისმწამებლური წერილების საფუძველზე შეითითნა და რომელშიც ბერიას მეგრული კადრების (!) დაწინაურებასა და მფარველობაში ადანაშაულებდნენ.

# ბრიტოკრი პარასინი – რუსეთი საქართველოსთან უზიზღო რეჟიმს არ გამორიცხავს

უეჭველია, რომ რუსეთი საქართველოსთვის უზიზღო რეჟიმის დაწესებას არ გამოირიცხავს, თუმცა ამ საკითხში თბილისსა და ევროკავშირის შორის მოლაპარაკებების გათვალისწინებაა საჭირო. ამის შესახებ რუსულ სააგენტო „რია ნოვოსტი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა განაცხადა.

„პრინციპში, საქართველოსთან უზიზღო რეჟიმის შესაძლებლობას არ გამოვირიცხავთ. რა თქმა უნდა, ამ საკითხსადმი მიდგომისას, საჭიროა შესაბამისი პროცესების წინასწარ გათვალისწინება ევროკავშირსა და საქართველოს შორის“, – განაცხადა გრიგორი კარასინმა.

მან აღნიშნა, რომ დაახლოებით ერთი წლის წინ მოსკოვმა საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის ვიზის აღების პროცესი მნიშვნელოვნად გაამარტივა. ასე თანდათან უნდა გაიხსნას ის გორდის კვანძი, რაც საქართველოს ოსხვიეს თავს ნაცვალმანამა ბელადმა მიხეილ სააკაშვილმა.

როგორც მან აღნიშნა, 2012 წლის შემდეგ, როდესაც ბრიუსელმა და თბილისმა ვიზალიბერალიზაციაზე მოლაპარაკებები დაიწყეს, თბილისისთვის მომზადდა დეტალური სამოქმედო გეგმა, რომლის შესრულებაზეც თბილისი რეგულარულად აბარებდა ანგარიშს.

„საუბარი დიდ და შრომატევად სამუშაოზე, რომელიც, სავარაუდოდ,



# ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი

## ბატონო როლანდ,

უნდა ვაღიარო, რომ გახეთ „ილოროში“ დაბეჭდილი თქვენი წერილი: „შე უკვე 75 წლისა ვარ“ – აუღელვებლად ვერ წავიკითხე... სურვილი გამიჩნდა განსაკუთრებული ფრანგებით გამოვხმაურებოდი ამ წერილ-აღსარებას, მაგრამ როგორც კი წერა დავიწყე – უმაღლესი გადავიფიქრე, რადგან მაღალფარდოვან და ზემეტყველად გადაელატულ სიტყვებში აღბათ იკარგება ის, რასაც გულწრფელობა პყვი... აი, არაგულწრფელი კი, ნამდვილად არ მსურს ვიყო, მით უფრო, რომ საქმე ეხება ჩვენი სვეტარეულები ხალხის გამორჩეულ შეილთაგან – ერთერთს, ანუ ადამიანს, რომელსაც ამ საკმაოდ სოლიდურ ასაკშიც როდი სურს მოსვენება და დღემდე ქარქაშში ხმალანუგებელი – შეურიგებლად, დაუღალავად იბრძვის მამულის გასაპარტახებლად მოძალბებულ შავბუნელ ძალთა წინააღმდეგ! მართალია – წარმოუდგენლად ძლიერი და მზაკვარია მტერი! მართალია – უთანასწოროა ეს შერკინება! მაგრამ, მიუხედავად ამისა, მწამს, რომ თქვენი და თქვენნიარი მამულიშვილების ბრძოლა ფუჭი არ იქნება! დიახ, არ იქნება ამო ეს სულისკვეთება! არ იქნება, რადგან საერაღური და სამართლიანი საქმის აღსრულებისათვის ძალისხმევაში უფლის შემწეობაც არ დააყოვნებს დიდხანს! ძვირფასო ბატონო როლანდ, მეტს აღარ გავაგრძელებ, მაგრამ ბოლოს ესეც მინდა ვთხრობათ: ნამდვილად გაცხებული ვარ თქვენი შეუდრეკელობით! მინდა გისურვოთ ხანგრძლივი და ბედნიერი სიცოცხლე! მინდა იხილოთ, უსათუოდ მალე იხილოთ კოლხა-იბერიის აღორძინება!

მაღას ქოთიდან შურობზე უღაბადეში გოპირუა! ირითათ კომორტგილო ქო ოფედათ!..

პატივისცემით, ზურაბ კვარაცხელია

## პოსტ-საარჩევნო ფიქრები...

ჩემო მეგობრებო! აი, ჩამთავრდა წლევედელი საარჩევნო ბატალიები და როგორც ეს მოსალოდნელი იყო – ხელისუფლება შეინარჩუნეს კორდონებს იქედან სტიმულირებულ-მხარდაჭერილმა მარიონეტულმა პოლიტიკურმა ძალებმა... მართალია ისიც, რომ გამონდენენ ახალი სახეებიც, მაგრამ, პრინციპში, ეს არაფერს ცვლის, რადგან ძირითადად მაინც საკანონმდებლო ორგანო დაკომლექტებულია ფაქტიურად ერთი და იმავე იდეოლოგიურ პლატფორმაზე მდგომი ორგანიზაციებით და პერსონალიზებით... ასე რომ, დიდი მოლოდინი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა ჩვენ ნამდვილად არ უნდა გვქონდეს. თუმცა, არ შეიძლება გარკვეული პოზიტივიც არ დავინახოთ თუნდაც იმაში, რომ მიუხედავად

დიდი ბაქი-ბუქისა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ვერ მოახერხა უმრავლესობით გამარჯვება! ისე, მე რომ მკითხოს კაცმა – ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის საერთოდ უნდა აეკრძალათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება! მაგრამ, მესმის ისიც, პრინციპში თუ რატომაც არ მოხდა ასე! გასაგებია ეს ყველაფერი, რადგან ყბადღებული კოპაბიტაციის და ევრო-ატლანტიკური სტრუქტურებიდან ბრძანება-მითითებების შესახებ ხომ ყველამ ყველაფერი ვიცით!.. ამ წერილის მიზანიც არ გახლავთ მაინცდამაინც ახლა გათანაღობით საარჩევნო პერიპეტები... უბრალოდ, ჩემი მთავარი სათქმელი ამჟამად ისაა, რომ ჩვენი კუთხის მოსახლეობამ სამწუხაროდ ვერ იპოვა საკუთარ წილში ძალა და ამჯერადაც ვერ მოახერხა მისი ჭეშმარიტი ინტერესების გამომხატველ-დამცველი მეგრული საპარლამენტო ლობის ფორმირება!.. აი, ესაა ის, რაც ძალიან დამადონებელია პირადად ჩემთვის და ალბათ ბევრისთვისაც... როგორც იცით, საქართველოს პარლამენტში დეპუტატები არჩეული არიან პროპორციული სიით და ასევე მაჟორიტარული წესით... მე ვფიქრობ, რომ ჩვენთვის განსაკუთრებით საშური და მნიშვნელოვანი იყო სამეგრელოდან ასარჩევი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების გულდასმით ჯერ შერჩევა და შემდეგ კი – არჩევა, მაგრამ ვაღიარო უნდა, რომ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ეს ვერ შევსძელით! არადა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ჩვენს ეთნოსს აუცილებლად სჭირდება თავისი ინტერესების გამომხატველი და დამცველი ლობი პარლამენტში!.. ცხადია, პიროვნულად მე არაფერი მაქვს არჩეულთა საწინააღმდეგო. ამ პიროვნებების უმეტესობას არც კი ვიცნობ პირადად, მაგრამ რაღაც არ მსმენია აქამდე, რომ რომელიმე მათთან განს ოდესმე ხმა ამოეღოს იდენტობის დაკარგვის სავალალო რეალობის წინაშე მყოფი მეგრული ეთნოსის დასაცავად! ძალიან კი მინდა ვცდებოდე, მაგრამ მეჭკვება, ნამდვილად მეჭკვება, რომ ამ შემადგენლობას იტყვისოდენაც კი ადარდებდეს ის, რაზეც მე აქ ახლა გესაუბრებით... არადა, დრო გადის... ისიც აშკარაა, რომ სამეგრელოს ნამარგალიზაციის პროცესიც უსწრაფესი ტემპით მიმდინარეობს! ამ პროცესს საკანონმდებლო და სტრუქტურული მექანიზმებით წინ დროულად თუ არ აღვუდგებით – რამდენიმე ათეულ წელიწადში ჩვენ გადავშენდებით! გავერები! ისტორიას ჩავბარდებით! მოკვება მეგრული ეთნოსი!! ბოლოსდაბოლოს, უნდა შევიგნოთ, უნდა გავიცნობიეროთ სიტუაციის ტრაგიზმი და აუცილებლად გამოვაკლინოთ უდიდესი ძალისხმევა თვით-გადასარჩენად!! იფიქრეთ ამაზე, მეგრელებო! იფიქრეთ და არ დაგავიწყდეთ, რომ კაცობრიობის ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი უძველესი კოლხების პირდაპირი შთამომავლები ხართ!..

ზურაბ კვარაცხელია,  
ზუგდიდი

# „ვაიამე, ჩემო, ვაიამე, ჩემო ვენახო, ოთხ წელიწადს, ოთხ წელიწადს ვერ ბნახო...“ – სარიშვილის „ბამბიტის“ ამარა ღარჩენილი „ნაცმოძრაობა“

გვ არის და არჩევნები... გასრულდა მე-2 ტურიც და ცესკო-ს წინასწარი მონაცემებით, „ქართულმა ოცნებამ“ პირწინადად – 50 მაჟორიტარული ოლქიდან 48-ში გაიმარჯვა. იმ ორი ოლქიდან ერთი მთაწმინდა, სადაც ვითომ დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა დიდი „ნაციონალი“ ნიკა რურუა დაამარცხა, მეორე კიდევ ხაშური, სადაც გაცილებით საინტერესო რამ მოხდა.

სიმონ ნოზაძემ, რომელიც „თოფაძე-მრეწველების“ კანდიდატია, „ქართული ოცნების“ ვითომ ფალავანი ვალერი გელაშვილი ბეჭე დადო, რაც ახია გელაშვილზეც და „ქართულ ოცნებაზე“ ყველაზე სასაცილო ამბავი, იცით, რა არის? – მე-2 ტურამდე „ოცნების“ გელაშვილი ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში იბახდა, პირველ ტურში იმიტომ დავმარცხდი ნოზაძემ ხაშურლები მოატყუა „ქართული ოცნების“ კანდიდატი ვარო... ახლა ჩამოვიარე ხაშური და ყველას გავაგებინე, რომ ასე არ არის... მოკლედ, ადამიანი იმასაც ვერ მიხვდა, რომ გადაამწყვეტი ბრძოლის წინ ხაშურლები შტერებდა გამოიყვანა და შეურაცხყოფა მიავენა, ჰოდა, მიიღო „ხვიშტი“... „ქართულ ოცნებას“ კიდევ ძალიან გაუმართლა, რომ მეტოქედ მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ ჰყავდა, თორემ ვენახათ მერე „ხვიშტი“, რამდენიც გინდათ იმდენი გელაშვილისნაირი კანდიდატი „შეიტანეს“ პარლამენტში „ნაცების“ წყალობით...

მე-2 ტურის ფაქტორი რამდენიმე „ცნობადმა“ თანამემამულე „პოლიტიკოსმა“ სათავისოდ გამოიყენა და საზოგადოებას საკუთარი თავი კიდევ ერთხელ გაახსენა. მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩვენთან ნაპრეზიდენტადი უკრაინელი გუბერნა-

ტორიც არის და ვიდრე იმას გეტყვით კიდევ რა დაიქანა, შევახსენებ, რომ „ქართული ოცნება“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით და კიდევ მეტი შედგება.

კმ, მიშა, მიშა... ერთ „ფეისბუკელ“ მეგობარს დავესხები და დაჯექი ახლა დედა ოდესაში და იმდერე: „ვაიამე, ჩემო, ვაიამე, ჩემო ვენახო, ოთხ წელიწადს, ოთხ წელიწადს ვერ გნახო...“

მოკლედ, როგორ იქნებოდა „ემიგრაცი-აში გადახვეწილ“ ყოფილ „პირველს“ თავისი მოსახრება მეორე ტურის წინაც თიკი... „დაეფიქსირებინა“, ჰოდა, მანაც ბიძინა ივანიშვილს კიდევ ერთხელ „შეუტია“, ქვეყნის ქვესკელში „ჩაბირვის“ მცდელობაში დაადანაშაულა და სამომავლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საბოლოო გამარჯვების იმედი გამოთქვა.

„ჩვენი ბრძოლა გაგრძელდება, ეს არის ჩვენი ქვეყანა. ზოგი ციხეშია, ზოგი ქვეყნიდან არის გაგდებული, ზოგი ადგილზე აგრძელებს ბრძოლას. ჩვენ ვერ და არ შევგუვებით სიცრუეს და ერთი ტლურუსი დანაშაულებრივი ოლიგარქის მიერ საქართველოს საკუთრებად მიტაცებას“.

– განაცხადა „მიშა მაგარი“-ამ.

კარგია, რომ ბატონი მიხეილი ბუჩქებში შემძვრალი არ არის და „ბრძოლას აგრძელებს“. მართალია შორეულ ოდესაში იმყოფება და „დირექტივებს“ იქიდან იძლევა, მაგრამ საქართველოზე ფიქრში დღე და ღამე „ათენებს“. მიმანია, რომ უჭაობესი იქნებოდა გაერისკა, ისტორიულ სამშობლოში ჩამოსულიყო, ვენახისთვის მიეხედა და „უზურპატორი“ ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში პირადად ჩადგომოდა. მესმის, რომ ეს ნაბიჯი ადამიანისგან გარკვეულ თავგანწირვას მოითხოვს, მაგრამ ნელსონ მანდელა წლების

განმავლობაში ციხის კედლებში გამოშფედეული არ გახლდათ?

საქმე იმაშია, რომ „მიხეილ-დიდი“ ბუნებით ღაჩარია. ყოველთვის სხვის ზურგს ამოფარებული გახლავთ და „დირექტივებს თუ ხელმძღვანელობას“ მუდმივად „უსაფრთხოდ“ ადგილებიდან ეწვევა. ბოლო მაგალითი ავიღოთ. საუბარი ვიქტორ იუშენკოს საქართველოში მოულოდნელ „გამოჩენაზე“ მაქვს. ვერ ვიტყვი, რომ ის ჩვენს ქვეყანაში მეგობარმა მიხეილმა გამოგზავნა, მაგრამ უკრაინის ყოფილი პირველი პირის „საიდუმლო“ სტუმრობა პირადად ჩემთვის გამოცანად დარჩა. რა უნდადა, რა მისით ნამოვიდა, ვის შესვლა, რა საკითხები განიხილა. რაც მთავარია განაცხადა, სააკაშვილის ფასს მალე გაიგებთო, მაგრამ ამხელა გზა ამის სათქმელად გამოიარა!?

წინა კვირას თავი კიდევ ერთმა მივიწვეულმა „პოლიტიკოსმა“ გამოიჩინა. საუბარო ირინა სარიშვილზე მაქვს. „მოგმართავთ ყველას: ყველაზე მართლებს – დარჩით ყველაზე მართლებად, მაგრამ ნუ უშლით ხელს მათ, ვინც დღეს ამ ბორტებას ებრძვის! დღეს, ისე როგორც არასდროს, საჭიროა ერთიანობა ქონდრისკაცი ცახესის მმართველობის დასამარცხებლად!“ – განაცხადა ირინა სარიშვილმა.

რა ვთქვა. ვფიქრობ, ქალბატონი ირინა წინა საუკუნის 90-იან წლებშია ჩარჩენილი, როდესაც მიტინგი ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური მოვლენა გახლდათ და მასზე საკუთარი აზრის გამოთქმა ნებისმიერ მსურველს შეეძლო. თუ სერიოზულ პოლიტიკოსობაზე პრეტენზიას აცხადებ, ნებისმიერ განცხადება უნდა მოზომო. სიტყვა „ქონდრისკაცი“ ბიძინა ივანიშვილის რეპუტაციაზე ნამდვილად ვერ იმოქმედებს, განსხვავებით ირინა სარიშვილზე, რომლის

„ინტელექტუალურ შესაძლებლობებში“ კიდევ ერთხელ დავერწმუნდი. სამწუხაროა, რომ საქართველოში ჭკუას ამ დონის „ექსპერტები“ გვასწავლიან.

რა გჭირთ ხალხო! ნუთუ ასეთი მოკლე მესხიერება გაქვთ და „გარდების რეგულაციის“ შემდგომი ცხრაწლიანი ცხოვრება აღარ გახსოვთ. ცოტა ხნის წინ ერთ სამწუხარო სტატისტიკურ მონაცემებს გადავაწყდი. 2010 წელს საქართველოს ციხეებში 144 პატიმარი გარდაიცვალა, 2011 წელს – 140. ალბათ მრავლისმეტყველი ციფრებია!

გავაგრძელებ თემას და ჟურნალისტი მერაბ ხაჩიძის მიმართვას ვაგაცნობთ.

„საქართველო ერთადერთი, სადაც მეგვლეტებს პარლამენტში ირჩევენ, ხელფასს აძლევენ და მერე „აპოხნენ“ პენსიას უნიშნავენ, როგორც ყოფილ დეპუტატს (?). და ამის მერე, ჩვენ ის ხალხი ვართ, ვისაც თავმოყვარეობა გააჩნია, სინდისის შემოტევა აწუნებს და საკუთარი შთამომავლობისა და ქვეყნის ბედ-იბაღი და მომავალი რაიმედ უღირს?! ექვთიმე თავაიშვილის კუბოს რომ ოთხ კაცი გაეყვებოთ და სანდრას მოწყობილ საარჩევნო შეხვედრებს – ოთხი ათასი, ის ხალხი ვართ ჩვენ!“

გასული თვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა დავით უსუფაშვილის „რესპუბლიკური პარტიიდან“ წასვლაც იყო... ექსპერტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ის დიდი პერსპექტივის პოლიტიკოსია, რომელსაც „რესპუბლიკური პარტია“ გასაქანას არ აძლევდა. ადღგომა და ხვალეო, ვნახოთ ერთი, რას იზამს ბატონი დავითი ოპოზიციურ ფრონტზე ოღონდ არა მარტო, არამედ მეუღლესთან ერთად... – არ მტოვებსო, – თვითონ თქვა, მე კი არ მომიფონია...

პროფკატორი

ბაკვეთილები „ღამოუპიღებელი მედიის“ ბენეკალური პროკურორისთვის

ბოლმა ადამიანს ბევრ სისულელეს და სიცრუეს ალაპარაკებს. ეს „სენი“ ყველას შეიძლება შეეყაროს და თურმე არც მედი-ამენეჯერებად გარდაქმნილ მთავარ პროკურორებს ინდობს.

აი, რა თქვა „რუსთავი 2“-ის მთავარმა პროკურორმა... უკაცრავად, გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ „ტვირთვებზე“, ინგა გრიგოლიას გადაცემაში. ტელეწამყვანი და გვარამია საუბრობდნენ „რუსთავი 2“-ში აშშ-ს ელჩის იან კელის რამდენიმე დღის წინანდელ ვიზიტზე. გვარამიამ სულ უპრეცედენტო ეძახა ამ ფაქტს – აქამდე სად გინახავთ, რომ ამერიკის ელჩი მედიასაშუალებას სტუმრობდესო. გრიგოლიას შეახსენეს, რომ აშშ-ს მოქმედი და წინა ელჩები (იან კელი, ჯონ ბასი...) იყვნენ სტუმრად „პალიტრა მედიაში“...

ამ დროს გვარამიამ ნირი არ შეიცვალა და: „მე არ მახსოვს ასეთი შემთხვევა, „მედია პალიტრაში“ ვინ მივიდა და რატომ მივიდა, „მედია პალიტრაში“ მე საერთოდ არ აღვიქვამ სერიოზულ მითამაშედ მედია ბაზარზე, მომიტევეთ კოლეგებმა (ასე თქვა, კოლეგებმა...), ის არის მცირე, პატარა ტელევიზია და იქ ვინ რატომ მივიდა, ეს არც თქვენ გახსოვთ და არც მე და ეს ხაზს უსვამს „პალიტრა მედიის“ მასშტაბებსაც და მასში ამერიკის ელჩის სტუმრობის მასშტაბებსაც...“ - (ლ)!

პირველ რიგში, „მომიტევეთ კოლეგებში“ თუ ჩვენ გვეუფლისხმობდა, მისამართი შეშლია გვარამიას. თავისი კოლეგები პროკურორებაში უნდა ეძებოს და იმედია, ისინი მიუტყვებენ.

ჩვენ კი, ამჯერად დავხარჯავთ ძვირფას დროს და მედიობაზრის პატარა გაკვეთილს ჩაგუტარებთ დღევანდელ „მედი-პროკურორ“ ნიკას.

გაკვეთილი პირველი – გვარამიამ „რუსთავი 2“-შივე რომ გაიკითხოს, დარწმუნებული ვარ, არ დაუმაღავენ და ეტყვიან,

რომ უკვე 21 წელი შეუსრულდა ყველაზე გავლენიან და მაღალტირაჟიან გაზეთ „კვირის პალიტრას“. გვარამია თუ თავის „კურიერს“ მაინც უყურებს, ნახავს, რომ არც თუ იშვიათად, „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვებებში ციტატებს კითხულობენ სწორედ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული სტატიებიდან.

სხვათა შორის, როდესაც აშშ-ს ელჩი იან კელი „პალიტრა მედიას“ სტუმრობდა, მან „კვირის პალიტრას“ მისცა ექსკლუზიური ინტერვიუ და „კურიერმა“ მთელი დღის განმავლობაში ამ ინტერვიუდან ამონარიდებს საკმაოდ ვრცელი დრო დაუთმო. იმედია, „მედი-პროკურორისთვის“ იმის ახსნა მაინც არ დაგვჭირდება, თუ რა არის „კურიერი“.

გაკვეთილი მეორე ნიკასთვის – ყველაზე გავლენიანი საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ სწორედ „პალიტრა მედიის“ შემადგენლობაშია. გასაგებად რომ ავხსნათ გვარამიასთვის – აი, ის სააგენტო, ყველა რომ ელოდება, თუ იქ განთავსდა ინფორმაცია, ე.ი. ნამდვილად ხდება ესა თუ ის მოვლენაო. ამას გვარამიას კოლეგა-პროკურორებიც კი დაუდასტურებენ.

გვარამია „ფეისბუქის“ აქტიური მოხმარებელია და მრავალფეროვანი პოსტებითაც გამოირჩევა – პოლიტიკით დაწვეული და რომელიმე სპექტაკლის გარჩევით დამთავრებული. ჰოდა, აი მესამე გაკვეთილიც – ნიკა, საქართველოში „ფეისბუქი“ ინტერნეტმომხმარებლების პოპულარობის კუთხით მეორე ადგილზეა, პირველზე კი „პალიტრა მედიის“ საინფორმაციო პორტალი „AMBEELGE“. IRI ხომ იცო? საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის 2016 წლის კვლევების მიხედვით, ინტერნეტმომხმარებელი ინფორმაციის მისაღებად ყველაზე ხშირად სწორედ „AMBEELGE“-ს სტუმრობენ, მეორე ადგილზე კი „ფეისბუქი“.

„პალიტრა მედიის“ ყველა მედი-

ასაშუალებაზე ცალ-ცალკე რომ შევხედოთ, მკითხველსაც დაველით და „მედი-პროკურორსაც“ დაგზავრავთ. ამიტომ მოდით, ციფრებით ვისაუბროთ. „პალიტრა მედიის“ შემადგენლობაში არის 20-მდე ონლაინმედიასაშუალება, ტელევიზია, რადიო, გაზეთები და ჟურნალები და ყველაფერი თავიანთ სუბსტრატში არიან ლიდერები.

„პალიტრა მედიის“ მხოლოდ ონლაინ-მედიასაშუალებებს დღეში ჰყავთ 700 ათასზე მეტი უნიკალური მომხმარებელი. „მედი-პროკურორს“ პრაქტიკულ გაკვეთილსაც ვთავაზობთ – მოიმარჯვოს კალკულატორი და გამოთვალოს, დღეში 700 ათასზე მეტი რამდენია კვირაში, თვეში და წელში და შემდეგ, თუ ნუღამი კალკულატორის ეკრანზე დაუტია, დააკვირდეს მონაცემებს და საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილმა, ნელა გაიმეოროს პირდაპირ ეთერში ნათქვამი სიტყვები: „მედია პალიტრაში“ მე საერთოდ ვერ აღვიქვამ სერიოზულ მითამაშედ მედია ბაზარზე ... ის არის მცირე, პატარა ტელევიზია“.

და თუ საკუთარი თავის არ შერცხვება, მაშინ მას უკვე მედი-გაკვეთილები კი არა, ფსიქოლოგიური ტრენინგი სჭირდება. თუ „პალიტრა მედიის“ ახალი მედი-პროკურორის, ტელეკომპანია „პალიტრაინიუსის“ (ის მხოლოდ ერთი წლისაა) წარმატებები ისე აღვლევს გვარამიას, რომ ახსურდს ალაპარაკებს, მაშინ მივასწავლით ასევე „პალიტრა მედიის“ საიტ „MKURNALIGE“-ს, სადაც შეუძლია დავას კითხვები, თუ როგორ გათავისუფლდეს ბოლმისგან. 20 ათასზე მეტი მომხმარებელიდან ვინმე აუცილებლად გამოეხმაურება მის თხოვნას.

ხოვადად, გვარამიას ინტერვიუს მცირე მონაკვეთი ციფრებში რომ გადავიყვანოთ, ვნახავთ, რომ „მედი-პროკურორმა“ დაახლოებით 2 წუთში თქვა 3-4 ორღუ-ლიანი ტყუილი, 1 დიდი შეურაცხყოფა მიაყენა ელჩს (როცა მისი ჩვენს პოლ-

ინგში ვიზიტის მასშტაბებში ვკვი შეიტანა) და კიდევ 1 დიდი შეურაცხყოფა ყველა მედიასაშუალებას, როცა თქვა, რომ თურმე მხოლოდ „რუსთავი 2“-ია ის მედია, რომელიც მთავრობაზე არ არის დამოკიდებული.

ჩვენ სხვა მედიასაშუალებების ნაცვლად ვერ ვისაუბრებთ, ისინი თავიანთ სათქმელს ალბათ, თავად იტყვიან (თუმცა, მიკვირს, რატომ უპასუხა გვარამიას ამ გამოხდომას დუმილით ინგა გრიგოლიამ). ხოლო თუ „მედი-პროკურორს“ სურს, გაიგოს, რას ნიშნავს მედიის რეალური დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ამის გაკვეთილსაც ჩავეტარებთ „პალიტრა მედიის“ 21-წლიანი ისტორიიდან გამომდინარე.

აშშ-ს ელჩმა იან კელმა „პალიტრა მედიის“ სტუმრობისას მედიასახლს „თავისუფალი პრესის ბასტიონი“ უწოდა. მანამდე კი, ჯონ ბასმა ჩვენთან ვიზიტისას იმაზე ისაუბრა, თუ რა როლს თამაშობს თავისუფალი მედია საქართველოს მსგავს ქვეყნებში. ამერიკელი დიპლომატები პაერზე ასეთ სიტყვებს არ ისვრიან, განსხვავებით „მედი-პროკურორისგან“, რომელსაც მედიასაშუალებაში ელჩების ვიზიტში უკვირს (ცნობისთვის, „პალიტრა მედიის“ სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატების სტუმრობა ღამის ყოველკვირეული მუშაობის თანმდევ პროცესად იქცა).

ისე, წესით, გვარამიას ალბათ, ის უნდა აღვლევდეს, რომ იგივე ამერიკელი დიპლომატები „რუსთავი 2“-ზე საუბრისას განსაკუთრებით ფრთხილად არჩევენ ტერმინებს, ერიდებიან ისეთ გამოთქმებს, როგორცაა „თავისუფალი მედია“, „დამოუკიდებელი მედია“ და აქცენტს მედი-პროკურორისთვის აკეთებენ(!).

იმიტომ ხომ არა, რომ მაინცდამაინც დიდი შეღავათი არ არის, მოქმედ მთავრობაზე იქნები დამოკიდებული თუ ყოფილზე, ინსტრუქციებს საქართველოს მოქმედი ხელისუფლებისგან მიიღებ თუ ოლქის მოქმედი გუბერნატორისგან...

ბიორბი კვიციანი

თამაზ ბაკურიძე: თურქებმა ქართველები საქართველოშივე დაიმონეს

უფლებადამცველ თამაზ ბაკურიძის განცხადებით, აჭარაში, თურქულ ბიზნესში დასაქმებული ქართველები მონურ შრომას უკვე აღარც კი აპროტესტებენ.

ამის შესახებ ბაკურიძე გაზეთ „ასავალ-დასავალის“ კორესპონდენტს ესაუბრა.

“ადამიანების დასაქმება კარგია, მაგრამ ეს ხალხი უკვე ისეა თურქეთზე მიბმული, რომ მონურ შრომასაც კი არ აპროტესტებს! ანუ ადამიანებისთვის უკვე მთავარი გახდა არა ღირსება, არამედ ყველა ხერხით გაჭირვებისგან თავდაღწევა. ისინი, ოღონდ ოჯახში პურის ფული შეიტანონ, ყველაფერს ითმენენ! ანუ ჩვენ მივიღეთ ვითარება, როდესაც თურქებმა ქართველები უკვე საქართველოშივე დაიმონეს! აგერ ხელვაჩაურში არის თურქეთის მოქალაქის მიერ დაფინანსებული ავეჯის მწარმოებელი ქარხანა. ამასწინათ, მეპატრონემ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, 70 თანამშრომელი გაათავისუფლა. როდესაც იქ ჩავედი, გავიგე,

რომ ეს ვაგუბატონი პირდაპირ ვაშალომიძესთანაა გადაფესკენილი და აჭარაში მისი ხელმძღვანელობის დროს გადაიფურჩქნა.” – აცხადებს თამაზ ბაკურიძე.

როგორც უფლებადამცველი ამბობს, სააკაშვილმა თურქეთს აჭარა ნამდვილად მიჰყიდა და ამას თავად ხედავს.

“ს ა ა კ ა შ ვ ი ლ ი ს გადაწყვეტილებით, თურქებს სულ ერთ ღარად დაურიგეს ათასობით შექტარი უძვირფასესი მიწები, რომელთა ფასი 3 ათასი დოლარი და მეტია! და როდესაც ამბობენ, სააკაშვილმა თურქეთს აჭარა მიჰყიდაო, ეს სრული სიმართლეა, რადგან ამას მე და ჩემნაირები აჭარაში საკუთარი თვალთ ვხედავთ!” – ამბობს ბაკურიძე.

არა და, როგორ უხაროდა ხალხს აჭარიდან ასლან აბაშიძის გაძევება, რომელიც ცოცხალი თავით არ უშვებდა თურქებს აჭარაში.

ბურამ ფირცხალავას ბარდაცვალებიდან 2 წელიწადი ბასულა



საოცარი მსახიობი და ადამიანი იყო და ყოველ განსახიერებულ გმირს საკუთარი რაინდული თვისებებით ამდიდრებდა. ამის ნათელ მაგალითად მისი განსახიერებული რაჯა სარნიმელია ცმარა, რომელიც უარყოფითი გმირია, მაგრამ კინომაყურებლებში დათა თუთაშხიასა და მუშნი ზარანდილაზე ნაკლები სიმპათია არ დაუშინახურებია. რამდენიმე ათეული ფილმში ითამაშა და ყველა როლი იმდენად შთამბეჭდავად შესასრულა, რომ დღესაც კარგად ახსოვს მაყურებელს, მისი კინოფრაზა კერანდიან ხალხში გადაინაცვლებდა ხოლმე და ხალხურ თქმსავით პოპულარული ხდებოდა. მართლაც განსაკუთრებული ხიბლით გამოირჩეოდა. და უკვე ორი წელიწადია, ეს ადამიანი არ არის ჩვენს გვერდით.

გაზეთ “ილორის” მკითხველებს ვთავაზობთ ცნობილი ჟურნალისტის გელა ზედელაშვილის მოგონებას შესანიშნავ ქართველ მსახიობსა და გამორჩეულ პიროვნებაზე.

გურამ ფირცხალავას გარდაცვალებიდან 2 წელიწადი გასულა... ის 74 წლისა დარჩა. კარგი მსახიობი, კარგი კაცი. რაც არ უნდა უარყოფითი როლი ჰქონოდა, მაინც დადებით ემოციას იწვევდა მაყურებელში.

მასოვს, როცა 2011 წლის 26 მაისის დარბევის შემდეგ სოსო ჯაჭვლიანი დააპატიმრეს და მან შიმშილობა დაიწყო, ერთი კვირა რესპუბლიკურ საავადმყოფოში იწვა. მისი პალატის კართან ბადრაგი იდგა, არავის უშვებდა, არც ცოლს, არც

შვილებს, არც დებს, მხოლოდ ბატონი გურამი ახერხებდა შესვლას. მოვიდოდა, ყველას მოგესალმებოდა, მერე უცებ გვერდს აგვივლიდა, გაოგნებულ ბადრაგს წარბს აუწვედა და დაუკითხავად შედიოდა. მას ვერ უბედავდნენ, ჯაჭვლიანი პატიმარი და პალატაში შესვლა აკრძალულიაო, მისთვის ყველა კარი ღია იყო. უკან გამობრუნებული ისევ გადახედავდა ბადრაგს და ჰკითხავდა: – მეგრული ხარ, ბიჭო, შენ? – კი, მეგრული ვარ, ბატონო გურამ, – პასუხობდა თავმალური ბადრაგი. – გეტყობა!


ბოლოს... გარდაცვალებამდე სამი თვით ადრე ველაპარაკე მოვიკითხე, ცუდად ვარო. საუბარი უჭირდა, მაგრამ ინტერვიუზე მაინც დამთანხმდა – ჟურნალისტებს აღარ ველაპარაკებ, მაგრამ შენ უარს ვერ გეტყვით. მანამდე მის მეუღლეს ველაპარაკე, ქალბატონ თანგულის, ისიც შეწუხებული იყო. ვატყობდი, ვერ იყო საქმე კარგად, მაგრამ მაინც ვერ წარმოვიდგენდი, ყველაფერი ასე მალე თუ დამთავრდებოდა.

ბატონმა გურამმა ხუმრობაც სცადა: ბიჭო, ამ ჩემს მეუღლეს ისეთი მახელი ჰქვია, როცა შევირთე, კარგა ხანს ვერ ვიმახსოვრებდიო. ძალიან წუხდა, ეს ხელისუფლება რატომღაც სუსტობს და ეს არ მომწონსო.

„ღააშავა კაცმა, ფული შეჭამა, როდენობასაც ასახელებენ, ამდენი წაიღოო, გაფლანგაო და ამისთანა კაცი კიდევ გარეთ უნდა დასეირნობდეს? არაკლი ღარიბაშვილი კარგი ბიჭია, მაგრამ როგორც ჩანს, გარშემო არ ჰყავს სანდო ხალხი. მე ვფიქრობ, ღარიბაშვილი მართლა შეკაზმავს მერანს, ისე დაერევა ამათ, რომ ეტირებთ ყოფა... ისევ ღარიბაშვილის იმედი მაქვს, კაი ჯიშინი კახელია, ჯანმრთელი ოჯახის შვილია და მე მგონი, მალე დაერევა ამათ მათრახით. ახლა, როგორც ვატყობ, ჩვენს პატრიარქსაც უტყვევ, მაგრამ არაფერი არ გამოუვათ, ეშმაკიც რომ მოვიდეს, მაგას ვერ გაუშვებენ, ვერ გადააყენებენ. მე იმის მეშინია, ფიზიკურად არ მოუწყონ რამე. ერთხელ სცადეს და ვერ მიადღეს მიზანს, გადარჩა“.

ეს არის ამონარიდი მისი ბოლო ინტერვიუდან. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი გურამი ძალიან ავად იყო, მაინც წუხდა ქვეყანაზე, ხალხზე, პატრიარქზე და მომავალზე.

გელა ზედელაშვილი



# არქეოლოგიები ხობის მონასტრის ეზოში ახალ ნაგებობას მიაპყრეს

ხობის მონასტრის ეზოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ახალი ნაგებობა აღმოჩნდა. ნაგებობის ვარაუდით, ნაგებობა ჯერ კიდევ დაუდგენელი მიხეზებით მე-13 საუკუნეში განადგურდა. ექსპედიციის წევრების აზრით, საკმაოდ დიდი ზომის ნაგებობა შესაძლოა არსებული ტაძრის სატრაპეზო



ვერსიას ემხრობა, რადგან მისი სიტყვებით, არქეოლოგიური მასალა მიუთითებს, რომ სავარაუდოდ სატრაპეზო მე-13 საუკუნეში განადგურდა:

“როგორც ვიცით ეს ტაძარი მეცამეტე საუკუნის ბოლოსა აშენებული. სადღაც მეცამეტე საუკუნის შუახანებში როგორც არქეოლოგიური მასალა და აქ აღმოჩენილი ნივთები მიუთითებს, აქ მოხდა დიდი ნგრევა. ამ დროს დასავლეთ საქართველოში არის მონღოლების ლაშქრობა, მაგრამ ჩვენ აქამდე წერილობითი წყაროებით

ქუთაისის რეგიონზე გვაქვს ინფორმაცია, არ ვიცით იყო თუ არა ის ასე ღრმად კოლხეთის ტერიტორიაზე. მაგრამ ნივთები გვიჩვენებს, რომ მეცამეტე საუკუნეს აქ იყო ნგრევა, დაინგრა ეს ეკლესია და სატრაპეზო”, – ამბობს არქეოლოგი.

ისტორიკოს გოგიტა ჩიტაიას თქმით, საქმე გვაქვს ძალიან მნიშვნელოვან ნაგებობებთან, რომელზეც ისტორიულ წყაროებში არანაირი მინიშნება არ არის.

“აქ არის საკმაოდ დიდი მოცულობის ნაგებობა. ჯერჯერობით გადაჭრით

არაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ სავარაუდოდ ეს არის ძალიან ადრეული პერიოდის ნაგებობა თავისი სარდაფებით, კიბეებით... მას აქვს ასევე მონუმენტური კიბე. მართალია ეს მონასტრის ტერიტორიაზეა, მაგრამ არის სულ სხვა ხასიათის ნაგებობა. ასეთი ნაგებობები საერთოდ ძალიან ცოტაა შემორჩენილი და ეს ძალიან ზრდის მის მნიშვნელობას”, – განმარტავს გოგიტა ჩიტაია.

არქეოლოგიური გათხრები ხობის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 46 000 ლარს შეადგენს. მონასტრის ეზოში არქეოლოგიური გათხრები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ხობის საკათალიკოსო სასახლის სარეკონსტრუქციო სამუშაოების პარალელურად დაიწყო.

ხობის მონასტრის აღდგენის ინფრასტრუქტურული პროექტის ღირებულება 445.968 ლარს შეადგენს და ის საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში განხორციელდება საკათალიკოსო სასახლის სრული რეკონსტრუქცია და მოწყობა მუზეუმში.

თამარ ზანთარია



ან ცალკე მდგომი სასახლე იყო. არქეოლოგი როლანდ ისაკაძე პირველ

# ერთიანი ნაციონალური მარცხი

ივანიშვილის “საოცნებო პარლამენტი” და უსუფაშვილის “დიდი გაქცევა”

არჩევნების მეორე ტური, როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებული სიურპრიზების გარეშე დასრულდა. “ქართულმა ოცნებამ” გაიმარჯვა, საერთო ჯამში, 115 მანდატით, შესაბამისად, საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა. არჩევნებმა ნათლად აჩვენა, რომ ამ ეტაპზე ბიძინა ივანიშვილს ქართულ პოლიტიკაში რეალური კონკურენტი არ ჰყავს, მისიგაველება ახლო მომავალში, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაიზარდება.

## ერთიანი ნაციონალური მარცხი

მეორე ტურში “ნაციონალურმა მოძრაობამ” სასტიკი მარცხი იწვნია და პარლამენტში თუნდაც ერთი მაჟორიტარის გაყვანაც ვერ მოახერხა. ნაციონალური უკლებრივი ყველა ოლქში დიდი სხვაობით დამარცხდნენ – დაახლოებით ორთხობილია, როდესაც მნიშვნელობა პროცენტის მათემატიკაზე ენიჭება, არსად ყოფილა. მიხედვით სააკაშვილი, შესაძლოა, ხვდებოდა, რომ მისი პარტიის მონაწილეობა მეორე ტურში ასეთი შედეგით დასრულდებოდა და სწორედ ამიტომ მოუწოდებდა “ნაციონალისტებს” ლიდერებს, ბოიკოტი გამოეცხადებინათ, თუმცა მოვიანებით პოზიცია შეცვალა. ასეთი შედეგი, აგრეთვე, ლიდერების დაპირისპირება, დიდი ალბათობით, ხელს შეუწყობს “შიდაპარტიული კრიზისის განვითარებას. “ნაციონალისტებს” მხარდამჭერთა დიდი ნაწილისთვის აშკარაა, რომ არსებული რესურსით ხელისუფლებაში დაბრუნება გამორიცხებულია.

მეორე ტურში მოხდა საინტერესო, სხვა ქვეყნების პრაქტიკაში იშვიათი რამ: ოპოზიციური ძალების მხარდამჭერთა უმრავლესობა არა ოპოზიციის, არამედ ხელისუფლების კანდიდატების გარშემო გაერთიანდა ან ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ “ნაციონალურმა” კვლავინდებურად იზოლაციაში რჩება და მასთან თანამშრომლობას არავინ ჩქარობს.

არჩევნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი არის ის, რომ “ნაციონალურმა მოძრაობამ” ვერც ერთ რეგიონში ვერ მოახერხა “საყრდენი პუნქტის” შექმნა, იქაც კი, სადაც უამრავი რესურსი დახარჯა – ვერც სამეგრელოში, ვერც აჭარაში, სადაც ყველა მაჟორიტარული ოლქი “ოცნებამ” მოიგო, ხოლო ადგილები ავტონომიის უმაღლეს საბჭოში შემდეგნაირად განაწილდა: “ქართული ოცნება” – 14 დეპუტატი, “ნაციონალურმა” – 5, “პატრიოტთა ალიანსი” და ნინო ბურჯანაძის “დემოკრატიული მოძრაობა” – თითოთით. შესაბამისად, შემცირდა საქართველოს რომელიმე რეგიონის ან რაიონის “ცხელ წერტილად” გადაქცევის საფრთხე იმ რეგიონში სენარების ფარგლებში, რომელსაც სააკაშვილი თავის თანამოაზრეებთან ერთად განიხილავდა.

## რა მოხდება შემდეგ?

მეორე ტურის წინ ნაციონალური ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ საზოგადოება, რომ “ქართული ოცნების” საკონსტიტუციო უმრავლესობა ქვეყნას უდიდეს პრობლემას შეუქმნის. ამ დროს მათ არ უხსენებიათ “კონსტიტუციის გაუპატიურება” – ეს ტერმინი სააკაშვილის მმართველობის წლებში დამკვიდრდა, როდესაც საკონსტიტუციო უმრავლესობა “ნაციონალისტებს” ჰქონდა. “ნაციონალისტებს” პროპაგანდამ განსაკუთრებული შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ აშკარაა, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი ძალთა ახალ ბალანსს შიშითა და უნდობლობით უჭურებს, რადგან ყველა მმართველმა პარტიამ, რომელმაც ქართულ პოლიტიკაში ასეთ შთაბეჭდვად უპირატესობას მიიღწია, ცუდად დაამთავრა. აღმოჩნდა, რომ ყველაზე სწრაფად ქართველ პოლიტიკოსებს პროცესზე აბსოლუტური კონტროლის ილუზია რჩენს.

პრემიერმინისტრმა კვირიკაშვილმა, როგორც ჩანს, სწორედ ამ კატეგორიის ამომრჩეველთა დამშვიდება სცადა: “ჩვენ არ ვაპირებთ, შევეარდეთ პარლამენტში და დამოუკვეთლო კონსტიტუციას. ეს არ არის ჩვენი მთავარი მიზანი. ვფიქრობ, ეს არის განხილვების დაახლოებით ერთწლიანი პროცესი. პარლამენტში არსებობს პროცესურა, რომელიც ითვალისწინებს, რომ ეს არ მოხდეს ჩქარა” (“ინტერპრესნიუსი”). მან, აგრეთვე, თქვა, რომ “პარლამენტის გადმოტანა არ დგას დღის წესრიგში. სულ ცოტა, უახლოესი პერიოდის განმავლობაში, მე რამდენიმე წელი მაქვს შედეგოვალაში” და დასძინა, რომ “აუცილებლად უნდა იქნას ქუთაისის მოსახლეობასთან ერთად ეს საკითხი აქტიურად განხილული და მიღებული მათგან თანხმობა”.

აშკარაა, რომ ორივე შემთხვევაში პრემიერმინისტრი საკითხის გადაწყვეტის გადადებზე, პროცედურების გახანგრძლივებაზე საუბრობს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება საკონსტიტუციო ცვლილებებზე უარს ამბობს. თუ პარლამენტის დედაქალაქში გადმოტანის საკითხი მეტწილად სიმბოლურ ხასიათს ატარებს და ადგილობრივი არჩევნების წინ განხილული იქნება, როგორც სახელისუფლო პარტიის რეიტინგის კორექტირების ინსტრუმენტი თბილისსა და ქუთაისში, პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლას გაცილებით სერიოზული პოლიტიკური შედეგები მოჰყვება.

## მთავარი საშიშროება პრეზიდენტის მთავრობისთვის

საპარლამენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტს მთელი ერთი არ ირჩევენ (ავსტრია ამ მხრივ იშვიათი გამონაკლისია). ვენეციის კომისია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სააკაშვილი კონსტიტუციას ცვლიდა, მიუთითებდა, რომ პრეზიდენტის საყოველთაო არჩევა მომავალში შეიძლება სერიოზული კრიზისის წინაპირობა შეიქნეს. საკითხი რომ გადასაწყვეტია, ეჭვი არც ერთი კონ-

სტიტუციონალისტს ეპარება – საქართველომ ან საპარლამენტო რესპუბლიკად ჩამოყალიბება უნდა დაასრულოს, ან საპრეზიდენტო მოდელს დაუბრუნდეს, მიუღებელია მხოლოდ დღევანდელი, გაურკვეველი შუალედური მდგომარეობის შენარჩუნება, მაგრამ ხელისუფლებას ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება რთული პოლიტიკური კონფიქტურის გათვალისწინებით მოუწევს.

ცხადია, ივანიშვილის ოპონენტები პრეზიდენტის არჩევის უფლების პარლამენტისთვის გადაცემას წარმოაჩენენ, როგორც დემოკრატიის შეზღუდვას და იმისთვის, რომ თავის გადაწყვეტილებას ლეგიტიმურობა (ფართო და არა ვიწრო იურიდიული გაგებით) შესძინოს, მას ან პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების დანიშნა, ან მოქმედი პრეზიდენტის მიმართ ხელფონური კრიზისის პროვოცირება მოუწევს. თუ ხელისუფლება იპოვის სერიოზულ საბაზს გიორგი მარგველაშვილის იმპიჩმენტისთვის, ამას მისი არჩევის წესის შეცვლა, უხეშად რომ ვთქვათ, “პრიცეპად” მიეძღება. მარგველაშვილს, თავის მხრივ, შესაძლებლობა მიეცემა, უკმაყოფილოთა ჯგუფების მობილიზება და კონსტიტუციული პროდასავლური ოპოზიციის ფორმირება დაიწყო, რაც არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი პროცესი ხელისუფლებისთვის, რადგან დღეს “თავისუფალი დემოკრატებისა” და რესპუბლიკური პარტიის რევუივის ფონზე პროდასავლელი ამომრჩევლების ნაწილი დაბნეულია და მისი ნაწილი მომავალში შეიძლება “ნაციონალისტებს” ან მისი დამხრის შედეგად წარმოქმნილ ჯგუფებს მიემხროს, თუ მიმზიდველ ალტერნატივას არ შესთავაზებენ. გიორგი მარგველაშვილი, დავით უსუფაშვილი და ირაკლია ლასანიანი გარკვეულ პირობებში შეიძლება ასეთი ძალის დამფუძნებლებად მოგვევლინო. საინტერესოა, ურჩევნ თუ არა დასავლელი მეგობრები ერთობლივად იმოქმედონ? წინააღმდეგ შემთხვევაში ამბიციების შეჯახება და კონკურენტებს შორის კონფლიქტის წარმოქმნა თითქმის გარდაუვალი ჩანს.

## რესპუბლიკელების ძახილი

ქართული პოლიტიკის პროდასავლურ ფლანგზე ცხრაბალიანი მიწისძვრა, პარტიები ერთმანეთის მიყოლებით იშლება. თავისუფალი დემოკრატების და შლის შემდეგ რესპუბლიკური პარტია დავით უსუფაშვილი დატოვა, მას ზოგიერთი სხვა თანამარტეელიც მიჰყვა და ეს პროცესი, სავარაუდოდ, მომავალშიც გაგრძელდება. ამის მიხეზი არა მხოლოდ არჩევნებში დამარცხება, არამედ, თვეების თუ არა, წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემებია. ერთ-ერთი ფაქტორი არის ის, რომ დავით უსუფაშვილისა და თინა ხიდაშელის კონფლიქტმა დავით ლევან ბერძენიშვილთან პარტია ჩიხში შეიყვანა.

2012 წლის შემდეგ რესპუბლიკელებს ჰქონდათ შესაძლებლობა ივანიშვილის კეთილგანწყობის პირობებში, გაზრდილი რესურსების გამოყენებით, პარტიის რეფორმირება და მისი გაძლიერება მოეხერხებინათ, მაგრამ ბრძოლაში გაველენისთვის პარტიის შიგნით ეს შეუძლებელი გახდა. ივანიშვილი ყოველთვის ამბობდა, რომ მისი ფავორიტი უსუფაშვილია, რაც შეეხება სხვებს, მან, სავარაუდოდ, არ დაივიწყა დავით ბერძენიშვილის 2012 წლის 15 ივნისის განცხადება, რომელსაც “შანტაჟის ელფერი დაქრავდა. რესპუბლიკელებმა მაშინ თბილისის ზოგიერთ უბანში მაჟორიტარებად თავიანთი წარმომადგენლების დასახლება მოითხოვეს. ივანიშვილმა, სავარაუდოდ, შეაფასა ეს, როგორც ლაღატი შუა ბრძოლაში და, დიდი ალბათობით, დღემდე არ დაივიწყა. ასე იყო თუ ისე, კოალიციაში ყოფნის პერიოდში უსუფაშვილი, მეუღლესთან ერთად, ივანიშვილთან მჭიდრო თანამშრომლობის (და თანამდებობის დაკავების) სურვილს გამოხატავდა, ბერძენიშვილები კი მკვეთრ ოპოზიციურ განცხადებებს აკეთებდნენ. მათი თანამოაზრეები დღეს ადანაშაულებენ უსუფაშვილსა და ხიდაშელს იმის გამო, რომ პარტიის გადასვლა ოპოზიციაში ძალიან გვიან, უშუალოდ არჩევნების წინ მოხდა და ამის გამო ვერ მოახერხა, თავი მთავრობის სრულფასოვან ოპონენტად წარმოეჩინა. უმძიმესი მარცხის შემდეგ უსუფაშვილმა, როგორც ჩანს, ბერძენიშვილებთან შემდგომი პოლიტიკური თანაცხოვრების აზრი ვერ დაინახა და “პროცენტნახევრიანი პარტია” დატოვა (ივანიშვილი ამ ნაბიჯს, სავარაუდოდ, მოწონებით შეხვდა). უსუფაშვილმა, შესაძლოა, ჩათვალა, რომ გაფანტული პროდასავლელი ამომრჩევლების კონსოლიდირებას (ცალკე და სხვა ლიდერებთან კოორდინაციის რეჟიმში) (მარგველაშვილი იქნება თუ ალანასია) გაცილებით უკეთ მოახერხებს, ვიდრე ბერძენიშვილებთან ერთად, რომელთა ხელში რესპუბლიკური პარტია ახლო მომავალში შეიძლება გადაიქცეს პოლიტიკური პენსიონერების სადისკუსიო კლუბად – გარკვეული თვალსაზრისით, ის, რაც პარტიაში მოხდა, შეიძლება შეფასდეს, როგორც პოლიტიკოსთა ორი თაობის წარმომადგენელთა კონფლიქტი.

2017 წლის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური პროცესი იქნება გაფანტული პროდასავლური ელექტორატის კონსოლიდაციის მცდელობა, რომელსაც სხვადასხვა პოლიტიკოსი მიმართავს და ის მნიშვნელოვან გავლენას არა მხოლოდ ცალკე ადგილობრივ უსუფაშვილის, ალანასიას ან მარგველაშვილის, არამედ “ნაციონალური მოძრაობისა” და მისგან გამოყოფილი ჯგუფების მომავალზეც იქონიებს.

ლუბა ნემსაძე, გაზეთი “საბართიველო და მსოფლიო”



# მსოფლიოს 9 ყველაზე დიდი ბაიოჭევი



კლიმატური ცვლილება, ფინანსურ სისტემაში ნდობის აღდგენა, მსოფლიოს მოსახლეობის საყოველთაო ინტერნეტიზაცია – ის გამოწვევებია, რომელთა წინაშეც თანამედროვე მსოფლიო დგას და რომელთა გადაჭრისთვისაც საჯარო და კერძო სექტორის ერთობლივი მუშაობა და ძალისხმევაა საჭირო. მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი მსოფლიოს წინაშე არსებულ 10 ყველაზე დიდ გამოწვევას ასახელებს და მათ მნიშვნელობაზე საუბრობს.

## კვებითი უსაფრთხოება

როგორც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის სტატისტიკა ადრინდელი, 2050 წლისთვის მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობა 9 მილიარდ ადამიანს მიაღწევს. შესაბამისად, მსოფლიო 9 მილიარდი ადამიანის საკვების უზრუნველყოფის წინაშე დადგება და საკვებზე მოთხოვნა, დღევანდელთან შედარებით, 60%-ით გაიზარდება.

გაერო-მ თავის ანგარიშში „მდგრადი განვითარების 17 მიზანი“ ნომერ მეთრე მიზნად შიმშილობის დასრულება, კვებითი უსაფრთხოების მიღწევა, გაუმჯობესებული კვება და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა დასახელებულია 2030 წლისთვის.

„კვებითი უსაფრთხოების პრობლემის მოსაგვარებლად და გაეროს მიზნების მისაღწევად, საჭიროა, რომ სოფლის მეურნეობის სექტორი უფრო პროდუქტიული გახდეს ეფექტური ბიზნეს მოდელების მიღებით და კერძო და საჯარო სექტორის პარტნიორობის გაძლიერებით“, – აღნიშნავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი და დასძენს, რომ ამ ყველაფრის შესრულებლობას მოჰყვება შიმშილი, კვების გაურთხელება და კონფლიქტიც კი.

## ეკონომიკური ზრდა და სოციალური ჩართულობა

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ეკონომიკურმა ზრდამ მსოფლიო მასშტაბით უამრავი ადამიანის მნიშვნელოვნად გაძლიერებამდე მიგვიყვანა. მაგრამ გლობალური ეკონომიკური წარმოების მიუხედავად, აშკარაა, რომ მსოფლიოს დღევანდელი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები ზრდის უთანასწორობას, ვიდრე ამცირებს მას. უთანასწორობა შემოსავლებში იწვევს ეკონომიკურ და სოციალურ უთანასწორობას და აზიანებს ჩვენს მომავალ ეკონომიკურ კეთილდღეობას.

„იმისათვის, რომ მოხდეს განვითარებადი ბაზრების ზრდა და შეჩერდეს მათი შენელება, საჭიროა მსოფლიოს მასშტაბით გადაიდგას ნაბიჯები ეკონომიკური აქტიურობის დასაჩქარებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამის სარგებლობა საზოგადოების ყველა ფენა მიიღებს“, – აღნიშნავს მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი.

## დასაძმება

ერთ-ერთი მწვავე პრობლემა დღევანდელი დღის დასაძმებაა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, 2008 წლის გლობალური ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, მსოფლიოში 61 მილიონი სამუშაო ადგილი გაუქმდა, 200 მილიონი ადამიანი კი უმუშევარი დარჩა.

2020 წლისთვის 500 მილიონამდე ახალი სამუშაო ადგილი უნდა შეიქმნას, რათა სამსახურით უზრუნველყოფილი იქნენ უმუშევარი ადამიანები და ახალგაზრდები. ამავდროულად, ბევრი სფერო აწყდება კვალიფიციური კადრების ნაკლებობის პრობლემას. 2016 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, მსოფლიოს მასშტაბით დამსაქმებელთა 38% აცხადებს, რომ აწყდება ამ პრობლემას, რაც 2%-ით მეტია 2014 წლის მონაცემებთან შედარებით.

## კლიმატური ცვლილება

დღემდე მსოფლიოში მიწისპირა ტემპერატურა ბოლო 50 წლის განმავლობაში დაახლოებით 1 გრადუსით გაიზარდა, რისი მიზეზიც ადამიანთა საქმიანობისა და მსოფლიო მასშტაბით 1970 წლის შემდეგ საბურთის აირების მოხმარების 80%-მდე გაზრდაა. კლიმატური ცვლილების გაველენასა და შედეგს მსოფლიო უკვე იმის, რამდენად იმატა გვაღვივებს და ქარიშხლებმა. 1980 წლიდან მოყოლებული ბუნებრივი სტიქიით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგები სამჯერ გაიზარდა.

„გასული წლის დეკემბერში, კლიმატური ცვლილებების კონფერენციაზე ისტორიული შეთანხმება იქნა მიღწეული. მსოფლიო 2100 წლისთვის გლობალური ტემპერატურის მხოლოდ 2 გრადუსამდე მატებასა და 2020 წლიდან განვითარებადი ქვეყნებისთვის ყოველწლიურად 100 მილიარდი დოლარის გამოყოფაზე შეთანხმდა“, – ნათქვამია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის სტატისტიკაში.

## გლობალური ფინანსური კრიზისი

2008 წლის ფინანსური კრიზისიდან რამდენიმე წელიწადში, მსოფლიო ეკონომიკა კვლავ დგას ნელი ტემპით ზრდის, მთავარ ეკონომიკებში არასტანდარტული მონეტარული პოლიტიკისა და შემცირებული სახელმწიფო ბიუჯეტების პრობლემის წინაშე.

გლობალური სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი გამოწვევა კრედიტისა და დანახარჯებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა. დღემდე მსოფლიოს მასშტაბით 2 მილიარდ ადამიანს არ აქვს წვდომა მაღალხარისხიან ფინანსურ სერვისებზე. გარდა ამისა, მსოფლიოში 200 მილიონი მცირე და საშუალო საწარმოა, რომელსაც არ აქვს წვდომა ოფიციალურ ფინანსურ სერვისებზე.

„პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა მოქნილი, ხელმისაწვდომი ფინანსური სისტემის შექმნა, რომელსაც ხალხი ენდობა“, – აღნიშნავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი.

## ინტერნეტი

ინტერნეტი ცვლის ჩვენი ცხოვრების, მუშაობის, მოხმარებისა და წარმოების გზებს. „მომდევნო ათი წლის განმავლობაში ინტერნეტზე სავარაუდოდ, ტრილიონ სენსორზე მეტი მიუერთდება. 2025 წლისთვის მოსალოდნელია, რომ მოსახლეობის 10% ინტერნეტზე მიერთებულ ტანსაცმელს ატარებს, გაიფიქროს კი გამოვა ბირთვული იმპლანტირებული მობილური ტერმინალი. როგორ აისახება ეს ყოველივე ჩვენს საკუთრებაზე, მონაცემთა უსაფრთხოებასა და ჩვენს პერსონალურ ურთიერთობებზე? თუ ყველაფერი ინტერნეტზე იქნება მიბმული, ეს შეცვლის ბიზნესის კეთების მეთოდებს და დაგეგმვას რესურსების უფრო ეფექტურად მართვაში. მთავარი პრობლემა კი ის არის, როგორ მოახერხებს მსოფლიო ამ სეისმურ ცვლილებასთან გამკლავებას ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას ინტერნეტის სტაბილურობა?“, – აღნიშნავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი.

## გლობალური უთანასწორობა

გლობალური თანასწორობის მიღწევა არა მხოლოდ მორალური, არამედ ეკონომიკურად მნიშვნელოვანი საკითხია. გლობალური თანასწორობა ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია საზოგადოების კეთილდღეობისთვის.

„მიუხედავად იმისა, რომ სულ უფრო ვუახლოვდებით გენდერულ თანასწორობას, ცვლილებები ამ კუთხით სწრაფად არ ხდება. მაგალითისთვის, 2006 წელს ქალების წლიური საშუალო შემოსავალი 6 ათასი დოლარი იყო, კაცების – 11 ათასი დოლარი. 2015 წელს ამ მაჩვენებელმა ქალების 11 ათასი დოლარი შეადგინა, კაცების – 21 ათასი დოლარი. ამიტომ აუცილებელია, უფრო მეტი გაკეთდეს გლობალური უთანასწორობის შესამცირებლად და მოხდეს საჯარო და კერძო სექტორების შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა“, – ნათქვამია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის სტატისტიკაში.

## სამართალრიცხოვანობა და ინვესტიციები

საერთაშორისო ვაჭრობა და ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სხვადასხვა ქვეყნებს შორის ვაჭრობის მთავარი ელემენტი გახდა. საერთაშორისო პარტნიორობით ვაჭრობის ნაცვლად, სულ უფრო მეტი კომპანია ყიდულობს უცხოური საწარმოების საკონტროლო აქციებს.

„სხვა ქვეყნებში ბიზნესის კეთების მხრივ ფუნდამენტური ცვლილებების მიუხედავად, საერთაშორისო რეგულაციები და შეთანხმებები იმავე ტემპით არ ვითარდება. საჭიროა სავაჭრო რეფორმა მსოფლიოს მასშტაბით“, – წერს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი.

## ბრძოლა კლიმატური ცვლილების წინააღმდეგ

გლობალური ფინანსური კრიზისიდან 7 წლის შემდეგაც კი, მსოფლიოსთვის კვლავ ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ეკონომიკური ზრდის შენელება და ქვეყნის ბიუჯეტების შემცირება. შედეგად, ამან გამოიწვია გრძელვადიანი ინვესტიციების შემცირება, რასაც სერიოზული გავლენა აქვს გლობალურ ეკონომიკურ ზრდაზე.

„საჭიროა გამოინახოს გზები და დაფინანსდეს საბაზო სისტემები და სერვისები, რომელიც ქვეყნებს როგორც ფინანსურ გარემოში ფუნქციონირებისთვის სჭირდებათ“, – აღნიშნავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი.

# ჭეშმარიტ სიყვარულს დრო ვერაფერს აკლებს

კარგი ჰქენი, ქვას დადევ, გაივლი და წინ დაგხედება!

ბრძენი ადამიანის ამ ბრძნულ ნათქვამს ადასტურებს ცხოვრებაში ჭეშმარიტად თავსებადმდარი ბევრი შემთხვევა.

ცოტა ძნელია, უხერხულიც კი არის, ილაპარაკო შენი ცხოვრების თანამგზავრზე, მის კეთილშობილებაზე, ყურადღებასა და პატივისცემაზე პაციენტებისადმი, რომელსაც ის იწუნდა მედიცინის დარგში თავისი ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში, მაგრამ, როცა ფაქტები სახეზეა, ალბათ მაქვს იმის მორალური უფლება, რომ ყოველივე ამის თაობაზე ორიოდ სიტყვით მოვუთხრო მკითხველს.

ჩემმა მეუღლემ ჟოზა თოლორაიამ სოხუმის სამედიცინო ტექნიკუმის მონაწილის სპეციალობით დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სოხუმის სამშობიარო სახლში. იქ იმუშავა რამდენიმე წელი, მაგრამ ოჯახის შექმნის შემდეგ სამუშაოდ გადავიდა გულრიფშის რაიონის სამშობიარო სახლში, სადაც მუშაობა არ მიუტოვებია სოხუმის დაცემის ბოლო დღემდე. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა სამშობიარო სახლის თანამშრომელმა სოხუმის დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე დატოვა სამუშაო და თავს უშველა.

სწორედ, სამშობიარო სახლში მუშაობისას დაიმსახურა თანამშრომელთა და პაციენტთა სიყვარული, მზად იყო, თუ პაციენტს უჭირდა, თავიც გაეწირა. მისი ჯანმრთელობიდან გამომდინარე ექიმების მიერ აკრძალული ჰქონდა სისხლის გაცემა, მაგრამ დაუნახავს რა, რომ პაციენტი სიკვდილის პირას იყო და იცოდა, რომ მისი სისხლი შველოდა, უყოყმანოდ გაუცია. ამის გამო პაციენტის მშობლები შვილს ეუბნებოდნენ: შენს სიცოცხლეში პატივი ეცი, არ დაივიწყო ეს ქალბატონი, მან ხომ სიცოცხლე გაჩუქაო.

მის კეთილშობილებაზე მეტყველებს ერთი ფაქტიც. სვანეთის გზით, რომ გადავიდიოდი,

„ვიგულის“ მარკის მანქანა, როგორც ათასმა სხვამ, მეც დავტოვე სვანეთის სოფელ საკენში. უპატრონოდ მიტოვებულ მანქანებს ვინ როგორ მიუსწრებდა ისე მიჰყავდათ. ჩემი ვიგულიც წაუყვანია მესტიელ ახალგაზრდას, გვარად ნარსაიძეს. ბოლოს მოხდა ისე, რომ სამი წლის შემდეგ ამ ახალგაზრდამ მომძებნა და მოვირგით მანქანის გადაყვანის საფასურის გადახდის შემდეგ მანქანას ჩამაბარებდა. ჩავივლი მესტიას, სახლში დიდი პატივისცემით მიგვიღეს. ოჯახის წევრებთან საუბრისას გაირკვა, რომ ჩემს მეუღლეს უმშობიარებია ამ ოჯახის რძალი, თურმე დიდი პატივი უცია, საჩუქარი არ გამოურთმევია და ძალიან კმაყოფილი იყო. ამის შემდეგ დიდი პატივისცემით გვეპყრობოდნენ, როგორც იტყვიან, ხელისგულზე გვატარებდნენ და ხეგაბარაქით დატვირთული გამოგვისტუმრეს.

კარგის კეთების დაფასებაზე მეტყველებს ასეთი შემთხვევა – მოსკოვში ყოფნისას ჩემი მეუღლის დისშვილი წასულა ბაზარში ყვევილების საყიდლად, გამოვლაპარაკებია ერთ ყვევილის გამოყიდვას. მეყვივდეს უკითხავს შენ საიდან ხარო. მე გულრიფშის რაიონის დაბა დრანდიდანო. ჟოზა თოლორაიას ხომ არ იცნობო. როგორ არა, ჩემი დეიდააო. ძალიან გახარებია, უთქვამს – ჩემი მშობიარობა მან მიიღო, მისი პატივისცემა არასდროს დამავიწყდებაო, აუღია ძვირად ღირებული ვარდების კონა და უჩუქნია.

ქარხანაში, სადაც ვმუშაობდი თანამშრომელი ქალები მეკითხებოდნენ შენი მეუღლე როდის მორიგეობსო. უნდოდათ თავიანთი შვილები სამშობიაროდ მისი მორიგეობის დღეს მიეყვანათ. ასე, რომ სიკეთის, კარგის ქმნა უკვალოდ არ ჩაივლის, როგორც წერილს წარუვმძღვარე – გაივლი და წინ დაგხედება.

**მურმან სანბულია,**  
ინჟინერ-ტექნოლოგი, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული

# „ბამარჯობა ჩემო ბელურა!“ – სტალინის მიმოწერა ფილიპან

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახშიც და სამსახურშიც მეტად მკაცრი ბუნების მქონე იოსებ სტალინისათვის სრულიად უცხო იყო ადამიანური სისუსტეები, იგი საცრად ვაქიზი და მგრძობიარე გახლდათ შვილების მიმართ.

სწორედ ამის დასტური გახლავთ სახელმწიფო არქივში დაცული იოსებ სტალინისა და მისი შვილის სვეტლანას მიმოწერა:

„გამარჯობა ჩემო ბელურა! ნუ გამოიწერები, რომ ვერ გიპასუხე ძალიან დაკავებული ვიყავი. ჯანმრთელად ვარ. თავს კარგად ვგრძობო.“

გოცინი ჩემს ბელურას მაგრადა, მაგრადა...“

„საყვარელო სვეტანა! მივიღე შენი 259-ს გამოგზავნილი წერილი. გამაღობო, რომ არ მივიწყებ. კარგად ვლონდ უშენოდ მოწყენილი ვარ, ბროწეულად და ატმები ხო მიიღე? თუ მიბრძანებ კიდევ გამოგიგზავნი. ვასიას უთხარი, მომწეროს წერილი, აბა, ნახვამდის. მაგრადა გოცინი. შენი მამიკო...“

სტალინის და თავის ქალიშვილს, როდესაც ის პატარა გახლდათ ერთგვარი თამაში ჰქონდათ შემუშავებული წერილების წერის დროს. სვეტ-

ლანას სტალინმა მბრძანებელი შეარქვა და რასაც ის „უბრძანებდა“ ყველაფერს უსრულებდა, სტალინი კი მისი პირველი მღვანი გახლდათ...

„გამარჯობა ჩემო დიასახლისო! წერილი მივიღე გამაღობო. კარგად ვცხოვრობ. ვასიას ანგინა ჰქონდა, ავად იყო, ახლა უკვე კარგადაა. წავალ თუ არა სამსახურში? წავიდოდი, მაგრამ შენი ბრძანების გარეშე ვერ გავებდავ ადგილიდან დაბერას. ხშირად ვარ ლიპკაში. აქ ცხელა. შენ როგორ გრძობო თავს ყირიმში?“

გოცინი ჩემს ბელურას... სვეტლანას წერილი: „მამა! რადგან ყინავს, გიბრძანებ ჩაიცვა ქურტი!“

სვეტანა-დიასახლისი – 1938 წ. 15 დეკემბერი.

სტალინის და თავის ქალიშვილს, როდესაც ის პატარა გახლდათ ერთგვარი თამაში ჰქონდათ შემუშავებული წერილების წერის დროს. სვეტ-



# არჩილ არველიანი: ბროზნი? ძალიან მინდა ვცდებოდე, მაგრამ...

კარგა ხანია, არჩილ არველიანი არ გვიხსენებია. სასაუბრო კი მართლაც ბოლომდე დავტოვე და მოულოდნელი ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავი. აღარ შეგაწყენთ თავს და პირდაპირ ინტერვიუზე გადავალთ...

— ალბათ, თვალის ადვილით საქართველოს ნაკრების ბოლო ორ თამაშს. საინტერესო იქნებოდა თქვენთვის შეფასება...

— რა თქმა უნდა, შედეგი არ არის დამაკმაყოფილებელი, თამაშის ხარისხმა კი ყველა ძალიან დაგვიამაყრა. განსაკუთრებით უელსთან ვითამაშეთ კარგად. მართლა ძალიან მომეწონა საქართველოს ნაკრები იმ შეხვედრებში.

— ცალკე უნდა გაითხოვოთ ვაკო გვილიაზე, ერთგული გუნდის დებიუტანტზე...

— ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. უზომოდ კმაყოფილი დავრჩი მისი თამაშით. შუა ხაზში ასე კარგად მოთამაშე ფეხბურთელის გამოჩენამ გამოიწვია ის, რომ ის მოთამაშეებიც კი, რომელთაც აქამდე ბურთთან ურთიერთობაში პრობლემები ჰქონდათ, გათამაშდნენ. ერთი სიტყვით, ჩვენს ნაკრებში ძალიან კარგი ფეხბურთელი გამოჩნდა გვილიას სახით და დარწმუნებული ვარ, ასევე გააგრძელებს თამაშს.

— როგორ ფიქრობთ, ირლანდიასა და უელსთან ჩატარებული მატჩები მხოლოდ მორიგი ეპიზოდური გამონათება ხომ არ იყო?

— მინდა მჯეროდეს, რომ ეს არ იყო ეპიზოდური გამონათება. ჩვენ ასეთი მილიონი გამონათება გვქონია, მაგრამ ახლა მთავარია, სტაბილურად გაგრძელდეს ეს პროცესი. საქართველოს ნაკრებს აქვს ამის პოტენციალი.

გვ არის, ერთი-ორი ფეხბურთელი რომ გვაკლდება, ეს მაშინვე აისახება გუნდის თამაშზე. ასე იყო თუნდაც ირლანდიასთან შეხვედრაში. აქვე მინდა ვთქვა, რომ გული მწყდება ჭაბუკთა ნაკრებების მიერ ნაჩვენებ შედეგებზე. ადრე ჩვენი იუნიორები ისეთი ჯგუფიდანაც კი ასურდებდნენ გასვლას, საიდანაც ერთი გუნდი გადიოდა. ახლა ორი გუნდი გადიოდა და მაინც ჩავრჩით ჯგუფში.

— ახლა აქტიურად საუბრობენ საქართველოს ნაკრებში აკაკი გოგიასა და გიორგი ჯიქიას გამოძახების შესახებ. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

— ფაქტი ერთია: რაც მეტი კარგი ფეხბურთელი იქნება საქართველოს ნაკრებში, მით უკეთესი — ჩვენი გუნდისთვის. ახლაც ვნახეთ: არ იყო ჯაბა კანკავა და საუკეთესო კუთხით წარმონაღო გვილია...

მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება. ერთიცაა: ნაკრებში მოსახვედრად მხოლოდ კარგი თამაში არ კმარა. უნდა აჯობო იმას, ვინც იმ პოზიციაზე თამაშობს. საერთოდ, როცა ნაკრებს ეხება საქმე, დაახლოებით თანაბარი დონის ფეხბურთელებიდან ხდება არჩევანის გაკეთება. მე კარგად ვიცი საქართველოს ნაკრების ისტორია და ვერ ვიხსენებ, რომ რომელიმე ფეხბურთელი ბრწყინავდა და მას არ დაუძახეს ნაკრებში. შეიძლება, მხოლოდ ოდნავ უკეთესი იყო იმ ეტაპზე ნაკრებს გარეთ დარჩენილი იმაზე, ვინც ერთგულ გუნდში თამაშობდა.

— ძალიან გვინტერესებს თქვენი აზრი გიორგი ჭანტუაზე. ვლადიმერ ვაისმა გასახდელში მომხდარის გამო ის ნაკრებში არ გამოიძახა ბოლო ორი თამაშისთვის, თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ ჭანტუისთვის ერთგულად ნაკრების კარი ღიაა...

— გიორგი ძალიან ნიჭიერია და ეს ფაქტია. მე ვიტყვოდი, ის იმდენად ნიჭიერია, რომ მისი გვარის შემდეგ უნდა იყოს სიტყვა — „ექსტრა“. აი, ამ „ექსტრას“ შემდეგ მოდის მრავალწრივი და ყველას შეუძლია, თავად შეავსოს ეს ცარიელი ადგილი. იქ შეიძლება ბევრ პრობლემასაც დაიწეროს. მაგალითად, ხასიათზე, მეტ გუნდურობაზე... ჩემი აზრით, ეს ის ფეხბურთელია, რომელმაც ნებისმიერ შემთხვევაში სარგებლობა უნდა მოუტანოს საქართველოს ნაკრებს.

— გითხვამთ თორნიკე ოქრიაშვილზეც, რომელმაც ნაღდი ლიდერივით ითამაშა უელსთან მატჩში...

— ვითომ პრეტენზიული ხასიათის მიუხედავად, მე ვერ ვიხსენებ ოქრიაშვილის მიერ ჩატარებულ მატჩს საქართველოს

ნაკრების შემადგენლობაში და ეს ძალიან მასხარებს. არ აქვს მნიშვნელობა, როგორ მისდის საკლუბო კარიერა — კარგადაა თუ ცუდად, მაინც ბოლომდე იხარჯება ნაკრებისთვის და არ შეიძლება, ეს არ დაინახო. ის ძალიან სასარგებლო ფეხბურთელია ჩვენი გუნდისთვის.

— როგორ გეგონათ, რისთვის იბრძობებს საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში?

— რა თქმა უნდა, ფინალურ ეტაპზე გასვლა ძალიან რთული იქნება, მაგრამ გუნდმა ბოლომდე უნდა იბრძოდეს. ჩვენ ვნახეთ, რომ ამ ჯგუფში ყველასთან შეიძლება თამაში. თუ რამეზე გვაქვს პრეტენზია, ორივე მატჩი უნდა მოუვულოთ მოლოდინს და ეს სავესებით შესაძლებელია. თბილისში წარმატებით თამაში შეგვიძლია უელსთანაც და ირლანდიასთანაც. ორივე ნაკრებს ვეთამაშეთ გასვლაზე და ეს კარგად გამოჩნდა. სურბეთიც კარგადაა დაკომპლექტებული, მაგრამ მასთანაც შეიძლება მოგება...

— არ იქნება, თქვენს მშობლიურ კლუბში, თბილისის „დინამოში“ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე არ გითხვით...

— წინათგონობა მკარანახობს, რომ ვინააღვ გოგონის მოყვანა არ იყო მთლად გამართლებული ნაბიჯი. ამას რომ ვამბობ, ძალიან მინდა, ვცდებოდე. გულწრფელად მინდა წარმატებები ვუსურვო თბილისის „დინამოს“ და გოგონის. როგორც ითქვა, იყო ვეროპული ვარიანტიც. გარდა ამისა, ალბათ შესაძლებელი იყო, ძალიან სერიოზულად განხილულიყო ერთ-ორი ქართველი სპეციალისტის კანდიდატურაც.

— შოთა როგორ გრძნობს თავს ისრაელში? შედეგების მიხედვით, თითქოს, ყველაფერი კარგადაა...

— შოთა თავდადებით მუშაობს. ვეროპალიცაზე „მაკაბიმ“ სტუმრად „ალკმაარს“ რომ მოუვო, ამ ამბავს ძალიან დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. ერთი ეგაა, ისრაელის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში წაავო პაიფას კლუბთან. არადა, არ იყო წასაგები თამაში. ხომ იცით,

ხშირად ფეხბურთში როგორც ხდება? მთელი მატჩის განმავლობაში აშკარად სჯობდა შოთას გუნდი მეტოქეს. არაერთი დარტყმა იყო მოწინააღმდეგის კარის მიმართულებით, მაგრამ გოლი არა და არ გავიდა.

— შოთა მიმზიდველი მწვრთნელი უნდა იყოს ბევრი გუნდისთვის...

— ახლა ამაზე არ არის ლაპარაკი. სანამ „მაკაბიმ“ წავიდოდა, მაშინაც ჰქონდა ვარიანტები, თუნდაც იმავე „ალკმაარსთან“, მაგრამ ახლა უკვე მუშაობს და მთლიანად „მაკაბიზე“ კონცენტრირებული.

— გვერდს ვერ აუვლით თქვენი ფონდის საქმიანობას. რომ იტყვიან, საშვილიშვილო პროექტია და მას „ლელოც“ აშუქებს...

— მოგეხსენებათ, პანკისის ხეობაში დაიწყო ამ პროექტის განხორციელება. იქ საფეხბურთო ინფრასტრუქტურა ვერ არის ჯეროვანი, თუმცა ადგილობრივებმა დიდი ენთუზიაზმი გამოიჩინეს. ერთი სტადიონი სულ. მოასწორეს მოედანი, რომ ფეხბურთის თამაში ყოფილიყო შესაძლებელი. ოთხ სოფელში — ომალოში, დუისში, ბირკიანსა და ჯოფლოში ვარჯიშობენ ბავშვები და ამას ადგილობრივი სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. მწვრთნელთა მუშაობას ჩვენს ფონდში კოორდინაციას გონა ტყეშუნაძე უწევს. ის წერს პროგრამებს მწვრთნელებისთვის და ყოველ ორ კვირაში ატარებს მონიტორინგს. ხელფასსაც ჩვენი ფონდი უხდის მწვრთნელებს.

— პანკისის ხეობის მცხოვრებთ ყოველთვის ჰქონდათ სხვადასხვა პროექტებში ადაპტაციის პრობლემა...

— როგორც ვითხარით, ინტერესი და ენთუზიაზმი მართლაც ძალიან დიდია. უნდა ნახოთ, ბავშვებს როგორ უხარიათ... სხვათა შორის, ვმუშაობთ საფეხბურთო წრეებში გოგონების ინტეგრაციაზეც.

დამეთანხმებით, იოლი არ არის, როცა საქმე ფეხბურთში გოგონების ჩართვას ეხება, მით უმეტეს — პანკისის ხეობაში, მაგრამ სასიკეთო ძეგლები ამ კუთხითაც შეიმჩნევა

## ანგელოზები არ უნდა გველაპარაკდნენ...



გამოაქვეყნა სიმსივნით დაავადებული პატარა გოგონას თხოვნა ექიმებისადმი — „ორშაბათამდე ხომ ვიცოცხლებ, რომ დედას დაბადების დღე მივლოცო“. ამ პატარა, მაგრამ თავზარდამცემ საგაზეთო წერილს უამრავი ადამიანი გამოეხმაურა, ბევრმა გამოთქვა სურვილი, რომ რაღაცით მაინც გაულამაზოს ყოფილი მოურჩენელი სენით დაავადებულ ბავშვებს.

ამგვარი რამ კამპანიურად კეთდება ხოლმე, მაგრამ ყველაზე დიდი მადლი ისაა, რომ ცალკეული ადამიანები ქველაფერს აკეთებენ უიმედო პატარებისათვის მომავლის იმედის დასანერგად.

ამას წინათ ცნობილი პოლიეუდელი მსახიობის მიერ მოწოდებული შოუ იქცა ინტერნეტში — ჯონი დეპი ჯიკი ბელურას ტანსაცმელში გამოწყობილი მიეახლა საავადმყოფოში სიმსივნით დაავადებულ თავდადასოტრიულ მოხარდ გოგონას. უნდა გენახათ თავზე ბედნიერებადარტყხილი ბავშვის ემოცია — მას კი არა, მეც დამაბოვიდა, რომ ბავშვს მოურჩენელი დაავადება სჭირს და დღეს თუ არა, ხვალ დატოვებს ცოდივლ ამქვეყნიურობას.

თურმე რა პატარა რამე შეიძლება გადაიტანოს უკანა პლანზე სიკვდილის საფრთხეს! დადებით ამოცანაზე ძლიერი პრეპარატი ხომ არ არსებობს! იფიქრეთ ამაზე, ადამიანებო!

ამას წინათ „ილორი“

როგორც მადლობა მინდა მოგახსენო ყველას, ვინც ბულითადად მომილოცა დახადებიდან 75 წელი! უფალმა შემაპყვინძინოს, რომ სიკეთით გადავიხადო თქვენი ესოდენ დიდი სიყვარული და ყურადღება, კვირფასო მეზობრებო! დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით, როლანდ ჯალალანია, ბაზეთ "ილორის" მთავარი რედაქტორი

### ილორი

- ცოლი როგორი გამოგადგამ?
- დანარჩენებს აშკარად სჯობდა.
- კარგ სადილებს გიმზადებს?
- რა თქმა უნდა.
- ყველაზე კარგად რა გამოსდის?
- თევზის კონსერვი...

\*\*\*

- ეს ვირიშვილი, ესა! — ყვირის მიხ.
- ვიზე ჯავრობ, მიხე? — გამოეხმაურა მეზობელი.
- იმ ჩემს უტვინო ცოლზე!
- რა დააშვა ასეთი?
- ამას წინათ მიიხრა, მასწავლებელი გიბარებსო. როცა გამახსენდა, მივედი. ის კიდევ მეუბნება: შენმა ბიჭმა სკოლა შარშან დაამთავრაო! ცოლს რა, არ უნდა შეესვენებინა?..

\*\*\*

- მე ნაპოლეონი ვარ! — ამბობს ფსიქიატრიული საავადმყოფოს ახალი პაციენტი.
- რომელი, იმპერატორი თუ ნამცხვარი? — იცინიან დანარჩენი ავადმყოფები.
- არც ერთი და არც მეორე, თქვე მართლა დარეხვილებო. მე ნაპოლეონ ბიჭიკა ვარ.

### ბარლიხვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუხმო ომი მკლავრ ნაყოფიერად ფარმაცოთიანს, მის დაქირვას რომ სდილობდა.

ლომინტი ბანძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ათვისებთან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფაღობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუხსილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიურად დაავადებულებს, პეურნავს გაფანტული სკლეროზის და შიდსს, შველის ცერებრალურ დაზიანებას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, (3-ე პატიტს, ნადღლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზა და დოდო.

კოორდინატორები: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო „ისანთან“), ყოველდღე — 10-დან 16 საათამდე.  
ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიღიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**